# ივერია

1885

№ VIII, აგვისტო.

ტფილისი.
ექვთიმე ხელაძის სტამბა.
1885

# შინაარსი:


I. ქნეინა ნექტარინა ისტორიული მოთხრობა (დასასრული) . . . . . . . . . . . . . . . 3

II. პედაგოგიური მოსაზრებანი (ოჯახის მნიშვნელობა ბავშვების ხასიათის აღზრდაში) თელაწუალელისა . 52

III. სახალხო ლექსები (შეკრებილი ქიზიყში თ—ლისგან. 65

IV. მოძღვარი, მოთხრობა ა. მოწყუბარიძისა. (შემდეგი) . . . . . . . . . . . . . . 69

V. სახალხო შელოცვანი (შეკრებილი ქიზიყში თ—ლისგან. . . . . . . . . . . , . . . 96

VI. სახალხო ლექსები (ხევში შეკრებილი ა. მ—საგან) 101

VII ცნობ. ძველ. მწერლ. კავკასიაზედ, წერილი მ. ჯანაშვილისა . . . . . . . . . . . 105

VIII განსაკუთრებული დამატება: ქუთაისისა და თბილისის საადგილ-მამულო ბანკების განცხადებანი მამულების შესახებ.

# ივერია

## საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი

წელიწადი მეცხრე

**№ VIII**

თბილისი
ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე
1885

Дозволено цензурою. Тифлисъ 1 Октября 1885 г.

# ქნეინა ნექტარინა

ისტორიული მოთხრობა ქართველთ ცხოვრებიდამ

თხზულება ვალერიან ჩერნისა.

(დასასრული *).

## თავი VI

სამნივე ჩუმად მიდიოდნენ. თუმცა არც ერთს არ ამოუღია ხმა, მაგრამ სამნივემ კარგად იცოდნენ, საით წასულიყვნენ —ასეა ხოლმე: ხანდისხან ადამიანს თქმა სრულებით არ ეჭიროვება, რომ მიხვდეს თავის უბედურებას. ღამე საშინლად ბნელი იყო, მაგრამ ალმასხან და მისი თანამოგზაურნი აჩქარებით მიდიოდნენ. რა და რა ვიწრო ქუჩები არ გაიარეს, სად არ მიუხვიეს, მაგრამ დამაბრკოლებელი არაფერი იყო.

ამ რიგათ მალე მიუახლოვდენ მუხრანიანთ ხიდს. აქ სომეხს მოეჩვენა, ვითომ რაღაც სამმა აჩრდილმა მარჯვენივ მხარედამ მარცხენა მხარეს გადაიარა და სადღაც გაჰქრა. სომეხმა ნება უნებლიედ ხელი მოჰკიდა ხანჯალს, რომელიც დამალული ჰქონდა, მაგრამ უფრო იმიტომ, რომ დაეთვალიერებინა

---

*) «ივერია» № 7, 1885 წ.

ამავე დროს, ფეხდები თანა მაჰქვს თუ არა. ეს საწყალი მშიშარა იყო. ჰგვანდა იმ ავაზ-ქურდებს, რომელსაც მთელი სტოლი წამლით სავსე აქვს და არც ერთს არ ხმარობს. მისი ხანჯალი სწორედ ასეთივე წამალი იყო მისთვის. ხანჯალს მაშინ აქვს მნიშვნელობა, როდესაც კაცმა ხმარება იცის.

— კნიაზო, ნელა წამოიძახა სომეხმა, ვიღაცეები ამ ხიდის ქვეშ იმალებიან. დამერწმუნეთ რომ სახეიროდ არ იქნება, დავბრუნდეთ და სხვა გზით გავიდეთ.

— იქით! დაიღრიალა ალმასხანმა და წაჰკრა ხელი ისეთის სისწრაფით, რომ სომეხი იქვე გაიშალა; ვინ არის ეს ავაზაკი და რა უნდა ჩვენგან? ჰკითხა ალმასხანმა თავის ძმას.

— ამ სომხის მადლიერი უნდა იყო, რადგან ამან აღმოაჩინა შენი ცოლის ღალატი, რომელშიაც თვითონ მალე დარწმუნდები.

— მაშ მაგ ძაღლსა ძაღლური სიკვდილი მოუხდება! და ის იყო ალმასხანმა იძრო ხანჯალი, მაგრამ სომეხი სწრაფად დაიმალა სიბნელეში.

— ძმაო დიმიტრი, წარმოსთქვა მაშინ ალმასხანმა, ჯავრისაგან გამოცვლილის ხმით—ძმაო, გაიმეორა კიდევ და გაჩერდა. დიაღ, ჩემდა საუბედუროდ: შენ ჩემი ძმა ხარ, შენ დაუჯერე ვიღაცა სომეხს და ცილი შესწამე იმისთანა ქალს, როგორიც ნექტარინა არის? მაგრამ ამას მალე ვნახავთ... იცოდე, თუ სტყუი და ტყუილად მომიკიდეთ ეს ჯოჯოხეთის ცეცხლი —მაშინ, გესმის? ეს ხანჯალი იქნება შენი პასუხის მომცემი!

ამ სიტყვებით ალმასხან მალე გავიდა ხიდს და იმ დროს, როდესაც ალმასხანს ალაყაფის კარებში შესვლა უნდოდა, დიმიტრიმ ჩუმად გააჩერა:

— ალმასხან! მოიცა, ვისაც სიმართლის შეტყობა უნდა,

შენსავით როდი უნდა მოიქცეს. შენ გმართებს შესვლა შიგ, როგორც ქურდსა და არა როგორც სახლის პატრონსა.

— შენ ალბათ კარგად იცი ამ ქურდების გზა. რადგან უფუ-რვე, გასწი, შენ წინ გამიძეხი. აბა მიჩვენე ის გზა, რომლი-თაც შენ ასე ველურად ბედნიერება და მოსვენება მომპარე!

— დიახ, შენ მართალი ხარ, მე მაინდა მოგპარე ბედნიე-რება და მოსვენება ისე, როგორც შენ წაართვი ეს სახლი და მამა ჩემის ქონება, რომელშიაც მეც დიდი წილი მქონდა, მივყევ უნდრობის მხარ.

დიმიტრი წინ გაუძღვა ალმასხანს. რამდენიმე წუთის შემ-დეგ ორნივე აღმოჩნდნენ ერთის სახლის ბანზედ, ამ ბანიდამ გადავიდნენ მეორეზედ, მერე მესამეზედ და ასე მიაღწიეს ალმასხა-ნის სახლის ბანსა; ასეთი სიარული ბანზედ საქართველოში ძალიან ადვილი მოსახერხებელია, რადგან, სახლები ერთი მე-ორესთან ძალიან ახლოს დგანან და ბანები ერთის სიმაღლისა-ნი არიან.

ის იყო ავიდნენ ალმასხანის ბანზედ, როდესაც მათ თვალ-წინ გაჩნდა რაღაცა აჩრდილი.

— სალომე, შე შენა ხარ? ჰკითხა ალმასხანმა.

— მე ვარ! წაიდუდღუნა მტირალის ხმით სალომემ.

— ის კიდევ აქ არის? ჰკითხა ალმასხანმა.

— უი, ჩემს თვალებს. დიაღ, ბატონო, აქ არის... ვაი ჩემს სიბერეს, ვაი ჩემს დაბადების დღეს!

— ხმა გაკმინდე, შე ქოფაკო! ეხლავ წინ გამიძეხი და პირ-დაპირ იქ მიმიყვანე!

მაგრამ სალომე გაშტერდა. მაშინ ალმასხანმა წაჰკრა ხე-ლი და ჩუმის, მაგრამ საშინელის კილოთი, უთხრა:

— გამიგონე! ეხლავ წინ გაგვიძეხი!

— ღმერთო, ღმერთო ქს რა მომივიდა, ვუი ჩემს უბედურებას, დუდუნებდა სალომე, ყველაფერი იმ დაწყევლილი სომხის ბრალია.

როგორც იყო სალომე დაიძრა და გაიყვანა ალმასხანი ბანიდან ქვემო სართულში, საიდამაც ცოტათი გაღებული ოთახის კარებიდან სინათლე მოჩანდა.

უჩვენა თუ არა სალომემ ამ კარებზედ, გული შემოეყარა. ალმასხანი კი ძირს კიბეზედ ჩავიდა და ძმას ანიშნა, რომ იქ ბანზედ გაჩერებულიყო.

ჯერ ალმასხანი ძირს ჩასული არ იყო, როდესაც დიმიტრიმ იგრძნო, რომ ვიღაცამ მაგრად ხელები დაუჭირა და ამ დროს მოესმა ქურდინოვის ხმა:

— ეხლა ჩვენ ორივეს აგვისრულდება ჩვენი სურვილი და...

— და კიდევ რა? ჰკითხა მოუთმენლად თავადიშვილმა.

— და იქნება ჩვენ ჩვენივე მოგონეცეს. თქვენ ეს სახლები დ მე — იმისი ცოლი. მე ჯერ-ჯერობით, ამის მეტს არაფერს ვითხოვ.

— მაშ კარგად არ გიცვნიათ თქვენ თქვენი ძმა. ის უთუოდ მოჰკლავს თავის ცოლის გუროს და რუსული კანონები კი მკვლელებს ციმბირში გზავნის.

— შენ ძალიან ჭკვიანი კაცი ხარ, ღმერთის გეფიცები, შენი ფლანი შესანიშნავია, მაგრამ ერთი ეს გამაგებინე, ალმასხანის ცოლს საიდამ იშოვნი, თუ სისხლი დაიღვრება — მგონი რომ სასიამოვნო არ იქნება ნექტარინას მაგიერ, მკვდარ ქალს ეალერსო და გარდა ამისა დამარხვაც მოუნდება და, რა თქმა უნდა, ხარჯიც და ეს კი შენს ვერცხლ-მოყვარეობას დიდათ ეწინააღმდეგება.

— თქვენს ძმას რომ ერთის ხანჯლის დაკვრით ორივეს მოკვლა შეეძლოს, მაშინ, რა თქმა უნდა, ნექტარინას გადარ-

ჩენა საეჭვო იქნებოდა, მაგრამ მე მგონია, და ასეც უნდა იყოს, რომ ჯერ კუროს გაუტარებს გულში ხანჯალს და შემდეგ, როცა დასტკბება ჯავრის ამოყრით, განელდება, დაშოშმინდება და გარდა ამისა ესეც უნდა წარმოვიდგინოთ, რომ კუროც გაიწევს და მაშინ შეტაკება უფრო ძლიერი იქნება და, ვინ იცის, იქნება ორივეს ბოლო მოეღოს.

— ოჰ, ნეტავი ასე მოხდებოდეს! მაგრამ შენ ეს მითხარი ის კურო ვინ არის?

— ვიღაც თავადიშვილია, სალომე ბევრი ვაწვალე, მაგრამ, თითონაც არ იცის, ვინ უნდა იყოს; მე კი სიბნელეში ვერ გავარჩიე.

ამ დროს ამათ მოესმათ რაღაცა მძიმე და ყრუ ხმაურობა და ვიღაცები პირდაპირ მათკენ მოდიოდნენ. ეს ორი აჩრდილი ისე ახლო იყვნენ, რომ გამქვავს ვერც დიმიტრი და ვერც ქურდინოვი ვერ მოასწრებდა. ქურდინოვი მალე მიხვდა, რომ უცხო მგზავრები კარგად იყვნენ შეიარაღებულები.

ამ დროს ორი აჩრდილი უეცრად დაეცენ თავზედ დიმიტრის და ქურდინოვს, მაგრამ ეს უკანასკნელი მარდად გამოეცალა ხელიდამ და იქვე კიბეზედ ჩაირბინა. დარჩა მარტო დიმიტრი. ორმა ძლიერმა ხელმა გაზივით შეუბრალებლად წააქცია დიმიტრი, შემდეგ შეუკრეს უკან ხელები, ტომარა ჩამოაცვეს თავზედ—ახსნეს ხანჯალი და დამბაჩა და ისე გაუშვეს. საწყალ დიმიტრის ყვირილიც არ შეეძლო, რადგან ტომარა ხმას უწყვეტავდა პირში.

მორჩნენ თუ არა თავადს დიმიტრის, უცნობნი შეუდგნენ მეორეს მებნას, ესე იგი, ქურდინოვს და ამ მებნაში ფეხი წაჰკრეს რაღასაც. ეს იყო გულ-შემოყრილი სალომე. აიყვანეს ზეზე, მაგრამ ვერ გამოიცნეს. ბევრი უნაყოფო ცდის

შემდეგ გადაწყვიტეს დაეგზავნათ ისევ ძირს, მაგრამ ამ დროს სალომემ წამოიძახა:

— ღმერთო! სად ვარ?

— სალომე? წამოიძახა ერთ უცნობთაგანმა.

— ჯაშუშ! შემინახეთ წარმოსთქვა სალომემ, მიშველეთ, მომკლეთ!

— აი შე ძაღლო, წაიდუდუნა მკაცრად ჯაშუშმა და დაუძახა იქვე მდგომ ოთხიოდე ბიჭს და ჩუმად მოულაპარაკა მათ. ერთმა ამათგანმა აიღო პატარა დანა, რომელიც სანჯალთან ჰქონდა და მივიდა სალომესთან. სალომე მიხვდა, რომ მათი განზრახვა სიკეთეს არ მოასწავებდა და ის იყო დაიყვირებდა უშველოდ, მაგრამ მაშინათვე პირი მოუკუმეს.

მაშინ სალომემ დაიწყო ბრძოლა, მაგრამ ღონემ ღალატა აკლდა.

გავიდა რამდენიმე წუთი. უცნობმა გაუშვა სალომე, რომელიც ძირს პირ-ქვე დაეცა, მაგრამ იმ დავარდნისთანა მოისმა რაღაც გამოუთქმელი ტანჯვის ყვირილი, თუმცა არც ყვირილს ჰგავდა და უფრო მწუხარი ბღავილი იყო, ვიდრე კაცის ხმა.

## თავი VII

ეხლა ვნახოთ, რას შვრება ალმასხან?

ალმასხანს მოაგონდა თავის ძმის სიტყვები: «ქურდულად უნდა შევიდე.» და მართლაც უნდა ყოველივე სიფრთხილე მიეღო, თუ სინამდვილეს გამოაშკარავება სურდა. თუმცა გული საშინლად უძგერდა და ფეხები და ხელები უკანკალებდა, მაგრამ ყველა ეს დასძლია და ნელ-ნელა დაეშვა კიბეზედ. რამ-

დენიც უფრო უახლოვდებოდა თავის ცოლის საწოლის ოთახს, იმდენად უფრო მომკვდებულის ტანჯვას გრძნობდა. ბოლოს მოესმა რაღაცა ხმაურობა, თითქოს სიყვარულის ალერსითა.

ყოველი ფეხის გადადგმაზედ იდუმალი ჩურჩული უფრო გარკვევით ისმოდა, ეხლა კიდევ უფრო აშკარად გაიგონა. გაახრუმა გულში ყოველივე მღელვარება და როგორც იყო მი-აღწია უკანასკნელ გაბედვის და პირდაპირ ცოტათი გამოღე-ბულ კარებთან დადგა.

თუ რომ ალმასხანი ამ საშინელი ამბისათვის მომზადე-ბული არ ყოფილიყო, იმას უთუოდ გონება დაეკარგებოდა — გაგიჟდებოდა ასეთი მოულოდნელი სურათის ნახვით.

აბრეშუმის სარეცელზედ მიწოლილიყო კაცი ასე ოცდა-ათის წლისა, მშვენიერის ტანადი რაღაც არა ჩვეულებრივ მედიდურო-ბის გამომეტყველებით, ეცვა ღვინის ფერი ხავერდის კაბა, ოქროს სირმებით მორთული. გულზედ ეკიდა სპარსული ორ-დენი «მზისა და ლომისა», მთლად ალმასით მოჭედილი. სხვა და სხვა ძვირფასი ქვებით მორთულს ქამარზედ ეკიდა პატარა, მაგრამ გასაოცარის ხელობით გაკეთებული ხანჯალი, ოქროს ტარით, რომელიც ალმასისა და მარგალიტებით შემკული იყო.

კაცი ვერ გამოხატავს იმ ბედნიერების ღიმილს, რომე-ლიც მოსდიოდა ამ კეთილშობილს უცნობს, იმ თვალების ალერსს, რომლითაც უყურებდა მშვენიერს ნექტარინას. თვით ნექტარინა იქვე ფეხებთან უჯდა. ნექტარინა უწინ მუდამ ჩუ-მი და სევდიანი — ეხლა ის აღარ იყო, როგორც, არამედ სავსე გრძნობით და სიყვარულით — ეს ბედნიერება ისე უხდებოდა იმის მშვენიერს სახეს, ეს სიცოცხლე ისეთს მომხიბლავს ლაზათს აძლევდა, რომ კაცს ციდამ ჩამოსული ეგონებოდა.

იმ დროს, როდესაც უცნობი მხურვალედ ჰკოცნიდა და ალერსიანად ეხვეოდა ნექტარინას, ეს უკანასკნელი უფრო გაშმაგებით ეძლეოდა ტრფობის ეშხს; გატაცებულს ნექტარინას მკლავები და გული შემოსმარცოდა და ისე ეკვრებოდა გულზედ თავის საყვარელს, თითქოს შიგ გულში უნდა ჩაუძვრესო. ნექტარინა ამ შემთხვევაში ნამდვილი ქალი იყო, სავსე ეშხით სიყვარულით და ყოველივე ნეტარებით.

— მეშინიან, წამოიძახა ქალმა, როდესაც პირველ ვნებათა დაკმაყოფილების შემდეგ დაწყნარდა, და როდესაც, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, სინიდისმა ქენჯნა დაუწყო.

— ნუ გეშინის ჩემო ღმერთავ! ჩემო საუნჯევ! ვისი გეშინიან — აქ არავინ მოვა, სანამ არ შეგვატყობინებენ; შენი სალომე და ჩემი ჯიქურა კარებში დგანან. ერთი კაცის ხმა რომ გაიგონ, მაშინვე შემიძლია აქედამ კიბეზედ და მერე ბანზედ ავიდე, იქიდამ მალე მივალ ჩემს თავს-საფარამდის.

— ვიცი განაცვალე, რომ სიფთხილე არ დაგვიწყება, მაგრამ მაინც მეშინიან და ამ სიტყვებთან ერთი კიდევ აკოცა, ერთი კიდევ...

— მოიცა! სს!.. მე მგონი, რომ ვიღაც ჩამოდის კიბეზედ?

— ალბად სალომე იქნება, დაივიწყე ეს უსაფუძვლო შიში და კიდევ მაკოცე, ჩემო ტურფავ?

ქნეინა მოეხვია და ისე აკოცა რომ, უცნობს ტანში ყრუანტელმა გაუარა, მაგრამ შიში ჯერ არ გათავდა.

— ვაი თუ სალომემ გვიღალატა? დაუმატა ნექტარინამ.

— განა ქართველ კაცს ღალატი შეუძლიან? სალომე ხომ ქართველია?

— მამა სომეხი ჰყვანდა, დედა კი ქართველი.

— ეგ სულ ერთია! თუ ერთი წვეთი სისხლი ქართველისა მარ-

ღვში უდგას, ის თავის დღეში არ გვიღალატებს და არ გაგვყიდის. ჩემო ტურფავ, შენ ჯერ არ იცი რა საუნჯეა ქართველის გული. გარდა ამისა ჩემი ჯიქურა ეტყოდა «ვინა» ვარ მე.

— ჯიქურმა მხოლოდ ის უთხრა, რომ შენ ვიღაცა დიდი კაცი ხარ, უნდა პატივი გცეს—უნდა გემორჩილებოდეს, მაგრამ ის კი არ უთქვამს «ვინცა ხარ».

— ეჰ! ნექტარინა! თავი დაანებოთ ჩემს ხარისხოვნებას, ჩემს დიდ-კაცობას, რადგან ეს ყოველივე ჩემთვის სამუდამოდ დაკარგულია—დაკარგულია—სხვების მეოხებით—დაკარგულია ძალადობით... მაშ რისთვის მოვიგონო ის, რაც არ არის... ოღონდ შენ გიყვარდე, მეც დავივიწყებ წარსულს და მომავალს არ მივეგებები.

— განა მე კიდევ ვერ დაგარწმუნე რომ ჩემთვის შენ ყოვე-ლივე ხარ? და ხელახლად აკოცა, ხელახლად მოეხვია. უცნობიც კოცნიდა კნეინას, კოცნიდა რაღაც შეუპოვრად. ეს მაშინ იყო, როდესაც თავადი ალმასხან მირს ჩამოვიდა.

ჯერ კიდევ უცნობის ვნებიანის კოცნის ხმა არ შემწყდარიყო, როდესაც კარებთან გაისმა რაღაც გულის გამგმირავი ოხვრა და მძიმე უშველებელი ტანი საშინელის ხმაურობით დაეცა იატაკზედ, სადაც ნექტარინა და უცნობი იყვნენ.

მიჯნურებმა დაინახეს გულ-შემოყრილი ალმასხან, ხანჯლით ხელში—გაისმა მეორე უფრო შემაძრწუნებელი ხმა და საცოდავს ნექტარინას გულს შემოეყარა. მეორე კარებიდამ გამოვიდა ვიღაც მაღალი კაცი და მიმართა უცნობს.

— თავს უშველეთ, გაგვცეს!

— ჯერ მაგათ ვუშველოთ, ხომ ხედავ რა მდგომარეობაში არიან და უჩვენა ალმასხანზედ და ნექტარინაზედ. ამ სიტყვებით ის მივიდა ნექტარინასთან, დაჰხურა საბანი, რომ არ გა-

მოჩვენილიყო მისი მშვენიერის ტანის ფორმები და ცდილობ-და რომ გრძნობაში მოეყვანა.

— რას ჩადიხართ! ამ წუთშივე გასწიეთ. ერთი წუთი და თქვენ სიცოცხლედ დაგიჯდებათ დაყოვნება. თქვენი აქ ყოფნა ეხლა შეუძლებელია და არც საჭიროა. აქ ეხლა ცოლ-ქმარი არიან, რომელნიც თქვენ ღალატობენ და თქვენი აქ დარჩენა თქვე-ნივე დაღუპვა იქნება; აქ ბიჭები არიან, რომელნიც მოუცდიან მაგათ.

ამ სიტყვებით გაქრა ოთახიდან მალიათ გაიქცა უცნობი-ასხალ-გაზიდა. გაიღვიძა თუ არა გიორგიმ — მეორე გარეთიდან გა-მოჩნდა ქურდიონოვი, განრისხებულის ზარის სახით.

ქურდიონოვი დიდი ხანი იყო ასე მიმამული და ბევრი რამ დაინახა. ქურდიონოვი რაღაც მისტიურის გრძნობით ტუქვის იგენტდა, მაგრამ უცნობის მეიდიურის სახე აშინებდა.

როდესაც უცნობი გავიდა, ქურდიონოვი გატასავით გადახ-ტა ახლმასახანზედ და ნექტარინასთან გაჩნდა, რომლის ტანი და მიმოხრილობა ბიჭუტურის სიჩქარეს უღვიძებდა. ცოტა მოფიქრების შემდეგ აიღო ნექტარინა ხელში და ფიქრობდა, რომელი გზით გასულიყო — ბანიდან თუ კარებიდან. ცოტა ხანს შემდეგ და გადასწყვიტა, კარებიდამ გასულიყო, რადგან ეზოში არავინ არ შეხვდებოდა, მაგრამ სიმორცხვე გამოაცვლევინა ეს აზრი და ამჯობინა ბანზედ ასვლა და იქიდან კი მალე იპოვიდა გზას; გარდა ამისა ნექტარინა მალე მოვიდოდა გრძნობაში. ის იყო მოიფიქრა და ასრულებას შეუდგა. გასცილდა კარებს, მაგრამ ამ დროს მოაგონდა, რომ სანთელი არ გააქრო, დაბრუნდა სანთლის გასაქრობლად. ერთის წამს გააქრო, ნექტარინა აიყვანა ხელში და გასწია.

საშინელი სიბნელე მეფობდა ოთახში. ქურდიონოვი ისე

ჩუმად მიდიოდა, რომ თვითონაც არ ესმოდა თავის ფეხების ხმა. მისი მწვანე თვალები სიბნელეს დაჩვეული იყო. ეხლა ქურდინოვს ეს სისწრაფე-ღა დარჩენოდა, მაგრამ ნექტარინას ეტყობოდა, რომ გრძნობა უბრუნდებოდა. ამ გრძნობამ სრულებით სხვა აზრი დაუბადა ქურდინოვს. ქურდინოვმა გადასწყვიტა, რომ აქვე ამ სიბნელეში შეესრულებინა თავისი მხეცური წადილი, სანამ ნექტარინა გონს მოვიდოდა, თორემ მერე შესაძლებელი იყო არ დამორჩილებოდა. ამ აზრის მოსვლა და საქმედ გადაქცევა ერთი იყო. ქურდინოვი დაბრუნდა, ნექტარინა ლოგინზედ დასდო, მაგრამ ამ დროს ვიღაცამ გზა შეუღობა.

ქურდინოვი მივარდა უცნობს, მაგრამ დარწმუნდა, რომ ეს ჩრდილი არ იყო. ეხლა თავისი შველა საზრუნავად გაუხდა, რადგან შესაძლებელი იყო, რომ უცნობს ხანჯალი ან რამე იარაღი ეხმარა, რომლისაც ქურდინოვს, როგორც საზოგადოდ ყველა სომხებს, საშინლად ეშინოდა. ქურდინოვმა კიდევ სცადა რომ როგორმე ეს დაბრკოლება აეცდინა, მაგრამ უცნობი არ შორდებოდა და ნექტარინასთან ახლოს არ უშვებდა. ეს ჩუმი ბრძოლა ხანდისხან რაღაც გაუგებარ კვნესით გაისმოდა. ამ გარემოებამ ქურდინოვი სრულებით დააჯერა იმაში, ვითომც უცნობი ეშმაკი უნდა ყოფილიყო. ეს აზრი თან და თან უფრო მტკიცედ უჯდებოდა თავში, რადგან მისი და გულშემოყრილი ცოლ-ქმრის მეტი არ ვინ იყო ოთახში.—ადამასხანი უგონოდ ეგდო იატაკზედ, მაშასადამე ეშმაკის მეტი ვინ იქნებოდა—მით უმეტეს, რომ უცნობი არც ხმას იღებდა კაცურად, მხოლოდ კვნესოდა და გაუგებრად ოხრავდა.

თან და თან ქურდინოვი უფრო შეკრთა. დარწმუნდა, რომ ეშმაკიაო და იქამდის შეშინდა, რომ დაიწყო ყვირილი

და გაქცევით უშველა თავსა. მაგრამ ამ დროს ალაყაფის კარები გაიღო და რამდენიმე კაცი ფარნებით შემოვიდნენ ეზოში. ქურდინოვი ისევ ოთახში დაბრუნდა და კვლავ ეშმაკი შეუფეთა. ცოტა ხნის შემდეგ, სინათლე გამოჩნდა და ქურდინოვი, თვისდა სამწუხაროდ, დარწმუნდა, რომ ეშმაკი სალომე ყოფილიყო და ახლად შემოსული—გლახა და სხვა ბიჭები. ქურდინოვს ერთი-ღა საშველი რჩებოდა—გავარდა კარებში, ავიდა კიბეზედ და შემდეგ ბანზედ...

გლახამ დადგა სტოლზედ ფარანი და აი რა დაინახა. ალმასხანი გულ-შემოყრილი, გალურჯებული ეგდო იატაკზედ. ნექტარინა ტახტზედ ეგდო და სალომე პირ-დასისხლებული ამღვრეულის თვალებით გიჟივით რაღასაც ბუტბუტებდა. გლახა მაშინათვე მიხვდა, რომ აქ რაღაც საზარელი ამბავი მომხდარა. პირველი მისი ზრუნვა ალმასხანი იყო. მაშინათვე მივარდა მას და დარწმუნდა, რომ მისი ბატონი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. გლახა მიხვდა, რა საშველი ეჭირვებოდა ალმასხანს. საჩქაროდ აიღო სამართებელი, თუ ნესტარი და გამოუშვა სისხლი თავის ბატონს.

ასეთი დახმარება სწორედ რომ დროზედ იყო, თორემ ცოტა რომ დაგვიანებული იყო, ალმასხანი უთუოდ სულს დალევდა. სისხლის გამოშვების შემდეგ ალმასხანს მისცა სიცხე და ბოდვა დაიწყო.

გლახამ ალმასხანი მეორე ოთახში გადაიტანა, დააწვინა ლოგინზედ და მაშინათვე აქიმთან გაგზავნა, თვითონ კი მოახლოვდა სალომეს და გამოკითხვა დაუწყო მომხდარ ამბავზედ. რა ნაირად განცვიფრდა საწყალი გლახა, როდესაც სალომ, პასუხის მაგივრად, რაღაც ბუტბუტს მოჰყვა და ხელებით მუნ-

ჯავით ნიშნებს აჩვენებდა. ბოლოს სალომემ გააღო პირი და უჩვენა, რომ ენა მოჭრილი ჰქონდა.

ახლა გლახა აშკარად დარწმუნდა, რომ უიმისოდ აქ საშინელი ამბავი მომხდარა — მეტადრე სომეხის გაქცევამ და აქოთებულმა ოთახებმა უფრო დაარწმუნეს ამაში. ბოლოს, როგორც იყო გლახამ გაბედა და მივიდა თავის ქალ-ბატონთან.

საწყალი ნექტარინა გრძნობაში თითქმის მოსულიყო, მაგრამ, როდესაც ყველა მომხდარი თვალ-წინ წარმოუდგა, მაშინ ხელახლად გული შემოეყარა. ამ დროს გლახაც მიუახლოვდა, და მაშინვე შეუდგა მობრუნებას; ძმარი და ცივი წყალით, სალომეს დახმარებით, როგორც იყო, სული უბრუნებდენ უბედურს ნექტარინას.

ამ დროს აქიმიც მოვიდა. აქიმი სომეხი იყო, სახელად ხაჩატური—უშნოდ აწოწილი, მუდამ ბურნუთს სწევდა—მივიდა ნექტარინასთან, მაგრამ არც ერთ იმის კითხვაზედ, კნეინამ პასუხი არ გასცა. აქიმმა მაჯა გაუშინჯა—მოსწია ბურნუთი და მნიშვნელობით წარმოსთქვა:

— მალე ფეხზედ წამოდგება თუ....

— თუ? გაიმეორა გლახამ.

— თუ მალე არ მოკვდა, გულ-გრილად მიუგო აქიმმა და ხელახლად ჩაიყარა ცხვირში ბლომად ბურნუთი. ამის შემდეგ ალმასხანიც ნახა და ისევ ის სთქვა, რაც ნექტარინას შესახებ წამოროშა:

— მალე წამოდგება ფეხზედ, თუ...

— თუ? გაიმეორა გლახამ.

— თუ დღესვე არ მოკვდა—მიუგო აქიმმა და ისევ ბურნუთით აიმსო ნესტოები.

აქიმი თუმცა დიდ ტუტუცს ჰგვანდა, მაგრამ კაცი რომ

დაჰკვირებოდა, შეამჩნევდა რომ დიდად ჩაფიქრებული იყო — ალბათ საშუალებას ეძებდა, რომ რაიმე მოხმარებოდა გაჭირვებულ ცოლ-ქმარს.

აქიმი შეუდგა წამლების მზადებას.

## თავი VIII

მეორეს დღეს, ადრიანვე, თბილისის მცხოვრებნი დიდ ფაცა-ფუცში იყვნენ არა ჩვეულებრივი ალიაქოთით და დიდის მოძრაობით ქუჩებში. ჯერ კიდევ კარგად გათენებული არ იყო, როდესაც რუსების ჯარი გამოჩნდა სხვა და სხვა ადგილას. ყველ-ლას თოფები დატენილი ჰქონდა. სადაც კი შესაძლებელი იყო, ყველგან ზარბაზნები დადგეს — ადიუტანტები, ჟანდარმები, ყა-ზახები და სხვანი, გაგიჟებულებივით დარბოდნენ ერთი ქუჩიდამ მეორეში. პოლიციის მოხელენი ერთი სახლიდამ მეორეში და-ძვრებოდნენ, ერთ ქოხიდამ მეორეში გადადიოდნენ. ეტყობოდათ, რომ რაღაც მომხდარიყო არა ჩვეულებრივი და საშიში.

პირველი აზრი, რომელიც გაუელვებდა კაცს თავში, ეს იყო შიში, ვაი თუ კიდევ სპარსელები დაგვეცნენო, რადგან 1795 წლის უბედურებაა ჯერ კიდევ ცხოვლად ახსოვდა ყველას. მაგრამ ჯერჯერობით არც ზარბაზნის და არც თოფის ხმა არა სჩანდა. სალდათები ქალაქის წრის გასვლის მაგიერ, რომ მტერს შეტაკებოდნენ — ქუჩებში იდგნენ და ეტყობოდათ, რომ სახლებს უდარაჯებდნენ.

მომეტებული ალიაქოთი და მოძრაობა მუხრანის ხიდის-კენ იყო, სადაც თავადი ალმასხანის სახლი იდგა. აუარებელი სალდათების გროვათი თითქმის გატენილი იყო ყოველივე ახლო-

მახლო ქუჩები, ასე რომ ადიუტანტებს და ჟანდარმებსაც დიდად უწყობდათ ამ გზით საერთო ბრძანებათა გადასაცემად.

თავადი ალმასხანის ეზოში შემოვიდა ქალაქის კომენდანტი, პოლიციმეისტერი მთელის კანცელიარიითურთ. მათთან შემოვიდა ქურდინოვიც.

კარებში მათ მიეგება გლახა განწირულების თვალებით, გზა შეუკრა ყველას და შემდეგი სიტყვებით მიმართა:

— რა გინდათ? ჩემი ბატონები ავად არიან და არავისა მიღება არ შეუძლიან.

— აქ იმალება ერთი კაცი, რომელიც იწოდება ბატონიშვილად. ის ქსლა-ხან ჩამოვიდა სპარსეთიდან, რომ აეჯანყოს ქართველი ხალხი. ეხლავ აქ შეგვატყობინეს, სადაც ის იმალება. თუ შენ იმას მოგვცემ, დიდი ჯილდო მოგელის, ხოლო თუ მოგვატყუილებ, ჩამოგახრჩობთ.

— ღმერთს გეფიცებით, აქ არავინ არ ყოფილა და არც არავინ არის, გარდა ჩემი ბატონებისა და ზოგიერთი ბიჭების მეტი.

— ღამითაც არავინ ყოფილა?

— ღამით, შენი ჭირიმე, მე აქ შემხვდა ქურდი, რომელიც შესულიყო ჩვენი ქალ-ბატონის ოთახში, სანთელი გაექრო და ალბად გაქურდვა უნდოდა, ან ბატონის და კნეინის მოკვლა, მაგრამ, შენი ჭირიმე, მე ეხლა იმას აქა ვხედავ, და ნურას შეგაცრავად—აი ეგ სამაგელი სად არის. აი მე ძაღლო! და ამ სიტყვებით გლახა მივარდა ქურდინოვს და ჩაავლო ხელი ყელში.

— რას იტყვი ამაზედ, საყვარელო? უთხრა კომენდანტმა ქურდინოვს.

— მე, მართალია, აქ ვიყავი, მიუგო ქურდინოვმა და თან

ცდილობდა თავი დაეხწია გლახას ხელებიდან—ვიყავი, მაგრამ ქურდივით არა,—არამედ როგორც ერთგული რუსის მთავრობისა. გავიგე თუ არა, ვინ იმალებოდა ამ სახლში, მე მინდოდა დავრწმუნებულიყავი და იმიტომაც მოვედი აქა.

—ჩემ ბატონთან არავინ არ იმალება, უპასუხა გლახამ და წაუჭირა ყელში:

—თუ ბატონთან არა, იქნება ქალ-ბატონთან იყო, მიუგო ქურდინოვმა რაღაც გველურის ღიმილით.

—შენ მიჭქარამ, სტყუი, შე ძაღლის ნაშობო! დაიღრიალა გლახამ და ისე მაგრად მოუჭირა ხელი ყელში, რომ ქურდინოვმა კინაღამ სული არ დალია.

—ვაიმე, ვაიმე! მიშველეთ, თორემ ეს მხეცი დამახრჩობს.

—კარგიც იქნებოდა, სთქვა ჩუმად კომენდანტმა, რადგან შეატყო რომ ქურდინოვი კარგს ვერაფერს განიზრახავდა მთავრობისათვის და თუ ჩაიდენდა რასმე, უთუოდ თავის სასარგებლოდ. კომენდანტმა ხმა-მაღლა დაუძახა,—გაუშვი გლახა!

გლახამ ნებაუნებლიედ შეასრულა ეს ბრძანება. საწყალს გლახას საშინლად უნდოდა ამ საძაგლის დაღრჩობა, მაგრამ ძალად დაემორჩილა.

ამის შემდეგ შეუდგნენ ჩხრეკას და ძებნას. კომენდანტი, პოლიცმეისტერი, ჟანდარმები და ჩინოვნიკები შევიდნენ სახლში.—შევიდა აგრეთვე ქურდინოვიც, რომელიც გლახას შორს უვლიდა.

ერთ ოთახში კომენდანტმა ნახა კნეინა ნექტარინა, ტახტზედ წამოწოლილი. საწყალი კნეინა გიჟივით იყურებოდა—ფეხქვეშ ეგდო სალომე და საშინლად ქვითინებდა.

მეორე ოთახში კომენდანტმა დაინახა თავადი ალმასხან, რომელიც ბოდავდა. იქვე სკამზედ იჯდა აქიმი, რომელიც უვ-

ღას ბურნუთს სთავაზობდა, მაგრამ კომენდანტმა გააჩერა და ჰკითხა:

— როგორ არის თავადი!

— უთუოდ მოკვდება, თუ...

— თუ რა? განიმეორა კომენდანტმა.

— თუ თქვენ თავს არ დაანებებთ, მიუგო აქიმმა და კიდევ შეიყარა ცხვირში ერთი მუჭა ბურნუთი.

როდესაც ყოველივე გაჩხრიკეს, კომენდანტი, მხლებლებითურთ ავიდენ ბანზედ, სადაც დაინახეს ვიღაც თავ შეხვეული კაცი. ეს იყო თავადი დიმიტრი.

ამ გარემოებამ უფრო გაამხნევა ქურდინოვი. როდესაც დიმიტრი გაანთავისუფლეს, ყოველისფერი დაწვრილებით მოახსენა, როგორც იყო ეს ამბავი. ისიც გამოაშკარავა, რომ სადომე ქურდინოვმა შეისყიდა, რომ ქურდინოვმა თავისი ბიჭი არუთინა გაუგზავნა მას სოფელში და შეატყობინა ეს გარემოება; მერე უამბო, რომ ალმასხანსაც არ დაუმალავს მისი ცოლის ღალატი და სამნივ ერთად წამოვიდენ სახლში მოღალატეს დასასჯელად.

გლახა, ამ ლაპარაკის შემდეგ, მალე მიხვდა, ვინც იყო მისი ბატონის და კნეინის შეურაცხ-მყოფელი და სადომეს ვინც მოსჭრა ენა. ქართველი ხელმწიფეების დროს ასეთი დასჯა ძალიან ხშირი იყო. საქართველოში ძალიან ხშირად შეხვდებოდით ხელებ მოჭრილებს, ცხვირ მოჭრილებს, თვალ-ამოთხრილებს და ბევრ ამისთანა სასჯელით დასჯილს. ეს ჩვეულება კიდევ იყო რუსების მოსვლის შემდეგაც. თავადები ხშირად ეპყრობოდენ თავიანთ გლეხებს ასე.

ჯიქურა, რომლის საქმეც იყო სადომეს ენის მოჭრა, თავის ბატონისშვილის მონა იყო და იმის სურვილს ასრუ-

ღუბდა, რადგანაც ბატონიშვილი, იმისი აზრით, საქართველოს ტახტის მემკვიდრე იყო. გლახა, თუმცა მიხვდა ამას, მაგრამ ბატონიშვილისა და იმის შემწეს გაცემა ღვთის გმობათ მიაჩნდა.

თავადის დიმიტრის ჩვენებისაგან კომენდანტმა გაიგო, რომ ალმასხანს არაფერი სცოდნია და ამისათვის ალმასხანს თავი დაანება და გასწია კნეინასა და სალომესკენ. მაგრამ არც ერთი და არც მეორე ხმას არ იღებდნენ.

ბევრი წვალების შემდეგ, კომენდანტი დარწმუნდა, რომ ვერაფერს გაიწყობდა და ამისათვის დარაჯები დაუყენა ყოველ კარებზედ ალმასხანის სახლსა და თვითონ მთავარ-მმართველისაკენ გასწია, რომ გამოძიების შემდეგი მოეხსენებინა.

ამ დროს კი ქალაქში და ახლო-მახლო სოფლებში დიდი მეჩნა იყო. ყველა გზებზედ დარაჯები და ჯარები დაყენებული იყო. ცოტა თუ საეჭვო იყო ვინმე, მაშინათვე იჭერდნენ.

მეორე დღეს მთავარ-მმართებელის ბრძანებით ჯარები საომრად მზად იყვნენ და ქუჩებში გაორკეცებული დარაჯები იდგნენ.

კარგა ხანი გავიდა, რაც კომენდანტი წავიდა ალმასხანის სახლიდგან და სწორედ ამ დროს თავადის სახლის ახლო ქუჩაში გამოჩნდა მეთულუხჩე. ცხენს ლაგამის მაგიერ თოკი ჰქონდა გაკეთებული და თუმცა მშვენივრი ჯიშისა იყო, მაგრამ მაინც მეთულუხჩეს ცხენს ჰგვანდა. თვითონ მეთულუხჩე, თუმცა გატალახიანებული იყო, და ძველი დაფლეთილი ძონძები ეცვა, მაგრამ მისი მხნე და მამაცური აგებულობა, მაღალი ტანი, ჭკვიანი გამომეტყველება—აშკარად ამტკიცებდა, რომ მეთულუხჩეთ მხოლოდ დროებით და გაჭირვების გამო გამხდარიყო.

დარაჯს, რომელიც ალაყაფის კარებთან იდგა, საშინლად

მოუნდა წყლის დალევა. რადგან ბრძანება არ ჰქონდა, რომ მეთულუხჩეებიც დაეჭირა, თვითონ გაუღო კარები.

შევიდა თუ არა მეთულუხჩე ეზოში, მაშინათვე დაუძახა გლახას. გლახამ ხმა იცნო — მაშინათვე გამოვარდა გარეთ, მაგრამ, მეთულუხჩეს მეტი, არავინ დაინახა და ისევე უკან უნდოდა შესვლა, მხოლოდ მიაძახა:

— წყალი საჭირო არ არის!

— გლახა, გლახა, გაიმეორა, მეთულუხჩემ — ნუ თუ ვერ მიცანი.

## თავი IX

გლახა ამ ხმის გაგონებაზედ შეკრთა. ერთი შეხედვა მეთულუხჩესი და ცნობა მისი ერთი იყო, მაგრამ დარაჯი იქვე ახლოს იდგა და ამიტომაც გლახამ თითქმის ჩურჩულით სთქვა:

— შენი ჭირიმე, შენი! შენა ხარ, ბატონო ჯიქურ?

— დიახ, მე ვარ, მაგრამ ჩუმად იყავი. გამოიტანე რამე ჭურჭელი, სადაც წყლის გადასხმა შეიძლოს და, სანამ მე ამ საქმეში ვიქნები, შენ ყოველისფერი დაწვრილებით მაამბე, რაც მოხდა აქ ბატონიშვილის შემდეგ. მაგრამ ჯერ ეს ბარათი კნეინას გადაეცი.

ამ სიტყვებით ჯიქურამ მარჯვედ ამოიღო ჯიბიდამ ბარათი და გადასცა გლახას, რომელმაც მაშინათვე ოთახში გაწია და ცოტა ხნის შემდეგ გამოიტანა დიდი კოკები და ჯიქურა იმ წუთსვე შეუდგა ნელ-ნელა წყლის გადასხმას; დარაჯი თავისთვის იდგა, თითქოს ახლოს არაფერი ყოფი-

ლაო. გლახამ დაწვრილებით უამბო ყველაფერი, რაც ჩვენ ვიცით.

— რა უნდა იმ დაწყევლილს სომეხს შენი ბატონისაგან, რა მიზეზია, რომ ასე ემტერება? ჰკითხა ჯიქურამ.

— იმიტომ, შენი ჭირიმე, რომ ქურდიკოს ნუქტარინას შერთვა უნდოდა. მაგრამ ღმერთი გაუწყრა და აჯმასხანმა და-ასწრო. ქურდიკოს ეხლაც უყვარს გნეინა და რამდენჯერ ცდი-ლობდა მეესყიდნა სალომე, რომ ნუქტარინა როგორმე ხელში ჩაეგდო. სალომე დიდ ხანს იმაგრებდა თავს, მაგრამ ეტყობა რომ ოქროს შეუცდენია, რომ სომხისათვის გაუმხილებია გნეი-ნას საიდუმლო.

— და იმიტომაც დაისაჯა ასე ღირსეულად — მიუგო ჯი-ქურმა.

— ვიცი და ეხლა თუმცა გვიან არის, ძალიან ნანობ. მე-თითონ ჩემის თვალით ვნახე, რომ ქურდიკოვისაგან მილებუ-ლი ოქრო სულ მტკვარში გადაჰყარა.

— სრულებით უადგილო სინანულია, თქვენმა მზემ. მაგრამ შენ ეს მითხარი, გნეინა როგორ არის?

— შენს მტერს — მუდამ მოწყენილი, არაფერსა სჭამს, არა-ფერსა სვამს.

— გლახა, უნდა როგორმე დავიხსნათ გნეინა — ის ეხლა ორ-ნაირ განსაცდელშია, ერთი ქმრისაგან და მეორე მმარ-თებლობისაგან. უნდა როგორმე აქედამ წავიყვანოთ.

— შეუძლებელია, ბატონო, განა შენ არ იცი, რომ თითო კარებზედ ორ-ორი დარაჯი დგას. ღამით ხომ მოემატება, ბრძანება აქვთ მიცემული, რომ არავინ არ გამოუშვან აქედამ, მეტადრე ქალები, რადგან ბატონიშვილი იმათთან უფრო და-კავშირებული იყო. არა, შენი ჭირიმე, არაფერი საშუალობა არ არის გნეინას დახსნისა.

— ღმერთო, ბიჭო, ხომ არ გაგიჟდი? ბატონიშვილმა ინება და ასე უნდა იქმნეს, ბატონიშვილმა მიბრძანა, რომ უთუოდ გამოიყვანე და თუნდაც რომ მეც, შენც და ათას ჩვენისთანას სიცოცხლე წაერთვას, მაინც უნდა ავასრულოთ იმისი ბრძანება. შენ ხომ იცი.

— განა ბატონიშვილი კიდევ აქ არის? განა თქვენ არ იცით რომ ყოველ სახლში, ყოველს ქოხში დაეძებენ ბატონიშვილსა?

— ბატონიშვილი ჯერ აქ არის და არც წავა ისე, რომ ნექტარინა არ დაიხსნას, ის კნეინას წაყვანას ფიქრობს აქედან სრულებით.

— ეს ძალიან კარგი იქნებოდა, რადგან თავადი ალმასხანი თავის დღეშიაც არ აპატიებს იმას თავის შეურაცხ-ყოფას. მაგრამ ერთი მიბრძანე, როგორ მოვახერხოთ ეს საქმე. ღამე თუ თორემ დღით შეუძლებელია.

— რას ამბობ, ღამე ყველა ქუჩები სალდათებით გატენილი იქნება. იქნება კიდეც განზრახ დააყენეს დღით ასე ცოტა დარაჯები, რომ ვითომც დაგვარწმუნონ, რომ ყურადღებას არ გვაქცევენ და ღამით თამამად იქნებიანო, მაგრამ მათი მასწავლებელი ჩემი შაგირდი იყო, ამით თვალს ვერ ამიხვევენ. მე მგონია და დარწმუნებულიცა ვარ, მხოლოდ დღით შეგვიძლიან ჩვენ ეს მოვახერხოთ, რომელიმე ხერხის საშუალობით, თორემ ღამით და ძალით შეუძლებელია.

— მე ვერაფერი მომიგონია ასეთი, უპასუხა გლახამ მოწყენით.

— შენ ოღონდ შეატყობინე კნეინას, რომ ხვალისთვის აქედან გასაქცევად მოემზადოს და შენ თვალ-ყური ადევნე ყველაფერს — მზად იყავი.

— მაგრამ კაი თუ კნეინა არ დათანხმდეს?

— არა, კნეინას ბატონიშვილი ყველაფერს ურჩევნიან!

— მაშ იმედია, რომ დაგვიჯერებს!...

— რა თქმა უნდა, შენ ოღონდ ეცადე რომ საღამომდე ყველა-ფერი გაიგოს, თორემ თვით ეშმაკი ასწავლის ლაპარაკს ჩვენ გასაცემად, თუმცა ენა აღარა აქვს.

ამ დროს თულუხიც დაიცალა და ჯიქურმა, ეჭვის ასა-ცდენად, წასვლა დააპირა.

— მაშ ნახვამდის გლახა და დაიხსომე რაც გითხარი.

— ღმერთი იყოს შენი შემწე! არაფერი დამავიწყდება.

ჯიქური თავისუფლად გავიდა ალაყაფის კარებიდან და გასწია ქუჩა-ქუჩა.

ამავე დროს როცა ჯიქური და გლახა ასეთს შეთქმაში იყვნენ, სულ სხვა და სხვა ნაირი შეთქმა მზადდებოდა ქურ-დინოვის სახლში.

ქურდინოვი და თავადი დიმიტრი ტასტიჩედ ისხდნენ მშვე-ნიერ და მდიდრულად მორთულ ოთახში, სადაც, საძუნწის გამო, ხალიჩები და ნოხები ძირ-ქვე იყვნენ დაგებულნი. წინ ედგათ კახური ღვინო და აი რა ბაასი ჰქონდათ:

— ღმერთს გეფიცები, კნიაზო, ასეთ შემთხვევას ველარ იშოვით. ეხლა თქვენ მაზედ დიდი ეჭვი აქვთ და, თუ თქვენც მოუმატებთ ჩემს დაბეზღებას თქვენს დაბეზღებასაც, მაშინ უთუოდ მეტეხში გაგზავნიან—ალმასხანის დადასტური რუსეთი-სადმი აშკარა იქნება. ნექტარინაზედ კი ნურას იტყვით, თო-რემ, ხომ იცით, მე წაგებაში ვიქნები.

— ოჰ, რა ეშმაკური ჭკუა გაქვს, შე ამოსავარდნელო სო-მეხო!

— არა, კნიაზო, თქვენ ყური დამიგდეთ. აქ თქვენც დიდი

სარგებლობა გექნებათ, თუ ავად-მყოფობა და მეტეხში ჯდომა თქვენს ძმას ამ სოფლიდან ვერ ააბარგებს, მაშინ ჩვენ ვეცა-დოთ, რომ ციმბირში უყრან თავი. მაშინ აჰყუნათ თქვენ და-გაყენებენ... ოჰო, როგორც გატყობთ თქვენ მოგეწონათ ჩემი წინადადება — თქვენ ხომ ხედავთ, რომ მე მარტო ჩემს თავ-ზედ არ ვზრუნავ. გარდა ამისა ჩემს წილად რა რჩება, მხო-ლოდ ნექტარინა, რომელიც უთუოდ მალე მომბეზრდება და მაშინ რაღა დამრჩება? არაფერი.

— ჩემი ვალები, სომეხო? შენ ხომ გარკვად იცი, რომ შენს ვალებს მე ვერ გადავიხდი.

— ვიცი, კნიაზო, ვიცი, ალმასხანის ქონება, კი არა ჩინე-თის ქონებაც რომ მიიღოთ, თქვენ მაინც არ მომცემთ ჩემს ფულებს!

— აი ნამდვილი სომეხი, როგორც გარკვად მიცნობს და! მაგ-რამ შენ ეს მითხარი დონოსს ვინ დასწერს.

— როგორ თუ დონოსს? თქვენვე შეადგენთ. ვა, დონო-სის დაწერა თქვენ დიდი რამე გგონიათ, იმაზედ ადვილი არა-ფერი არ არის. შეატყობინეთ მთავრობას, რომ თქვენ დიდი ხანია, რაც შეამჩნიეთ — თქვენი ძმის და ბატონიშვილის ალექ-სანდრეს კავშირი, რომ ალმასხანს ხშირად მოსდიოდენ სპარ-სეთიდამ ვიღაცანი, რომელთაც თავის სახლში მალავდა, რომ ღამღამობით ერთად იკრიბოდენ. გუშინდელი ამბავი თქვენ ასე აუხსენით. ვითომ და სალომემ თქვენ შეგატყობინათ, რომ სპარსეთიდამ ვიღაც ჩამოვიდა და კნეინასთან მარტოდ არის და ჩვენ ალმასხანს შევატყობინეთქო, რომელმაც, მადლობის მაგიერ, შემგინა და შემბოჭა თქო. ესეც დაუმატეთ, რომ ქურ-დინოვსაც ასე მოექცეოდენ, მაგრამ დროზედ თავს უშველდა თქო

და ქურდინოვს დაუნახავს ის უცხო სტუმარი, რომელიც ნექტარინასთან იყო თქო.

— შენ კი, რაებს ამბობ — ეგ ხომ საშიშარი დაბეზღებაა.

— საშიშარი! მაშ თქვენ უშიშრად და უშრომლად გინდათ გამდიდრდეთ. ვაიმე, ვაიმე, კნიაზო! ახე მოიქეცით, როგორც მე მოგახსენეთ, თორემ თქვენი მამული ხვალვე ვაჭრობით გაიყიდება, მე ერთ გროშსაც აღარ გასესხებთ. მაგრამ იქნება თქვენ ალმასხანი გებრალებათ და სინიდისი ნებას არ გაძლევთ რომ დააბეზღოთ?!

— ფუი! გააფურთხა დიმიტრიმ და ზეზეულ წამოდგა. შენ, ჩემო ძმაო, გარეგა კარი ყოფილხარ, თუ მართლა გგონია, რომ ალმასხანი მებრალება. რა სინიდისი? რომელ სინიდისზედ ლაპარაკობ. ეგ, მე ტუტუცების ყისტაბაშო, მე ამას არ გეუბნები. მე გეუბნები, რომ დანოსი ვერ დავამტკიცოთ და ჩვენვე მოგვიჭრიან ხელი! მერე?!

— მერე და ვის გაუგონია, რომ დამბეზღებელი სასჯელში მიეცეს, მეტადრე ქრისტიანულ დროში... ვაიმე, ვაიმე, თქვენ სულ არ გცოდნიათ რუსის კანონები. და გარდა ამისა, ფულის საქმე არ არის, რომელ სიმართლესაც გინდა დღესვე გავამტყუნებ... ვაიმე, ვაიმე, კნიაზ, ფულის საქმეა, ფულისა!

— მართალს კი ამბობ აი, მართლა რომ სულ ფულის საქმეა... მაგრამ იცი რას გეტყვი, მე ფული წინადვე მომინდება. ხომ იცი წინ და წინ თუ დაქრთამე კაცი, ბოლოს საქმე შენ ხელში იქნება.

— ვაიმე, ვაიმე, რას ბრძანებ, შენ საქმისათვის ფული არ მოგცე! და ამ სიტყვებით ამოიღო მელნებური საწერ-კალამი და მიართვა თავად დიმიტრის. ‘დასწერე კნიაზო დანოსი და მე ფულს ეხლავ ამოვიღებ.

## თავი X

ექიმი ხუნატურის და გლახას წყალობით თავადი ალმასხანი ნელ-ნელა გონზედ მოდიოდა. თუმცა ალმასხანი, როგორც მკითხველმა იცის, მხნე და მაგარი კაცი იყო, მაგრამ უბედურებამ კინაღამ სამარემდის არ მიაღწევინა, მაგრამ ჯერ-ჯერობით სრულიად არ იყო მორჩენილი, და კიდევ დიდ ხანს მოუნდებოდა ლოგინზედ წოლა.

საბრალო კნეინა ნესტარინა სრულებით დახშული იყო. ამას ყოველთვის თვალ-წინ ეხატებოდა ის დრამა, რომელშიაც ასეთი დიდი მონაწილეობა ხვდა და ეს გარემოება საშინელს შთაბეჭდილებას ახდენდა მასზედ. ძნელი მოსალოდნელი იყო, რომ ნესტარინა ასე ადვილად გადარჩენილიყო ამ უბედურებას. ექიმი სწამლობდა ხელოვნურად ალმასხანს, მაგრამ სულის და ზნეობის სენსა რა წამალი აქვს?

ჩუმად იწვა თავის ლოგინზედ. არც ერთი სიტყვა, არც ლოცვა, არც წყევლა თავის ბედ-იღბალისა არ გაგონილა იმისაგან. გულ-ხელ-დაკრეფილი ნესტარინა ცხედარსა ჰგვანდა. სალომეს მეცადინეობა ვერაფერს შველოდა.

შუა-დღისას გლახა შევიდა კნეინას საწოლში და ტკბილის ხმით უთხრა:

— ბატონიშვილმა ალექსანდრემ მოგიკითხათ. ნესტარინა შეკრთა; გამხდარი, ფერ-მიხდილი, მისი პირის-სახე ერთბაშად გამოიცვალა, თვალები აენთო, სახე გაუწითლდა და მთელს მის არსებას დაეტყო, რომ სიყვარულისაგან დნებოდა.

— ბატონიშვილი? ჰკითხა კნეინამ და იმედიანად შეხედა გლახას, ბატონისშვილი? განიმეორა კიდევ. ნეტა სად არის?

— ჯერ კიდევ თბილისში გახლავთ, გენაცვა, და მოგართვა წერილი, ჯიქურასაგან გადმოცემული.

— მაშ ჩქარა! წარმოსთქვა გენიამ და თავისუფლად ამოისუნთქა, თითქოს მხრებიდამ ტვირთი მოიშორაო; ჩქარა მე ვნახავ იმას!... ნექტარინა დაუშვა მუხლებზედ და ლოცვა დაიწყო.

---

გვიან დილა იყო. თუმცა აღწერილი ამბავი მოხდა ნოემბერში, მაგრამ დღე ნათელი და თბილი იყო. თბილისში შემოდგომა ყველაფერს სჯობია, მეტადრე ოქტომბერი და ნოემბრის დასაწყისი.

საყდრის ზარები არე-მარეს აღვიძებდა. რუსები, ქართველები და სომხები საყდარში ეშურებოდნენ. ზოგი სალოცავად, ზოგი ვისმეს დასანახავად და ზოგნი დროის გასატარებლად. მხოლოდ ალმასხანის სახლთან სიჩუმე იყო. დარაჯის დანახვა ყველას აშინებდა და გზას ახვევინებდა: არავის უნდოდა სალდათის დანახვა, მხოლოდ იმისთვის რომ ეს დარაჯი ქართველი თავადიშვილის სახლთან იდგა — მხოლოდ ვისაც ძალიან ეჩქარებოდა ამ ქუჩით გავლა, ისინი საჩქაროდ გაივლიდნენ და სალამს აძლევდნენ სალდათს:

— გამარჯვება რუსო!

ათი საათი იყო, როდესაც დუქანში, რომელიც ალმასხანის სახლის ახლოს იყო, შევიდა საზანდარი, დაგლეჯილი ტანისამოსით, ამასთანავე ქალამნებში, ერთ-თვალ შეხვეული და ზურნით ხელში.

საზანდარი ჩამოჯდა დუქნის კარებთან და დამღერა ლექსი:

ბიჭო, კარები გააღე მალე:
სტუმარი მოდის, დაუხვდით წინა.
ბიჭო, ქალ-ბატონს ეს მოახსენე:
უნდა დასტოვოს თავისი ბინა!

გლახამ გაიგონა სიმღერა თუ არა, მოაგონდა ჯიქურის სიტყვები და დაუწყო ყურის გდება. საზანდარმა კიდევ განიმეორა თავისი ლექსი. რა თქმა უნდა, გლახა მალე მიხვდა, რომელ ბიჭს ეკუთვნოდა ეს სიტყვები და რომელ ქალ-ბატონს უნდა დაეტოვებინა სახლი. აშკარა იყო, რომ ჯიქურას განუზრახავს კნეინას მოტაცება. გლახამ პირ-ჯვარი გადაიწერა და გამოაღო კარები, როგორც ლექსი ეუბნებოდა და შემდეგ გავიდა კნეინას შესატყობინებლად.

მოახსენა კნეინა ნექტარინას ეს თუ არა, ამ დროს სწორედ ფანჯრის წინ გამოჩნდა ვიღაც კაცი დატვირთულის ცხენით, ცხენებს ზურგზედ ორი დიდი გოდორი ჰქონდა გადაკიდებული.

გლახა გარეთ გავიდა მებზევის გასაგდებათ, მაგრამ ამ დროს მებზევემ ჰკითხა:

— ეი, ძმობილო ბზე ხომ არ გინდა? გლახამ ხმაზედ იცნო ჯიქურა.

— გვინდა, გვინდა შენი ჭირიმე! არიქა—აი შემოიტანე.

— ბზე სად დავყარო?

— აი აქა, აქა, უჩვენა გლახამ პირდაპირ კნეინას ოთახისაკენ. თუმცა გლახამ და ჯიქურამ იცოდენ, რომ რუსის დარაჯს ქართული ენა არ ესმოდა, მაგრამ მაინც ჩუმად ლაპარაკობდენ, რადგან ეშინოდათ, რომ დიმიტრის ან ქურდინოვისაგან გამოგზავნილ კაცებს ყური არ დაეგდოთ.

ჯიქურამ და გლახამ მოხსნეს გოდრები და შეიტანეს

კნეინას ოთახში. აქ ჯიქურმა დაინახა თუ არა სალომე, მკაც-რად უთხრა გლახას:

— ეს დედა-კაცი რატომ არ გაიყვანე აქედან?

— მე ხომ გითხარი შენი ჭირიმე, რომ ესლა ნანობს მე-თქი და კნეინამაც აპატია და თან უნდა წაიყვანოს.

კნეინამ დაამოწმა გლახას სიტყვები და ამიტომ ჯიქურამ გადასწყვიტა, რომ ორივე წაეყვანა. ჯიქურმა უთხრა სალომეს, რომ გომურში ჩამჯდარიყო.

სალომემ სიხარულით შეასრულა ეს და, როდესაც ჩა-ჯდა, სრულებით არ მოჩანდა. ზედ ჩადრი დააფარეს და შემდეგ ცოტა ბზეც მოაყარეს. ამ რიგათვე ჩაჯდა კნეინა ნექ-ტარინაც.

როდესაც მორჩნენ ამას, ჯიქურამ და გლახამ ორივე გო-დორი გაიტანეს გარეთ და მოამართეს კურტანზედ.

გავიდნენ თუ არა გარეთ, პატარა მოაჯირიდგან გამოისმა ჩუმი შეკავებული სიცილი და გამოჩნდა დიდი სომხური ცხვი-რი, მწვანე გახარებული თვალები—ეს იყო ქურდიკოვი.

— აი ნამდვილი მტუკა, უთხრა ქურდიკოვმა მის უკან შე-მოსულ თავ. დიმიტრის—კარგია, რომ პოლიციას ადრე მი-ვედით, თორემ მტრედი თავის ბუდიდგან გაფრინდებოდა. ეხ-ლა ჩვენ ხმის ამოუღებლად შეგვიძლიან ორივე გოდორი ჩემ-სას გადავიტანოთ. კარგია რომ ასე მოხდა, თორემ კნეინას დათანხმება ძნელი იქნებოდა. კნიაზო, ესლავ ამ უკანა კარე-ბიდამ გადით და ბიჭების დახმარებით შეიპყარით მეკურტნე და კურტანიც—თქვენ ოთხი კაცი გყავთ— მეკურტნე უთუოდ დაიჭირეთ, იმის დაჭერით იქნება ჩვენ ბატონიშვილს ალექ-სანდრეს მივაგნოთ. აბა, მალე გასწით, რომ მეკურტნე არ გა-გექცეთ.

თავადი დიმიტრი გავიდა და ქურდინოვი კი დაცინვით უყურებდა ჯიქურასა და გლახას მეცადინეობას.

გლახა კი ეშმაკის ასაცდენლად ლანძღავდა ჯიქურას ყველა ენაზედ, ვითომც დამპალის ბზის მოტანისათვის. ჯიქურამ კიდეც გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ მობრუნდა გლახასაკენ და ამ დროს დაინახა ქურდინოვის სახე. გლახამ შეამჩნია ჯიქურს, რომ რაღაც მომხდარიყო და ამისთვის მობრუნდა. ადვილი წარმოსადგენია, რა გაკვირვებული შეიქმნა ჯიქურა, როდესაც დაინახა ქურდინოვი.

— ყოჩაღ ბიჭებო, უთხრა ქურდინოვმა, თქვენ მშვენიერ მტყუვისთვის მოიგონიათ. აბა, ბიჭებო დაუჩქარეთ, თორემ სხვა დარაჯები შეგვიტყობენ, უთხრა ჯიქურას ქურდინოვმა თანაგრძნობით.

ჯიქურას გაუხარდა ასეთი თანაგრძნობა და კიდეც საჩქაროზედ გასწია, თუმცა გლახა გაჯიბრებულის ხმით უძახდა.

ჯიქურა ქურდინოვს არ იცნობდა და იფიქრა, რომ ეს კაცი უთუოდ გლახასაგან გამოგზავნილი არის, რომ დამეხმაროსო და უკვირდა, რომ გლახა ასე მოუთმენლად ეძახდა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია, რადგან, იფიქრა, ალბად კნეინას რამე დაავიწყდათ და ამისათვის მეძახისო.

ჯიქურა ეხლა თავის თავს თავისუფლად გრძნობდა, მაგრამ ამ დროს ქუჩის მოსახვევ ადგილას, წინ დაუხვდა დიმიტრი ოთხის ბიჭით, რომლებიც ერთ წუთს გარს შემოეხვივნენ. თავადი დიმიტრი მივარდა ჯიქურას:

— აქ მოიტა ალვირი, შე ავაზაკო? როგორ გაბედე ჩემი ძმის ცოლის მოტაცება? და ამასთან ცდილობდა ძალით წაერთმია ალვირი.

ჯიქური მიხვდა, რომ მისი საიდუმლო გაგებული იყო

და ამისათვის მალე გადასწყვიტა, რომ ძალით თუ რამე იქნებოდა, თორემ ხერხით ვეღარაფერი ვერ მოახერხებოდა. და ამასთან ისე მაგრად და ღონივრად წაჰკრა გულში ხელი დიმიტრის, რომ საცოდავი თავადი ათ ნაბიჯზედ გადავარდა.

მაშინ ოთხნივე ბიჭები დაეცნენ ჯიქურს თავს, მაგრამ ჯიქურამ თავის მალა-ღონე სულ ეხლა მოიკრიფა და ერთი ხელით ალვირი ეჭირა და მეორეთი ბიჭებს ებრძოდა. თითოს გარტყმით თითო-თითოს მიწას სცემდა, მაგრამ ბიჭები ისევ დგებოდნენ და სიბრაზით ხელახლად ებრძოდნენ. ამ გვარად ჯერ ჯობნა არავისი არ იყო, მაგრამ ამ დროს წამოდგა დიმიტრი და იშიშვლა ხანჯალი, ბიჭებმაც ბატონს მიბაძეს და ხუთი ხანჯალი საკმაო იყო, რომ საცოდავს ჯიქურას იარაღი დაეყარა.

ამ დროს ჯიქურამ დაინახა ქურდინოვი. ეგონა, რომ უთუოდ გლახამ მოსაშველებლად გამოგზავნაო და მაშინათვე გადასცა ქურდინოვს ალვირი და თვითონ კი ეგეცხვის სიმარდით და გულადობით დაეცა ხუთს კაცს.

ერთი თვალის დახამხამებაზედ თავადი დიმიტრი და ოთხი ბიჭი იქვე დაჭრილები წაიქცნენ. დანარჩენ ორმა მალე თავს უშველა. ჯიქურამ საჭიროდ არ დაინახა, რომ მათ გამოსდგომოდა და მობრუნდა, რომ ცხენი გამოერთმია, მაგრამ, არც ცხენი, არც კურტანი და არც თვისი მომხრე აღარსად იყო.

ვინც კი იცნობს თბილისს და მეტადრე იმ ნაწილს, რომელსაც ძველ ქალაქსა ეძახიან, იმას არ გაუკვირდება ჯიქურის გაქცევა. საწყალმა არ იცოდა, რომელი გზით წავიდა მისი დამღუპველი.

ჯიქური გაჩერდა ზარ-დაცემული. მერე ყურები დაცქვიტა, იქნება გავიგო ცხენის ფეხის ხმაო, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო.

ჯიქურს წარმოუდგა თვალ-წინ, რა განსაცდელი ელოდა იმას, ვინც მოიტაცებს და ამისათვის დაადგა ერთს ქუჩას. გაირბინა რამდენიმე ნაბიჯი, მაგრამ არავინ დაინახა და ისევ ხელახლად დაბრუნდა და გასწია მეორე ქუჩისაკენ. ასე, ამ გვარად ჯიქურმა რამდენისამე წუთში ოთხიოდე ქუჩა გაირბინა, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. ჯიქური იტანჯებოდა. ყოველი მისი ცდა, მისი წადილი ამაო იყო და მერე რა უნდა ეპასუხნა ბატონიშვილისათვის? რას ეტყოდა ბატონიშვილი? ამ ფიქრმა ისე აიტაცა, რომ ხანჯალი იძრო და მზად იყო გულში დაეცა...

მაგრამ ბატონისშვილი ალექსანდრე? როგორ, ბატონიშვილმა მიანდო მას მთლად თავისი სიცოცხლე, მიანდო იმიტომ რომ სჯეროდა მისი პატიოსნება, მისი ერთგულება, მხნეობა, ჭკუა, გამჭრიახობა და ეხლა ასე უნდა გადაუხადნა თავის ბატონიშვილისთვის? მაგრამ პირველმა შეხვედრილმა კაცმა რომ ასე ტუტუცურად მოატყუა? ეს მით უფრო საწყენი იყო, რომ ჯიქური ამ კაცს კარგა იცნობდა. ჯიქური მოატყუა გიდეცამ, ის ჯიქური, რომელიც ყოველისფერში დახელოვნებული იყო?! არა, სიკვდილი სჯობია!...

მაგრამ ამ დროს ჯიქურს წარმოუდგა სხვა სურათი. უჯიქუროდ რა უნდა დამართინოდა ბატონიშვილს! იმ ბატონიშვილს, რომელიც სიცოცხლეს ურჩევნოდა, რომლის სურვილი მისი სურვილი იყო, რომლის გრძნობა მისი გრძნობა იყო, რომლის იმედით თვითონ სცხოვრებდა? ვინ იქნებოდა ალექსანდრეს მფარველი? ვინ აიცდენს იმ აუარებელ განსაცდელს და უბედურებას, რომლითაც გარშემორტყმულია!.. ვინ მიაღწევინებს ბატონიშვილს იმ სურვილამდე, რომელიც ორივეს ერთად უხარებდა გულს, ვინ გაუკვლევს გზას საწადელამდე, რომელსაც ჯიქურიმ თავისი სიცოცხლე, თავისი მოსვენება,

თავის ნექტარება—ყოველი წამი თავისი სიცოცხლესი შესწირა და, ახლა ვინ იცის, იქნება ერთი ხანჯლის დაკვრით ის საწადელიც, ის იმედიც სამუდამოდ გაქრეს....

ჯიქური შეჩერდა. იმას მოაგონდა თავის მოვალეობა, თავისი მისწრაფება, თავის მაცოცხლებელი იმედი, სატრფიალო საგანი. ძეე, დაითრგუნოს გული, თუ სანეტარო საგანი ახლოს არის და იმედის შუქი კიდეც აღმობრწყინდა ცის დასავალზედ. ჯიქურმა ჩააგო ხანჯალი ქარქაშში. ჩაფიქრდა მძიმედ იმაზედ, თუ რა საშუალება ეხმარნა. ჯიქურ დარწმუნებული იყო, რომ კნეინას მომტაცებელი დიმიტრის ამხანაგი იყო და ამიტომ გადაწყვიტა მისულიყო იქ, სადაც თავადი და ორი ბიჭი დაჭრა, რომ იმათგან გაეგო, სად წაიყვანეს ნექტარინა, მაგრამ იმ ადგილს არავინ იყო.

მაშინ შეუდგა სხვა საშუალებას. ჯიქურს მოაგონდა, როგორ ეძახოდა გლახა. იფიქრა, რომ ალბად რამე იცოდა და იმიტომ მეძახდაო. მაგრამ რა იყო მიზეზი, ან ვინ იყო ის კაცი, რომელმაც ნექტარინა მოიტაცა? ამის შეტყობას ცდილობდა ჯიქურ და ვერ მიხვედრილიყო, გლახას მეტს ვის ეცოდინებოდა.

მაგრამ როგორ ნახოს გლახა. ალმასხანის სახლში წასვლა ამ ამბის შემდეგ შეუძლებელი იყო. ამისათვის ჯიქურმა გადასწყვიტა, ჯერ მედუქნე დათიკოსთან შესულიყო, რომელიც იქვე ალმასხანის სახლთან იდგა. ამ დუქანში იყო, რომ გლახას სიმღერით შეატყობინა ჯიქურმა კნეინას მოტაცების დრო.

ჯიქურას დათიკო დახვდა ძალიან მოწყენილი, მაგრამ ხანამ იმის მოწყენის მიზეზის ახსნას შევუდგებოდეთ, ვნახოთ, ვინ იყო დათიკო.

დათიკო იყო ასე ოც-და-ხუთის წლისა. დედა ქართველი

ჰყავნდა და მამა სომეხი და ამიტომ სახეზედ ეტყობოდა ამ ტომის გარეგნობა.

— რა ამბავია? ჰკითხა ჯიქურმა დათიკოს, რომელსაც მოწყენილი დაინახა.

— რა ამბავია და უბედურობა, ბატონო, მიუგო დათიკომ. ასეთი კარგი კაცი იყო... და ცრემლ-მორეული თვალი მუჭით მოიწმინდა.

— რომელ კაცზედ ლაპარაკობ? ან რას სტირი, კაცო?

— ესლა აქ პოლიცია იყო, ბატონო. აი თუ გინდა ოხრობა ეს არის და... თავადი ალმასხანი მეტეხში წაიყვანეს...

— თუ ღმერთი გწამს, მართალს ამბობ?

— აი, გიდი, რა დროა და! დიაღ, ბატონო, ალმასხანიც და მისი მსახურნიც ყველა მეტეხში წაასხეს.

— საწყალი გლახა! წაიდუდუნა ჯიქურამ.

— გლახას რა უჭირს! გლახა იმათში არ იყო. თუმცა დარაჯები ბლომად იყვნენ, მაგრამ მე გლახას მაინც შევნიშნავდი, რომ ყოფილიყო.

— მაშ უთუოდ შინ იქნება, წავალ ვნახავ. მაშ ნახვამდის დათიკო!

— ღმერთი იყოს შენი შემწე. ბატონო ეხლა თავადი დიმიტრი გადავიდა თავის ძმის სახლში. თვითონ დიმიტრი და ორი მისი ბიჭი მძიმედ დაჭრილია. ეხლა აქ იყო დიმიტრის ბიჭი და ტრაბახობდა, რომ ალმასხანს ან ციმბირში გაგზავნიან ან მახათაზედაო... აი ხათაბალა თუ გინდა ეს არის და!

— მერე აქვე სული არ გააგდებინე იმ ავაზაკსა?

— რას ბძანებ, ბატონო, ნეტა მე არ მომკლან, თორემ მე საცოდავს რა შემიძლიან. მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ კნეინა მაინც წაიყვანეთ.

ამ სიტყვებმა ჯიქურა ყურებამდის გააწითლა.

— ნეტა არ იცი, დათიკო, გლახას ქალა სად იქნება.

— არ ვიცი შენი ჭირიმე. მე კი მგონია, რომ შიშისაგან სადღაც გაიქცა ის უბედური.

— რას ამბობ, დათიკო, შენ არ გცოდნია გლახა რა ბიჭია. გლახამ შიში არც კი იცის, რა არის. გარდა ამისა გლახა ამხანაგს თავს არ დაანებებს, და თუ სადმე იმალება იმიტომ, რომ თავის ბატონს რამე უშველოს.

ამ სიტყვებმა ჯიქურას თავის მოვალეობა მოაგონა ბატონიშვილისადმი და მალე გამოეთხოვა დათიკოს. ჯიქურა გავიდა გარეთ და შეუდგა ნესტარინას ძებნას.

## თავი XI

ჯიქურა არ ჰკარგავდა იმედს, რომ მომტაცებელს აღმოაჩენდა და კიდევ ერთხელ დაათვალიერა ქუჩები, მაგრამ ყოველივე ამაო იყო. ბოლოს ჯიქურამ ტყვილად დროს კარგვის მაგიერ, გადასწყვიტა რომ ყველაფერი მოეხსენებინა ბატონიშვილისათვის.

ამ განზრახვით ჯიქურა საჩქაროდ გაუდგა გზას თავის თავ შესაფარისკენ. მალე გაიცდა თათრის მოედანს, რომელიც ეხლაც არსებობს ამავე სახელით; ეს ნაწილი ქალაქისა ხშირად არის დასახლებული, აქ ხალხის მოძრაობა დიდია, თითქმის ყველა ქალაქების ნაწილზედ მომეტებული. აქედამ ჯიქურა ავლაბარში ავიდა, მაგრამ მაშინდელი ავლაბარი დიდად განსხვავდებოდა ეხლანდელისაგან: არც ქუჩები, არც სახლები მაშინ

არ იყო, ალაგ ალაგ ქოხები მოჩანდა დაბალის ბანით, რომელიც თითქმის მიწასთან იყო გასწორებული.

ჯიქურა თან და თან უახლოვდებოდა ამ ქოხებს. ბოლოს მივიდა ერთ ქოხთან, რომლის დანახვაც ძნელი იყო, ისე იყო გასწორებული მიწასთან. ამ დროს ჯიქურამ დაინახა ვიღაც კაცი თუმც ამ კაცს ბიჭის ძველი ტანთ-საცმელი ეცვა, მაგრამ ყოველს მის მოძრაობას, ყოველს გადადგმულ ნაბიჯს, მისს ალვის მსგავს ტანს აშკარად ეტყობოდა, რომ ეს ის არ იყო, რომლის ტანისამოსიც ეცვა — ყოველისფერში მოჩანდა მისი კეთილშობილობა, მისი დიდებულობა. დაინახა თუ არა ჯიქურამ, სანთელივით გაყვითლდა და დაუჩქარა სიარულს.

— წმინდა გიორგი! ეს რას ვხედავ, ბატონიშვილო, რას ჩადიხართ? განა დაგავიწყდათ რომ მთელს ქალაქში გეძებენ? ასე უშიშრად შუადღისას დასეირნობთ ქუჩა-ქუჩა?

— განა არ მხედავ, რა ტანისამოსი მაცვია!

— ვაიმე! ბატონიშვილო! ეს ტანისამოსი თქვენ იმდენად გფარავთ, რამდენადაც ალმასს უხეირო ქერქი. განა თქვენებრ საუნჯე ამ ტანსაცმელში დაიმალება. ღვთის გულისათვის ბატონიშვილო, ეხლავ დაბრუნდით, სანამ სომეხს თვალი არ მოუკრავს თქვენთვის.

— დამშვიდდი ჯიქურ. შენ ეს მითხარი ნექტარინას რა უყავი. სად არის, რა ამბავია, რომ აქამდის დაიგვიანე?..

— ბატონიშვილო, კაცმა ეშმაკის სახე მიიღო და მომპარა კნეინა, სწორედ იმ დროს, როდესაც თქვენთან მომყავდა! მაგრამ სახლში შევიდეთ და იქ ყველაფერს დაწვრილებით მოგახსენებთ.

ორივემ გასწიეს კარებისაკენ, უკეთ რომ ვსთქვათ შესაძრომელისაკენ, რადგან იქ შესვლა მხოლოდ დაკუზვის შემდეგ

შეიძლებოდა. აქ დახვდენ რამდენიმე კაცი მხლებელნი ბატონიშვილისა, რომლებმაც გზა მისცეს და დაბლა თავი დაუკრეს შემოსულ ბატონიშვილ ალექსანდრეს—ზოგნი მერე განყოფილებაში შეყვნენ თან და ზოგნი იქვე დარჩნენ სადარაჯოდ.

შინაგანი სახე ამ სადგომისა გარეგნული შეხედულობის შესაფერი იყო. მიწის იატაკი, მიწისავე კედლები და ბანზედ ამოჭრილი ფანჯარის მაგიერ ადგილი სინათლეს უშვებდა ამ ბატონისშვილის დარბაზში. სახლის მორთულობა კი სულ სხვა იყო.

საკვირველად განსხვავებოდა თვითონ სადგომი მორთულობისაგან. აქ იყო ძვირფასი ხალიჩები, ნოხები, ფარჩეული, ხავერდის ჩოხა, კაბა და არხალუხები ოქროს სირმებით გაწყობილები; სხვა და სხვა ფერი სამოგვის წალები, ჩუსტები, საცვეთები, აბრეშუმის ძაფით მოქსოვილები. ხმალ-ხანჯლები ძვირფასის სამკაულებით, თოფები და დამბაჩები სხვა და სხვა ზომისა. ერთის სიტყვით, აქ კაცი დაინახავდა სამხედრო კაცის ყველა იარაღს. შუაში კოცონი გაჩაღებული იყო, სადაც მზადდებოდა სხვა-და-სხვა საჭმელები: ფლავი, ბოზბაში, ჩიხირთმა, მწვადები და სხვა. ზებერი მზარეული ისე იქცეოდა, თითქოს სასახლეს სამზარეულოში არისო და ეტყობოდა, რომ ერთხელ კიდეც ყოფილა დიდ სასახლეში.

ეხლა თავი დავანებოთ ამათ, რადგან ჯიქურა ყველაფერს დაწვრილებით უამბობს ბატონიშვილს ნექტარინას შესახებ და ვნახოთ, რა მოუვიდა გლახას.

გავიდა თუ არა ჯიქური ალმასხანის სახლიდამ, თან ქურდინოვაც გაჰყვა. მერე ქუჩიდან გამოჩნდა თბილისის პოლიცმაიორი, პოლიციის მოხელენი სალდათებითურთ და ყველა ესენი ერთად შევიდნენ ალმასხანის სახლში, რომ უბედური თა-

კალიშვილი წაეყვანათ მეტეხში თავის ბიჭებით.

საწყალი ექიმი ხაჩატურიანი, თუმცა ყველას სთავაზობდა თავის ბურნუთს, მაგრამ ამასაც არ ასცდა მეტეხი. ესეც დაჭერილი იყო, რადგან ეგონათ, რომ ამასაც მონაწილეობა ექნება რამეო.

ეს ბრძანება სწორედ იმ დროს მოისმინა, როდესაც ერთი ხელით ბურნუთს იყრიდა უშველებელ ცხვირში, და მეორე ხელით, საბურნუთე გაუშვირა პოლიციის მოხელეს. ამ უკანასკნელმა დაინახა თუ არა ვეცხლის საბურნუთე, გამოართვა ექიმს და ჯიბეში ჩაიდო. ამ შემთხვევამ ისე გააოცვიფრა ხაჩატურიანი, რომ ორივე ხელები გაშვერილი დარჩა. საცოდავმა ექიმმა დიდის თხოვნით მიმართა ბ. პოლიციის მოხელეს, მაგრამ ტყუილი იყო მისი ვედრება. მოხელემ უპასუხა, რომ დატუსაღებულებს ნება არა აქვთ ძვირფასი ნივთები იქონიონ, რადგან ამით მებჭეს შეისყიდითო და ამ მიზეზით თავისთავს უფეშქაშა ხაჩატურიანის საბურნუთე.

გლახამ ამ დროს თავს უშველა და გარეთ გავიდა. დარაჯს შეეძლო მისი დაყენება, მაგრამ სალდათი ამ დროს ფილოსოფიურ მსჯელობაში იყო, რადგან მეორე ქუჩაში დაინახა ქართული ურემი დატვირთული რუმბებით:

— რა ტუტუცი ხალხია ეს ქართველობა, განა ღვინოს ხეირი დაეყრება რომ ამ ტყავის ტომარაში ინახამენ. ამ დროს გლახაც დაიმალა.

— აი გიდი, განაგრძო სალდათმა, რამდენი ჩექმის ყელები გამოვიდოდა ამ რუმბისაგან. სწორედ რომ ქართველები ტუტუცები არიან...

გლახა თითქმის მირბოდა პოლკოვნიკი გრიგორიანის სახლისკენ და თავის საბედნიეროდ პოლკოვნიკი შინ დახვდა; და-

ნახა თუ არა შემოსული გლახა, კარიაგინ მაშინვე მიესალმა:

— ოჰ, გლახა, გამარჯვება შენი, რა ამბავია, რამ შეგაშინა ასე?

— აი ბატონო, შენი ჭირიმე, გვიშველე რამე, ბატონს უშველე!

— რა დაემართა, რა მოხდა?

— ამ წუთაში მეტეხში წაიყვანეს.

კოლოდოვი, რომელსაც ალმასხანმა სამასი თუმანი დაუბრუნა, წამოვარდა ზეზე.

— როგორ, კნიაზ ალმასხანი დაჭერილია? პოლკოვნიკო, აბა, ჩვენი დრო ქრება!

— ჯერ შევიტყოთ საქმე რაშია? აბა გლახა, გვიამბე ყოველის ფერი.

გლახამ უამბო ყველაფერი, ქურდინოვისაგან სალომეს შესყიდვიდგან დაწყობილი და შემდეგ რაც მოხდა და რაც ჩვენ უკვე ვიცით. გლახამ დაათავა თავის ლაპარაკი იმით რომ უამბო, თავადმა დიმიტრიმ და ქურდინოვმა დანოსი როგორ შეადგინეს და ამ დანოსის გამო ალმასხანი მეტეხში როგორ წაიყვანეს, მაგრამ გლახამ დამალა ყოველიფერი, რაც შეეხებოდა ნექტარინას კავშირს ბატონიშვილთან. ბატონიშვილზედ სიტყვაც არ უთქვამს, მხოლოდ ქურდინოვის სიძულვილი იმით ახსნა, რომ ქურდინოვს ცოლად უნდოდა ნექტარინა, მაგრამ ვერ მოასერხა.

კარიაგინს ალმასხანი მეტად უყვარდა და, თუმცა ადრევე ესმოდა, ვითომც ალმასხანი ბატონიშვილს თავის სახლში მალავდა, მაგრამ ეს სრულიად არა სჯეროდა. ეხლა გლახას სიტყვების შემდეგ დარწმუნდა, რომ ალმასხან უბრალო იყო. მოაგონდა ის საღამოც, როდესაც ალმასხან, დიმიტრი და ქურდინო-

ვი ერთად იყვნენ ვოლოდოვის სახლში და შემდეგ როგორც ადგილდა ალმასხანი და სხვა და სხვა.

მისმა კეთილმა გულმა კეთილი გადაწყვეტილობა მიიღო. უბრძანა რომ ბიჭს ტან-საცმელი მოემზადებინა, საჩქაროზედ ჩაიცვა და მთავარ-მართებლისკენ გასწია. ვოლოდოვი იმუქრე-ბოდა და ყვიროდა, რომ დიმიტრის და ქურდინოვს უთუოდ თავს გააგდებინებს.

გარივგინმა გლახას უთხრა, რომ სანამ მე მოვალ ჩემს სახლში დარჩიო, აქ არა ვინ შეგეხებაო, მაგრამ გლახამ არ იკისრა ესა:

— მადლობელი ვარ, ბატონო. მე ეხლავე ბატონთან უნდა წავიდე, თორემ იფიქრებს, რომ გლახამაც დამტოვაო. და ამ სიტყვებით გამოესალმა გარივგინს, მაგრამ ვოლოდოვმა გაა-ჩერა:

— მოიცა გლახა, ერთად წავიდეთ თავად ალმასხანთან. მე დავამშვიდებ, ვეტყვი, რომ პოლკოვნიკი გარივგინი ნამესტნიკ-თან ცდილობს შენს განთავისუფლებას მეთქი. აი ბანქოსაც წავიღებ, იქნება არ მოეწყინოს. და ამ სიტყვებით გლახას-თან ერთად გასწია მეტეხში.

გარივგინი წავიდა მთავარ-მმართებელთან.

## თავი XII

ეხლა მკითხველო, ვნახოთ სად წავიდა ქურდინოვი ჯი-ქურის ცხენით და ბარგით. ქურდინოვმა გამოართვა თუ არა ჯიქურს აღვირი, მაშინათვე მარჯვნივ ქუჩაზედ შეუბრუნდა და რადგან იქვე მისი სახლი იყო, შიგ ალაყაფის კარებში შევი-

და. მაშინვე უბრძანა, რომ კარები დაერაზათ, მერე დაუძახა არუთინას, რომელსაც მკითხველი ცოტათი იცნობს. ეს ის არუთინა იყო, რომელიც მეჯვრიხევის გზაზედ შეხვდა თავად ალმასხანს და მის თანამოგზაურებს. ორივემ ერთად გად-მოიღეს გოდორი. ნექტარინას გოდორი ქურდინოვმა თავის ოთახში შეიტანა და კარები მაგრად ჩაჰკეტა.

სალომე მეორე ოთახში შეიყვანეს. სალომე მალე მიხვდა ამ უბედურებას და საშინელ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა და მიზეზიც ჰქონდა. გნეინა ელოდა თავის მიჯნურს, თავის საყვარელს, რომელსაც შესწირა ყოველივე, რაც ქალისათვის ძვირფასია. იმ კაცის მაგიერ კი, რომელიც იყო იმისი ხატი და სჯული, რომელსაც ამდენი ვაი-ვაგლახის შემდეგ უნდა დაუმშვიდებინა, უნდა მიეცა ყოველივე დაკარგულის მაგიერ მარტო სიყვარული, ის სიყვარული, რომლის მიზეზით ყველგან წყევა და ლანძღვა ესმოდა, ნექტარინა ჩავარდა თავის მოსისხლე მტრის ხელში, რომელმაც ყველა საშუალება იხმარა, რომ ქმარს დაენახა, ცოლის ღალატი, შვილებს — მოღალატე დედა და საზოგადოებას უპატიოსნება მისი წევრისა. იმისთანა კაცის ხელში ჩავარდა, რომელმაც ყოველივე ტანჯვა მიაყენა და ბოლოს საყვარელი კაციც კი მოაშორა. და ყველა ეს ისე სწრაფად მოხდა ქურდინოვისაგან, რომ ნექტარინას ვერც კი მოეკრიფა გონება.

ნექტარინას ეგონა, რომ აი ბოლოს მაინც მივაღწიე ჩემს სანეტარო სურვილსაო, მაგრამ იღბალმა უმტყუნა, მისი ტანჯვა გამოუთქმელი იყო, მეტადრე ეხლა, როდესაც ბატონიშვილის მაგიერ მის წინ იდგა მისი ბედნიერების დამხშველი, რომელიც ჯავრს იყრიდა ეხლა თავის უარ-ყოფილი სიყვარულისთვის და დაიტკბობდა თავის მხეცურ გულის-თქმას.

ასეთს უბედურებას ვერ აიტანდა მისი ნაზი ქალობრივი ბუნება.

მოისმა გლიტეს ჩხარუნი. გაიღო კარები და შემოვიდა ქურდინოვი ახალი მდიდრული ტანისამოსით, ორის გოგო-თი, რომლებსაც მოჰქონდათ სხვა და სხვა სასიამოვნო საჭმე-ლები.

ქურდინოვმა კნეინას თავი დაუკრა და გოგოებმა სტოლ-ზედ საჭმელ-სასმელები დააწყეს. შემდეგ შემოვიდა თოთხმეტი წლის ლამაზი ბიჭი, დიაცის სახეთი და სუფრის შლას შეუ-დგა. მერე შემოვიდნენ არუთინა და კიდევ ორი ბიჭი სასმე-ლებით. გაშალეს სუფრა თუ არა, ყველანი გარდა ლამაზი ბი-ჭისა და ორი გოგოსი გარეთ გავიდნენ. ქურდინოვმა კარები დაკეტა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო და დაუწყო ლოდინი ნექ-ტარინას.

მაგრამ კნეინა ალაგიდან არ იძრეოდა. ქურდინოვი პირ-დაპირ ჩამოუჯდა და ვერ ბედავდა ხმის გაცემას. ამ დროს კნეინამ თავის მომხიბლავი ხმით უთხრა:

— შე სულელო, განა სტუმრებს ასე ექცევა პატიოსანი კა-ცი? რატომ არ მიმიპატიჟებ. ჰა, გამომართვი ესენი და სჭა-მე, რას შემამცქერი, სჭამე მეთქი!

— მადლობელი ვარ, მიუგო ქურდინოვმა და მართლა შეუ-დგა ჭამას.

— ოღონდ მალე კი სჭამე და მორჩი! დაუყვირა ნექტარი-ნამ და ჩაიცინა. ბიჭო ღვინო მოგვართვი! დაუძახა კნეინამ იქვე მდგომ ლამაზ ბიჭსა. ბიჭმა მაშინვე აუსრულა ეს ბრძანება. კნეინამ ერთი წვეთი მოსვა და მიუბრუნდა ქურდინოვს:

— რა ცუდი ღვინოა, შე საზიზღარო! სადილად მეპატი-ჟები და ასეთს ღვინოს მასმევ?

— გაბო, უთხრა ქურდინოვმა ბიჭსა, წადი და სარდაფიდან

შამპანიას ამოიტანე. შემდეგ კნეინა დალოცა და დასცალა ერთი სტაქანი ღვინო.

— არა, არა, სტაქნით ნუ დალევ, აი ჩარექით დალიე, მოუგო კნეინამ.

— შენ ოღონდ ბრძანე და მე აგასრულებ, მიუგო ქურდინოვმა და მოიწაფა სავსე ხელადა.

ქურდინოვი აღტაცებული იყო, ნექტარინას სიხარულის გამო და მის გარყვნილს გონებას წარმოუდგა ყველაფერი, რაც სადილის შემდეგ სიამოვნებას იგრძნობდა. ნექტარინა უთუოდ ჩემს ნებაზე მოიქცევა შემდეგაო.

— შენ, ქა, განა ასე უნდა მასპინძლობა? სად გაგიგონია, რომ ვაჟ-კაცი თავის საყვარელისათვის ასე სვამდეს ღვინოს. აი, გამომართვი ეს ლიტრა და ეხლავ დასცალე, თუ ოდნავ გიყვარვარ!

— ვა, როგორ არ მიყვარხარ. მიყვარხარ და მერე ასე— თუ გინდა ერთს საპანე ღვინოს დავლევ შენი გულისათვის.

და მოიწაფა სავსე ლიტრა. ნექტარინა სიცილით კვდებოდა ქურდინოვის ქცევისაგან. ბოლოს ქურდინოვმა გადმოაბრუნა ლიტრა და ფრჩხილებზედ გადმოასხა, მაგრამ წვეთიც არ გამოსულა. ეს ქართულად ნიშნავდა, რომ დალევა საყვარლისათვის ასე უნდაო.

— ეხლა მჯერა რომ გიყვარვარ, უთხრა ნექტარინამ, აკა, მაკოცე და გაუშვირა ხელი. ის იყო ქურდინოვი მზად იყო მივარდნოდა საკოცნელად; მაგრამ ამ დროს საშინელის ხმაურობით გაიღო კარები და შემოვარდა სალომე, მთლად გავეთრებული მივარდა ნექტარინას და დაუწყო მუხლების და ხელების კოცნა.

— ნუ გეშინიან, ნუ სტირი სალომე, ღვინო ყველას გვეყოფა.

— ვინ გამოუშვა ეს დედა-კაცი; გაჯავრებით ჰკითხა ქურდინოვმა შემოსულ არუთინას და გაბოს.

— მე რა ვიცი, უპასუხა ბიჭმა და თან ისე იყურებოდა, რომ ვითომ ყველაფერი ვიციო.

— მართლა, გაბომ მიიღო თუ არა ქურდინოვისაგან გასაღები, მაშინათვე გაუღო სალომეს კარები. მიზეზი ის იყო, რომ გაბოს ეშინოდა, ვაი თუ კნეინას მეოხებით მე პატივი ამცდესო და ქურდინოვმა ყურადღება აღარ მომაქციოსო და ამისათვის სალომე გამოუშვა, იქნება სალომესთან არაფერი გაბედოს ბატონმაო.

ქურდინოვი თითქმის მიხვდა გაბოს საქციელის მიზეზს, მაგრამ ესეც იცოდა, რომ გაბოს არ ეშინოდა მისი და, გაჯავრების მაგიერ, უბრძანა სანთლები მოეტანა, რადგან საღამო დადგა და ბნელდებოდა.

კნეინა ნექტარინამ კი სალომე გვერდით მოისვა და ღვინოს ასმევდა, მაგრამ სალომე უარზე იდგა.

— კნეინა, თქვენი სადღეგრძელო იყოს და დაცალა სავსე სტაქანი შამპანსკისა. აღავერდი შენთან, სალომე.

— მადლობელი ვარ! მიუგო კნეინამ სალომეს მაგიერ და დალია სავსე სტაქანი შამპანიისა. შემდეგ სალომესაც დაუსხა, მაგრამ სალომემ ისეთი გაშტერებით შეხედა კნეინას, რომ ქურდინოვს შეეშინდა.

— იცოცხლე ბატონო! უთხრა კნეინამ ქურდინოვს, სალომე, აღავერდი შენთან!

მაგრამ სალომემ ხელიდგან წაართვა სავსე სტაქანი და შუა იატაკზედ დაახალა.

ქურდინოვი თავის გულში სწყევლიდა სალომეს, მაგრამ რას იქმოდა. ნექტარინას სურდა რომ სალომე გვერდით ჭყოლოდა — მერე უბრძანა რომ დაირა მოეტანათ და გოგოებს ლეკური ეთამაშნათ.

დაიწყეს ლეკური. გოგოები კარგი მოთამაშეები იყვნენ. თითქმის სალომეც აღტაცებაში მოიყვანეს.

ამ ხმაურობაში და შექცევაში გაბრიელის მეტს არავის ესმოდა, როგორ დაიჭრიჭინა მოაჯირის ახლოს რაღამაც. გაბრიელმა გაიხედა და დაინახა ორი დიდრონი ხელი, და ორი ბრწყინავი თვალი ფანჯარაში.

ეს ფანჯარა ქუჩიდგან ძალიან მაღლა იყო და ამიტომ გაბომ იფიქრა ალბად ისე მომეჩვენაო, მით უფრო რომ ეხლა თუმცა დაკვირვებით უყურებდა, მაგრამ მაინც ვერაფერს ვერ ხედავდა. მაგრამ მაინც ჩაირბინა ძირს და უნდოდა ალაყაფის კარებიდან გაეხედნა და დარწმუნებულიყო, რომ არვინ იყო.

კარები დარაზული იყო და გაბომ დიდი წვალების შემდეგ როგორც იყო გამოაგდო ურდული, გააღო კარები და გაიქცა ქუჩისაკენ, მაგრამ ვერავინ დაინახა. როდესაც უკან დაბრუნდა, მისდა გასაოცრად კარები ხელახლა დაკეტილი დახვდა.

ძალიან გაბრაზდა და საშინლად დაიწყო ყვირილი და კარებს რახარუხი, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ხანდისხან სიჩუმე სჯობს ყვირილს და ხმაურობას; ვიღამაც ისე მაგრა ჩაარტყა კისერში, რომ იქვე წაიქცა, ერთი კიდევ დაიყვირა მაღლა, მაგრამ უცნობმა ზედ წამოაბურა მისივე აბრეშუმის პერანგი, შემოხსნა სარტყელი და, თითქოს მამა არის მისიო, ისე დაუწყო ცემა. გაბო ხმას არ იღებდა, რომ უცნობს ბატონს უფრო ძლიერად არ ეცემნა.

## თავი XIII.

ჯიქური, ბევრი ფიქრის შემდეგ ერთს აზრს დაადგა. დაღამდა თუ არა, ჯიქურა წავიდა იმ ადგილის მახლობლად, სადაც ნექტერინა მოიტაცეს, წყლის პირზედ— იქნება ჩემი ცხენი წყლის დასალევად აქ ჩამოიყვანონ და ისიც გავიგო, მერე სად წაიყვანენო.

მართლაც ეს იმედი მალე აუსრულდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ერთმა ბიჭმა სამი ცხენი ჩამორეკა მტკვარში. ჯიქურმა სიხარულისაგან კინაღამ არ დაიყვირა, რადგან იმ ცხენებში იცნო თავისი ცხენი. რა თქმა უნდა, უკან გამოჰყვა ბიჭს და რა რიგ გაჰკვირდა, როდესაც იქვე მარჯვნივ ქუჩის შესახვევში ბიჭმა ცხენი დიდ სახლში შეიყვანა და ალაყაფის კარები მოჰკეტა.

ჯიქურამ ასჯერ გაიარა ამ სახლებთან და რას იფიქრებდა, თუ ნექტარინა აქ იქნებოდა. ჯიქურმა გადასწყვიტა, რომ კარგად დაღამების შემდეგ დაჰსცემოდა სახლს, თორემ ეხლა მარტოდ-მარტო ვერას გახდებოდა.

ყოველმხრივ დაათვალიერა სახლი და გასწია ბატონიშვილისაკენ —ამ სასიხარულო ამბის სახარებლად. საღამოზედ წამოიყვანა ხუთი დაიარაღებული ბიჭი და ქურდინოვისკენ გასწია.

მოვიდა თუ არა, დარწმუნდა რომ კარები დაკეტილი იყო. შემოუარა სახლს და ერთ ადგილას ფანჯარასთან სინათლე დაინახა. ჩვენ ვიცით, შემდეგ რაც მოხდა... გაბომ შეამჩნია... გავიდა თუ არა გაბო კარებიდგან, ჯიქურა და ოთხი ბიჭი შიგ

შევიდნენ, მოიკეტეს კარები და მეხუთე კი იქვე გაბოს დარაჯათ დააყენეს. შემდეგი ჩვენ ვიცით.-

როდესაც გოგოებმა თამაშობა გაათავეს, კნეინას სალამი მისცეს და სთხოვეს რომ ეთამაშნა. ნუქტარინამ ბევრი არ იხვეწია, საჩქაროდ გამოსტაცა ერთის გოგოს ხელიდგან დაირა და გავარდა; ისე უვლიდა, თითქოს ფრინავს იატაკზედაო. მშვენიერი აგებულობა, კოხტა ტანის მოყვანილობა, სუბუქი მიხვრა-მოხვრა არამც თუ ქურდიანოვს, არამედ მკვდარსაც გააცოცხლებდა. სალომეც მოვიდა აღტაცებაში და სიხარულით შესცქეროდა ქალბატონის ლხინს. ნუქტარინა კი თან-და-თან უფრო ინთებოდა, უფრო და უფრო უჩქარებდა თამაშობას, ასე რომ კაცი ვერც კი მოასწრობდა იმის სახის დანახვას, ისე სწრაფი, უეცრივი იყო მისი ფეხის აწევა და ხელების შლა. მაყურებლებმა, როგორც ერთმა კაცმა ისე განაბეს სული. აღტაცება დიდი და ენით გამოუთქმელი იყო.

აქ მყოფთა შორის ვერავინ ვერ შენიშნა, კარებში როგორ შემოვიდნენ უცხო კაცები და გამტერებით უყურებდნენ ამ მოჯადოებულ თამაშობას. კარებში იდგა ოთხი კაცი თავით-ფეხამდის შეიარაღებული. ყველაზედ წინ მდგომი პირი, უშველებელის სიმაღლისა და ამის შესაფერი მოყვანილობისა, სხვებზედ უფრო მომეტებულად შესცქეროდა ნუქტარინას თამაშს და მის პირის სახეს. რაც უფრო დიდ ხანს უყურებდა ეს დევი, იმდენად უფრო მწუხარედ ხდებოდა მისი პირის გამომეტყველება და ბოლოს ორი მწარე ცრემლები წამოუვიდა ასისხლებულ თვალებიდამ.

ამ დროს კი ნუქტარინა სულ აინთო, მთელი მისი არსება მიეცა ამ გიჟურს ტრიალსა, მაყურებლებლები ტაშს უკრავდნენ და ვერვინ შეამჩნია ამ ხმაურობაში ნუქტარინას ხარხა-

რი, სანამ თამაშობა არ შესწყვეტა და სალამით არ მოიპატიჟა გარს მდგომი ჯიქურა.

მხოლოდ ეხლა შეამჩნია ქურდინოვმა უცხო პირები. ტაშის კვრა შესწყდა, ყველას გული აუძაგძაგდა.

ქურდინოვი მიხვდა, რომ ეს სტუმრები კარგს არაფერს მოასწავებდენ და მეტადრე ჯიქურის სახე ეცნობოდა, თუმცა ეხლა სხვა ტანისამოსით იყო.

მაგრამ არც ჯიქურა ჩამორჩა ქურდინოვს განცვიფრებაში. საშინელი საზარელი, გამოუთქმელი ოხვრა აღმოხდა ჯიქურას გულიდგან, რომელსაც ნექტარინამ სიცილით მიიწვია სათამაშოდ.

— შეშლილია! და მოჰკიდა კნეინას ხელი და გაიყვანა მეორე ოთახში. გასვლის დროს უჩურჩულა ყურში ბიჭებს რაღაცა და ბიჭებმაც ყველა კარები დაჰკეტეს. სალომეც ჯიქურას გაჰყვა და გავიდენ ეზოდან და მალე ღამის სიბნელეში გაქრენ.

ამ დროს კი ჯიქურის მხლებლები შეუდგნენ თავის საქმეს. ერთ წუთს შეკრეს ქურდინოვი, ბიჭები და გოგოები.

ქურდინოვი ხმას არ იღებდა, იმას ეშინოდა მხოლოდ სკივრების გატეხისა, რომლებსაც ბიჭები არც კი მიჰკარებიან, მაგრამ არც ესე გულ-გრილად მოეპყრნენ ბიჭები ახალგაზრდა გოგოებს, ამ დიაცების შეკვრას ისინი უფრო დიდ ხანს უნდებოდენ, ვიდრე ქურდინოვის და სხვა ბიჭების შეკვრას. როდესაც ყველაფერს მორჩნენ, ბიჭები გავიდენ გარედ, გაიყვანეს ჯიქურას ცხენები და გასწიეს შინისაკენ.

ასე იყო შეკრული ქურდინოვი მეორე დღის 11 საათამდის, სანამ პოლკოვნიკი კარიაგინი არ მივიდა და ბრძანება არ მიიტანა მთავარ-მმართებლისაგან, რომ ნექტარინა შინ დაებრუნებინა.

ქურდინოვმა უამბო, რომ წუხელის შეიარაღებულ კაცებმა მოიტაცესო, გაროზგინმა გასწია ალმასხანისკენ და იქ შეხვდა ნუქტარინას, მაგრამ სრულებით შეშლილი......

დიდად უყვარდა ბატონიშვილს ალექსანდრეს ნუქტარინა, ამაში ეჭვი არ იყო, მაგრამ მოუყვანეს შეშლილი ნუქტარინა თუ არა, მაშინვე გული გადუბრუნდა და სიყვარული სწრაფად გაუცივდა. ნუქტარინა რომ მკვდარი მოეტანათ, იქნება ბატონიშვილს თვითაც მოეკლა სასოწარკვეთილებისაგან, მაგრამ როდესაც თავის მიჯნური შეშლილი დაინახა, ატირდა, მაგრამ სიყვარულით კი აღარ უყვარდა. ბატონიშვილი არც მოუხვია, არც აკოცა ნუქტარინას, ეს ბუნების წინააღმდეგი იქნებოდა...

მეორე დღეს ბატონიშვილმა დასტოვა თავის ქალაქი გულის ტკივილით და მწარე გრძნობით. ალექსანდრემ ტანისამოსი გამოიცვალა; მეურმედ დაუჯდა ურემზე და ქალაქის წრეს ისე გავიდა, რადგან მეტი დაყოვნება საშიში იყო...

გლახამ მალე შეიტყო ჯიქურის ამბავი და დროზედ მივიდა კნეინას წამოსაყვანად იმისავე სახლში. გლახა დარწმუნებული იყო, რომ ალმასხანი ჩვილი გულისა იყო და შეშლის ნუქტარინას პასუხს არ მოსთხოვდა.

სალომე დარჩა მარტოდ-მარტო ბატონიშვილის ქოხში. თვითონ ბატონიშვილი სპარსეთში გავიდა თავის ერთგული ჯიქურით.

თავადი ალმასხანი... მალე წამოდგა ლოგინიდან და კიდეც აპატია ყოველივე თავის უბედურს ცოლსა.

რაც შეეხება დიმიტრის, იმან გაიგო თუ არა, რომ ალმასხანი დაბრუნდა მეტეხიდან, თავს უშველა და სოფელში გაემგზავრა. ქურდინოვი და დიმიტრი კინაღამ დანოსისთვის მეტეხში არ ჩაყარეს, რადგან ვერ დაამტკიცეს ალმას-

ხანის დანაშაულობა, მაგრამ მთავრობა სასტიკად არ მოეპყრობა მაბეზღრებს. მხოლოდ ქალაქიდან სოფლებში გაგზავნეს და დიდ ხანს არ გამოჩენილან ქალაქში, იმ დროზედ, სანამ ახალი მმართველი არ დაინიშნა, რომელმაც ეს საქმე დაივიწყებას მისცა.

ალმასხანმა ცოლს აპატია, მაგრამ ცოლთან არც საუბარი ჰქონდა და არც შედიოდა მის ოთახში. ცხრა თვის შემდეგ ნექტარინას ვაჟი რომ ეყოლა, ალმასხანმა უბრძანა გლახას მტკვარში გადაეგდო საცოდავი სიყვარულის ნაყოფი. ამით გათავდა ალმასხანის შურისძიება.

ვ. გუნია.

## პედაგოგიური მოსაზრებანი.

### ოჯახის მნიშვნელობა ბავშვების ხასიათის აღზრდაში *)

პრაკტიკა აღზრდისა წარმოგვიდგენს ჩვენ ორს, წინააღმდეგს ერთი-მეორისას, სისტემას, რომელნიც ორივ ერთნაირად უვარგისნი არიან განსაკუთრებულად მტკიცე და მამაცურის ხასიათისა.—პირველის სისტემის საფუძველს შეადგენს დესპოტიზმი აღმზრდელთა და მშობელთა და თანხმად ამისა, სრული დამონავება ყრმათა, ხოლო მეორისას—სრულიად წინააღმდეგი პრინციპი—დესპოტიზმი ყრმათა და დამონავება აღმზრდელთა და მშობელთა. «ჩვენ, იტყვის რუსო, ვიქმთ ან იმას, რაც ესიამოვნება და მოსწონს ბავშვს, ან მოვითხოვთ მისგან იმას, რაც ჩვენ მოგვწონს და გვესიამოვნება.—შუა გზას არ ამოვირჩევთ: ბავშვმა ან უნდა გვიბრძანოს და ან უნდა დაგვემორჩილოს. ამისთვის პირველადვე უჩნდება მას თავში აზრი ან ბატონობისა, ან მონობისა: თვით ჯერ უენო და მუნჯი გასცემს ბრძანებას, არაფრის შემძლე გვემორჩილება ჩვენა (ემილი, 13). მართალია, აღზრდაში უნდა იხმარებოდეს ეს სისტემა ორივ ერთად, მაგრამ, თუ რომ კარგად გვსურს

*) კაპტერევი «პედაგოგიური პსიხოლოგია». ს.-პეტერბურგი 1877 წ.

შევიტყოთ ამათი მნიშვნელობა, სჯობს განვასხვავოთ ესენი ცალკ-ცალკე დალაგებით.

პირველი სისტემა, რომლის საფუძველსაც შეადგენს დესპოტიზმი მშობელთა და აღმზრდელთა მდგომარეობს იმაში, რომ ამ სისტემით ყოველი მოქმედებანი ყრმათა, როგორათაც უპირატესნი და საჩინონი, აგრეთვე უბრალონი და უჩინონი განწესდებიან აღმზრდელების ნებით. ყრმათაგან არ მოითხოვების სხვა რამე, გარდა მორჩილებისა და ბრძანების ასრულებისა. როგორ და რამდენი უნდა სჭამოს და დალიოს, როდის ადგეს, როგორ და რა ჩაიცვას, როგორ წავიდეს სასეირნოდ და როგორ უნდა მოიქცეს სეირნობის დროს, რა უნდა ითამაშოს და რა არა, — ყველა ეს არის დადგენილი და განწესებული მზრუნველი მშობლების და აღმზრდელებისაგან. ეგრეთვე მონობა სუფევს ბავშვების გონებრივსა და ზნეობრივ აღზრდაში. თითოეულს გასაგებათ გაუღეჭამს აღმზრდელი და ამ რიგად ჩაუდებს თავში. სხვა და სხვა კითხვებს და ეჭვებს, რომლებიც შეადგენენ ცნობის მოყვარე ბავშვის გონების და მსჯელობის თვისებას, არა აქვთ აქ ადგილი. აქ ყველა არის წინათვე გაზომილი, აწონილი; ყველა შესრულდება პროგრამის მოთხოვნილებისამებრ, რომლის შეცვლა და შეუსრულებლობა ყოვლად შეუძლებელია. რა უნდა ქმნას ბავშმა და რა არა, რა უნდა ილაპარაკოს და რა არა — ყველა ეს არის წინათვე განსაზღვრული და განწესებული. ერთის სიტყვით გონება და ნება აღმზრდელთა სრულებით აუქმებს ყრმის გონებას და ნებას; ეს წესი ბავშვთა საკუთარს გონებას და ნებას სთვლის მეტ ბარგად და გამოუსადეგარ ნივთად, ცოცხალს კაცს ხდის მაშინად. ოჯახში, სადაც სუფევს ასეთი, ანუ ამის მსგავსი,

სისტემა, ისმის ნაცვლად დამშლელი ხმა და ბრძანება: «ესა და ეს არ ქმნა», «დაჯექ სწორედ», «ეს არ შეიძლება», «ჩამომეხსენ შენი კითხვებით» და სხვანი და სხვანი. ბავშვს არ შეუძლიან გადააბიჯოს, რომ იმ წამსვე არ შემოესმას უკანიდგან აღკრძალვა და ბრძანება მშობელთა და აღმზრდელთაგან. ნაცვლად მწვრთნავ პატრონების მოთხოვნისა ყრმას არ შეუძლიან მოიქცეს სხვა ნაირად, თუ არ ისე, როგორც ნაბრძანებია: იმას არ შეუძლიან სჭამოს, როდესაც სშიან; გაიცინოს, როდესაც ეპიონება; იტიროს, როდესაც ეტირება; მისცეს ნაცვლად ერთისა მეორე ხელი. ჩქარა არ შეეძლება ამოიქმნოს სხვა გვარად, გარდა განწესებულისა (რუსო, ემილი, 93).

ეს სისტემა აღზრდისა ჩინებული იქნებოდა, რომ კაცს საჭიროება და შემთხვევა არა ჰქონდეს ცხოვრებაში საკუთარი გონება და ნების ძალა მოიხმაროს ხოლმე; რომ შესაძლო ყოფილიყო, თითოეულისათვის მიგვეცემებინა საკუთარი ლალა და მამა-მძუძუ, რომლებიც განაგებდნენ ყოველ მის მოქმედებათა. მაგრამ ცხოვრებაში ეს არ არის: რამოდენსამე ხნის შემდეგ, ჩვენ ვანებებთ თავს ლალებს და აღმზრდელებს და ჩვენი საკუთარის ჭკუის და ნების ძალის მოხმარება გვჭირდება. ჩვენ თვითონ იძულებულნი ვართ შევებათ და შევეჭიდოთ ცხოვრებას ჩვენის საკუთარის ღონით და ძალით. მაგრამ ამისათვის აღნიშნული სისტემა—აღმზრდელთა დესპოტიზმი ვერ შეამზადებს ყრმათ. ყრმა, რომლის თავისუფალი მოქმედება ყოფილა სისტემატიკურად შეჯაჭვული და დაშლილი, რომელიც არ არის ნაჩვევი ყოველ საქმეში მოახმაროს თავისი საკუთარი ჭკუა და ნების ძალა, ვერ მოუხერხებს შებმას და შეჭიდებას ცხოვრებასთან: დაჩვეული მოქმედებას ნაცვლად თანახმად ნაბრძანებისა, ყოველ თავის ქცევაში, თვით უბრალოშიაც

კი, აღმზრდელთა ჭკუით და ნების ძალით, ხელმძღვანელობს ვეღარაოდეს ვერ მოახერხებს საკუთარის თავით და მხნეობით მოქმედებას. ესრედ აღზრდილი ყრმა, რამ წამსაც შემოეცლე-ბიან მშობელნი და აღმზრდელნი, დაშთება ისეთივე უწყალო, უძალ-ღონო, როგორსაც წარმოადგენს ჩვილი ყმაწვილი. ვერა-ვითარს სიმტკიცეს, ხასიათის სიმაგრეს და მამაცობას მასში ვეღარ იპოვით. ყოველივე, რომელსაც მოჰყვა თავში მისი მი-ღებს თავის მზრუნველობაში, რომელსაც მოეპრიანება მასზედ ბატონობა, გაუხდება ბატონადაც და მბრძანებლადაც.

მეორე სისტემა აღზრდისა სრულებით ეწინააღმდეგება პირველსა. ამ სისტემის ძალით, პიროვნება ბავშვისა არამც თუ არ დაისაგრება, არამედ შეადგენს საფუძველს ყოველ მის მოქმედებისას. იგი შეადგენს, როგორც იტყვიან, ქვა-კუთხედს აღზრდისას. ყოველი სურვილი, წადილი და ჟინი ბავშვისა ფიცხლავ შესრულებაში მოჰყავთ. ბავშვის გარშემო არ არის ისეთი პირი, რომელსაც შეეძლოს მასთან შეჭიდება. თუ რომ ვინმე მოინდომა მისი სურვილის წინააღდგომა, მაშინ ის ცრემლით და ტირილით უსათუოდ გაიყვანს თავისას, შეისრუ-ლებს თავის ქეიფს და სურვილს. არ მოიპოვება ისეთი სჯუ-ლი და კანონი, რომელსაც ბავშვი უნდა დაემორჩილოს; პირ-იქით, მისი სურვილი ყველაზედ მაღლა სდგას; ყველა თავს იდრეკს მის წინაშე: რამ წამს მიაწოდა ხელი რაიმე საგანს, იმ წამსვე რამოდენიმე ხელი ფიცხლავ მისცვივდება იმ საგანს, რომ მიართვან პატარა ბატონს,—ბრძანა სიტყვა ამ დესპოტ-მა და გარშემო პირნი უსაცილოდ მორჩილდებიან ამ სიტყვას; გამოუცხადა ვისმეს და რასმეს თავისი უსიამოვნება და წამსვე ეს პირნი და ნივთნი იკარგებიან იმისგან. თუ რომ სადილ-ზედ დედამ მიართვა რამე და იმან ბრძანა: «მე ეს არ მინდა»,

მაშინვე დედა შეწუხებით ჰკითხავს: «მაშ რა გინდა, ჩემო საცოცხლევ?» «მე მინდა აი ის ნაჭერი», «აი ის ნაჭერი, რომელიც შენ გინდა, ჩემო კარგო», «ეს კარგი არ არის, არ მინდა». «კარგი არ არის? გეუბნება დედა.» «მაშ რა გინდა?» «მე მინდა კუპატი». «კუპატი არა გვაქვს, შვილო!» «მე მინდა კუპატი», ბრძანებს დაჟინებით ბავშვი. «დაჩუმდი, შვილო, დედა გენაცვალოს; ხვალ მე კარგს კუპატს გამოგიცხობ», «მე ხვალ კი არა, ეხლა, ამ საათში მინდა კუპატი», დაიჟინებს ბავშვი. დამარცხებული დედა გზავნის მოსამსახურეს ბაზარში კუპატების საყიდლად. «აი, ჩემო პატარა ყოჩაღო, კუპატი, ეხლა ხომ გამოყოფილი ხარ, ხომ აღარა გინდა-რა?!» «ახლა მწყურიან.» «გწყურიან? რა გინდა დაგალევინო, ჩემო ტურფავ, წყალი, ჩაი, რძე?» «მე მინდა ყავა». «ყავა, ჩემო საყვარელო შვილო, ჯერ მზად არ არის». «მე კი წამსავე მინდა ყავა», დაიჟინებს ბავშვი. «დაანთე, ტატო, ცეცხლი», გასცემს გულ-ჩვილი მშობელი ბრძანებას და საჩქაროდ მოამზადე ანდრიკოსთვის ყავა». «ნუ სტირი, დედა გენაცვალოს ანდრიკუნაჯან, ნუ სტირი, ამ წამსვე მოგიმზადებს შენი გამდელი ტატო, ყავას». მომიტანეთ ჩქარა ყავა, დაიჟინებს უმაწვილი. «ამ წამსვე, ამ წამსვე, ჩემო კარგო!» «აი ყავა, ანდრიკო» (მიართმევს ყავას გამდელი). «მე ყავა აღარ მინდა, მე მინდა რძე», «დედავ, მე რძე მინდა, მომიტანეთ რძე.» «აი, გენაცვალოს ჩემი თავი, შვილო, რძე». «ეს ჩემი სტაქანი არ არის! მე მინდა ჩემი სტაქნით დავლიო რძე.» «რა ჭკვიანი უმაწვილი არის! მაშინვე შეიტყო, რომ თავისი სტაქანი არ არის. აი, გენაცვალე, შენი სტაქანი, დალიე, დედა გენეცვალოს, შვილო»!!...

რადგანაც ამ უკანასკნელი სიტყვის ძალით ყოველდღიური

შესრულდება თანახმად ბავშვის ნებისა, მის სურვილის და ჟი-ნის წინააღმდეგობა არავის და არა რას არ ძალუძს, ამისთვის ზოგს ეგონება, რომ ბავშვის ხასიათი და ნების ძალა საკმაოდ უნდა გამტკიცებულიყო. მაგრამ ასეთი აზრი სრულებით შე-ცთომილია: თუ რომ ბავშვმა ქვითინით შეიძლო დამორჩილე-ბა თავის მშობლებისა და შესრულება თავისი სურვილისა და წადილისა, ამ საშუალებით ის ვერ შეიძლებს სხვის დამორჩილე-ბას. დაჩვეული მუდამ ბრძანებლობას და ბატონობას თავის მშობლებზედ და გარეშეთა პირებზედ, შეჩვეული, რომ ყველა მას ემორჩილებოდეს ბრძანების უმალ, სიტყვის შეუბრუნებლად და ხმის ამოუღებლად, ამისთანა ბავშვი, რომ წამს კი ნახავს პატარა რაიმე დაბრკოლებას და წინააღმდეგობას, ვერ შეიძლებს მათ დამარცხებას, რადგანაც ბრძანება და სიტყვის თქმა აქ სა-კმარი არ არის, არამედ საჭიროა ძალის მოხმარება, დიდ-ჟა-მიერი და შეუპოვარი ბრძოლა, რომლისათვისაც სრულებით არ არის შემზადებული. წინად ყველა ემორჩილებოდა, არას რა აღუდგებოდა წინ, ის იყო ძლევა-მოსილი, ერთის სიტყვით, უბრძოლველად, ეხლა კი მისთვის საჭირო ხდება ბრძოლა, შეჭი-დება. უეჭველია, რომ ასეთი ბავშვი ბრძოლის გამართვის დროს-ვე წააქცევა: პირველი ღონიერი ცხოვრების ტალღა, პირველი ცოტა რამ ძლიერი დაბრკოლება ერთბაშად შეუმუსრავს ყველა ძალებს. ამ ცოტა ხნის წინად გულადი და მამაცი, ბატონი თითქმის მთელი სახლობისა, რომელიც სთვლიდა ყველას ყმად და აღმასრულებლად თავის სურვილისა, დღეს, დამაბრკოლებე-ლი შემთხვევების გამო, გარდაქცეულა მხდალად, მშიშარად, დაცემულად, რომელიც სთვლის თავის თავს უფრო უძლურად, უძალ-ღონოდ, ვიდრე ნამდვილად არის. მას ეძნელება შეჭი-დება არამც თუ იმისთანა საქმისა, რომელიც იმისთვის გასა-

ჭირია, არამედ იმისთანისაც, რომელიც სრულებით შესაძლე-ბელია.

ესე, ეს სისტემაც ისეთივე უვარგისია განსავითარებლად მაგარის და მამაცურის ხასიათისა, როგორადაც პირველი. მაშ, რა სისტემით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რომ ავსცდეთ ამ სცილას და ხარიბდას, ამ სამწუხარო აღზრდის კიდურ-მდგომარეობას; რა ნაირად შეიძლება შეუმუშავდეს ბავშვს მტკიცე და დამოუკიდებელი ხასიათი?

მტკიცე და დამოუკიდებელს ხასიათს აქვს ორ-ნაირი თვისება: აქტიური და პასსიური. აქტიურ თვისებას ხასიათისას შეადგენენ: გამბედაობა, გამჭრიახობა, ნიჭი საქმის დაწყობისა და გათავებისა, საზოგადოდ ნიჭი ინიციატივისა; პასსიურ ხასიათის თვისებებს შეადგენენ: შეუპოვარი და დაუყოვნებელი გამოკიდება ერთხელვე მიზანში ამორჩეულის საგნისა, დროთა ვითარების მოლოდინება, ხერხი ფრთხილად მოქცევის შესახებ, თანახმად ბუნების და ცხოვრების კანონებისა. უეჭველია, აღზრდის დანიშნულება უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ გამონახოს საშუალებანი აღსაზრდელად და განსამტკიცებლად როგორათაც აქტიურის, ისე პასსიურის ხასიათის თვისებებისათვის. ამისთანა საშუალებას აქტიურის ხასიათის თვისებების აღსაზრდელად და განსამტკიცებლად წარმოადგენს: დანიშვნა ყმაწვილისათვის რაიმე წრისა თავისუფალ მოქმედებათათვის, რასაკვირველია, წლოვანობის შესაფერად და ვარჯიშობა მისი ამ წრეში; ხოლო რაც შეეხება განსამტკიცებელ საშუალებებს პასსიური ხასიათის თვისებებისათვის, ამისათვის საჭიროა მხოლოდ აღმზრდელმა დაუმორჩილოს ბავშვი დისციპლინას.

ნაჩვენებს წრეში ბავშვს უნდა მიეცეს სრული ნება თავისუფლად მოქმედებისა, ბავშვმა საჭიროა იმოქმედოს დამოუკი-

დებლად, ყველა შეასრულოს თავისი ძალით და საშუალებით. სხვისგან შემწეობა საჭიროა და სასარგებლო, მხოლოდ იმ დროს, როდესაც ყმაწვილმა იხმარა ყოველ-გვარი ღონისძიება თავის სასარგებლო კანონიერის სურვილის შესასრულებლად და მაინც ვერ მოახერხა.

ძვირად შევცდებით, რომ ეს დიდი კანონი იყოს დაურღვეველი მშობლების და აღმზრდელების მხრივ შესახებ ყმაწვილებისა. ძლიერ ხშირია, რომ მშობლები და აღმზრდელები მთლად შრომას, რომელიც საჭიროა შეასრულონ ბავშვებმა, თვითონ კისრულობენ: რამ წამს ბავშვი გამოაცხადებს სურვილს რისამე გაკეთებისას, სადმე წასვლისას და შეეცდება რამე დაბრკოლებას, ან ვერ მოახერხებს მის შესრულებას, მაშინვე გულ-ჩვილნი და დაუფიქრებელნი მშობელნი და აღმზრდელნი გამოცხადდებიან საშველად, ბავშვის გამოსახსნელად გაჭირებიდგან. ამ გვარ თავის ქცევით მშობელთ და აღმზრდელთ მოაქვთ დიდი ვნება ბავშვებისათვის, რადგანაც მათი სამსახურის გამო, ბავშვი სცდება ვარჯიშობას, თავის ძალის საქმეში მოხმარებას და გამოყენებას, — ბავშვს არ ეძლევა შემთხვევა შებმისა და შეჭიდებისა დამაბრკოლებელ მიზეზების წინააღმდეგ. სულ ყველა ესენი, როგორც ვსთქვით, შესრულდებიან მშობლების და აღმზრდელების მხრივ. რასაკვირველია, ამ ნაირად სრულებით შეუძლებელია მაგარი ხასიათის აღზრდა და განმტკიცება და მართლაც, საიდგან შეუძლიანთ შეიმუშაონ ბავშვებმა ნიჭი ინიციატივისა, თუ რომ მათ არ მიეცემათ ნება და შემთხვევა საკუთარი ძალის საქმეში მოხმარებისა და გამოყენებისა.

რასაკვირველია, ჩვენ ამით ის არ გვინდა ვსთქვათ, რომ ყმაწვილს, სჯობია, მიანებოს გაცმა სრულებით თავი და გაუშვას

უყურადღებოდ: რომ ყმაწვილობისათვის საჭირო არ არის დამარცხება. არა, ყმაწვილს ნამდვილად უნდა დამარცხება, მხოლოდ დამარცხება გონივრული, სახელდობრ: აქ და მაშინ, სადაც უსაჭიროა განსამტკიცებლად მასში ხასიათის სიმაგრისა, განსავითარებლად მამაცურის ხასიათისა. ვსთქვათ, შეებრძოლა ყმაწვილი დაბრკოლებებს ძალას ურიცხვეს, ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ, და სხვ. იხმარა ყოველი თავისი ღონის ძალა და ვერ შესძლო ვერც ერთხელ დაბრკოლების დამარცხება, მაშინ, თუ რომ არ დავეხმარეთ ბავშვს, დაკარგავს იმედს დაბრკოლების დამარცხებისას და სხვა დროს ვეღარც კი გაუბედავს ბრძოლას. ამისთვის საჭიროა დავეხმაროთ და შევეშველოთ აქ ყმაწვილს, მხოლოდ, როგორც ჩვენ ვსთქვით, აქ ნაღდად უნდა შევეწიოთ ბავშვს მაშინ, როდესაც მოიხმარა მან ყოველი თავისი ღონის ძალა-ენერგია და შესასრულებელი კი ვერ შეასრულა. ვსთქვათ, მაგალითად, ბავშვი ამზადებს გაკვეთილს და შეცდა რამე საძნელო, გაუგებარი, — მოიცადეთ, ნუ დაუჩქარებით თქვენის დახმარებითა და აცდინეთ! მეტაც, კარგად დაფიქრდეს ბავშვი, შეეცადოს თავის-თავად იმის გაგებას; თვითონ გამოიკვლიოს საძნელო საგანი.—თუ რომ შეიძლო და გამოიცნო, ხომ ძალიან კარგი და თუ არა—შეეშველეთ, მხოლოდ ნუ გაანთავისუფლებთ იმას სრულებით შრომისაგან, ნუ მიიღებთ იმის შრომასაც თქვენს თავზედ, ნუ გაუკეთებთ მას გასაკვეთს და ამ ნაირად ნუ ჩაუდებთ თავში.

ვსთქვათ კიდევ, მოიწყინა ბავშვმა მამასთან, ან დედასთან და სთხოვა რამე სათამაშოს გაკეთება,—ნუ დაუჩქარებთ ამ სიამოვნების მოცემას ბავშვისთვის; მეტა, იმან თვითონ შეამზადოს ყველა, რაც კი საჭირო არის ამ სათამაშოს გასაკეთებლად და დაეხმარეთ თქვენ მხოლოდ იმაში, რისაც გაკეთება მან თვითონ ვერ შეიძლოს.

ვსთქვათ, შეემთხვა კიდევ რამე ბავშვს: წაიქცა, იტკინა რამე, ჩამოვარდა საიდგანმე და სხვ... ნუ დასცქერით ამის ბრალს ვისმეს და რასმეს, ნუ დაუწყებთ გაჯავრებას გამდლებს და მოსამსახურეებს, რომ იმათ ატარონ თქვენი შვილი სულ სწორე გზაზედ, რომ მან არ წამოკრას ფეხი ან კენჭს, ან ხრამში არ ჩავარდეს და სხვანი. პირიქით, მიეცით დარიგება თქვენ შვილს, რომ სხვა დროსთვის იგი გაფრთხილდეს, დაიცვას თავისი თავი საუბედურო შემთხვევებისაგან და განსაცდელთაგან.

თუ რომ მშობელნი და აღმზრდელნი შეითვისებენ ამ აღზრდის სისტემას, ე. ი. დაუხმარებიან ბავშვს მხოლოდ მაშინ, როდესაც ამათი დახმარება მისთვის საჭიროა, მაშინ ისინი შეიძლება იყვნენ მტკიცედ დაიმედებულნი, რომ ბევრი რამ ქმნეს განსავითარებლად ბავშვი მაგარის და მამაცურის ხასიათისა. ამ სახით ბავშვი მიეჩვევა თავის ღონის და ძალის საქმეში მოხმარებას, — შებრძოლებას დამაბრკოლებელ შემთხვევებთან, — დამოუკიდებელ მოქმედებას; თავისთავად თავის ცხოვრების საგანის ამორჩევას და იმ საშუალებათა ამორჩევასაც, რომლის შემწეობითაც შეიძლება ამ ამორჩეულის სურვილის შესრულება. ყოველ დროს და საქმეში იყოს დამყარებული თავის-თავზედ და არა სხვაზედ, სხვისა იმედზედ.

ესე, მაგარი და დამოუკიდებელი ხასიათი შეადგენს ნაყოფს თვით მოქმედებისას, დამოუკიდებლად დაწყობილის და განგრძელებულის ბრძოლისას სხვა და სხვა დამაბრკოლებელ შემთხვევათა წინააღმდეგ.

რაც შეეხება აღზრდას და განმტკიცებას პასსიური ხასიათის თვისებათა, ამისთვის საჭიროა აღმზრდელმა დაუმორჩილოს ბავშვი დისციპლინას. ძალიან სცდებიან ისინი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ვითომ მაგარი ხასიათის განსავითა-

რებლად, არ იყოს საჭირო დისციპლინა, ვითომც, პირ-იქით დისციპლინა დაუსუსტებს ბავშვს ხასიათს. მაგრამ ხასიათს არ შეადგენენ მარტო აქტიური თვისებანი: ნიჭი ინიციატივისა, გამბედაობა, გამჭრიახობა, თავის გამოდება და სხვ. არამედ პასსიური: სულგრძელებით ატანა სხვა და სხვა უბედურებათა და დანაკარგთა, დროთა მოლოდინება ანუ მოცდა; მოთმინება; არ დაცემა უბედურების დროს, არამედ მამაცურად დახვდომა მისი და დამარცხება. კაცის ცხოვრება, როგორც იტყვის დარვინი, არის შეუწყვეტელი ბრძოლა, მაგრამ არა მარტო იმ აზრით, რომ კაცმა უნდა შემუსროს, დაარღვიოს, მიაყენოს ყველა, რაც მას წინ უდგება და ეღობება; არამედ მომეტებულად უფრო იმ აზრითაც, რომ მან უნდა შეუთანხმოს და შეუთანასწოროს თავისი წადილი და გულის-თქმა ბუნების და ცხოვრების კანონებს, იყოს მტკიცედ დარწმუნებული, რომ მხოლოდ იმ მოქმედებას შეუძლიან მოიტანოს კეთილი ნაყოფი და სარგებლობა, რომელიც სრულებით ეთანხმება და ემორჩილება ამ კანონებს.

ამ სახით, თუ რომ გვსურს, აღუზარდოთ ბავშვს მაგარი და შეურყეველი ხასიათი და ნების ძალა, უსათუოდ საჭიროა განვამტკიცოთ ბავშვის პასსიური ხასიათის თვისებანიც. მაშ, ვიკითხავთ, რა შეადგენს ამის საშუალებას?

უმთავრესს ამის საშუალებას, როგორაც ვსთქვით, შეადგენს ის, რომ დაუმორჩილოთ ბავშვი გონივრულ დისციპლინას. ეს შეადგენს გრძელს, განიერს და სწორე სავარჯიშო გზას თავის შესაკავებლად, აზრების და მოქმედებათა საზოგადო კანონების დასამორჩილებლად, შესაწირავად პირადული ინტერესების და სურვილისა თავის ვალის და დანიშნულებისათვის.

უეჭველია, რომ დისციპლინამ შეიძლება იქონიოს ამისთანა გავლენა ბავშვის ხასიათზედ მხოლოდ მაშინ, როდესაც პირველად, არ შეჯაჭვავს ბავშვის თავისუფლებას, არ გაუხორკლებს ფეხებს, არამედ მისცემს ბავშვს სრულს ნებას თავისუფლად მოქმედებისას, ოღონდ კი მისი მოქმედება არ ეწინააღმდეგებოდეს საზოგადო კანონებს. ამის გამო აქ არა აქვთ ადგილი იმ მრავალ-გვაროვან წვრილმან დისციპლინას, დებულებას, იმ ათას და ათი-ათას აღკრძალვას და ბრძანებას, რომელიც სუფევენ ოჯახებში.

მეორე უსაჭიროეს თვისებას დისციპლინისას შეადგენს სიმტკიცე და უცვლელობა. ეს უკანასკნელი გაარჩევს იმ დისციპლინისგან, რომელიც სუფევს ოჯახში და არის მუდამ ცვლილებაში. რაც გუშინ ოჯახში იყო დაშლილი და მკაცრად განიდევნებოდა, დღეს იგი არამც თუ არ განიდევნების, არამედ ნებაც არის დართული. როდესაც დედა ნაღვლიანი, ან გაჯავრებული არის, მაშინ ყველა დანაშაული სასტიკად გადახდების ბავშვს, მის დაწუნებას და აღკრძალვას სათვალავიც არა აქვს; წინააღმდეგ, როდესაც კი მხიარულია, მაშინ თითქმის დიდი დანაშაულიც არ მოეკითხება. ეს კიდევ არაფერი.

ბევრჯელ იმასაც შევხვდებით ოჯახებში, რომ მამა ხელმძღვანელობს სხვა ნაირი დისციპლინით, დედა სხვით და ბებია სხვით და ამ ნაირად ერთ ოჯახში სუფევს სამ რიგი დისციპლინა. ბევრჯელ, რაც მამისაგან ყმაწვილს დაეშლების, იმაზედ დედისაგან და ბებიასაგან სრული დასტური დაეცემის. რაღა თქმა უნდა, რომ ამისთანა ოჯახებს უნდა ჰქონდეთ დიდად საზიანო, მავნებელი გავლენა ბავშვის ხასიათზედ და მათ

შემწყობით არაოდეს არ შეუძლიანთ მისცენ ბავშვის ხასიათს საკმაო სიმაგრე და დამოუკიდებლობა.

ყველა ამას საჭიროა დავუმატოთ, რომ აღნიშნული სიმტკიცე და დამოუკიდებლობა შეიძლება მიეცეს ბავშვის ხასიათს მხოლოდ მაშინ, როდესაც ოჯახში არ მოიპოვებიან ბავშვის ხასიათისათვის მავნებელი პირობანი თუ რომ ოჯახის წევრნი: მამა, დედა, ძმები, დები, გამდელნი და მოსამსახურენი წარმოადგენენ გაუბედავ, მხდალ და სულ-მოკლე პირთ, მაშინ ძალიან საეჭვო არის, რომ ბავშვი გამოვიდეს მტკიცე და დამოუკიდებელის ხასიათისა, იყოს გამბედავი და სულ-გრძელი.

თელაწყალელი.

# სახალხო ლექსები.

(ქიზიყში შეკრებილი თელაწყლელისგან).

წყალ-გაღმა ქალმა ლამაზმა ჩიქილა დამიქნიაო,
იქით ის მოკლა სურვილმა, აქათ მე წამაქციაო.

—

ა, ქალო, მძივი, რა მძივი, წართმეულისა მინაო,
არ მინდა შენი მინაო, დამიძასხებენ შინაო;
ქმარი მცემს, მაზლი მაგინებს, მული მილესავს დანასა,
თუ დედამთილმა შემიტყო, გამომასალმებს ყველასა.

—

ქალმა თქვა, ბნელა ღამეში რისათვის მინდა ფარანი,
მე ისეთი ქმარი მინდა, გულზედა ჰქონდეს ბალანი;
ქვითკირის სახლი ჩქედგას, გვერდით მქედგას მარანი,
ურმით საფქვავი მიჰქონდეს, კარს შუშა-ხალარი.

—

ეს ბიჭი კარგად თამაშობს, თითის წვერებზედ დგებაო,
ფეხი თუ გადაუბრუნდეს, ჩვენ ნურას დაგვბრალდებაო.

—

ქალო, ასეთი თეთრი ხარ, როგორც კედელზედ კირიო,
სიზმარში მომაგონდები, წამოვდგები და ვსტირიო.
ქალი: აქადამა და შენამდინ ვარდი მასხია ენამდინ,
თუ ვინმე გამომიშვებდეს, სირბილით მოვალ შენამდინ.

—

ზამთრივ ლობიო დავთესე, გაზაფხულს გაშავდებაო,
ბიჭმა რომ გოგოს აკოცოს, მითომ რა დაშავდებაო?!..

—

ივანე, ივანე, ქალაქ დაიგვიანე,
ერთი თევზი მოიტანე, ისიც გააჭიანე.

—

ივანე, ივან ჭილაო, თაგვები დაგეჭირაო,
ხორცი გუდაში ჩაგედვა, ტუავები დაგეჭამაო.

—

საწყალსა კაცსა ვინ მისცემს ალების ღამეს ღვინოსა,
მჭადი ჭამოს და წყალი სვას, დაწვეს და დაიძინოსა.

—

მოჯამაგირის დღესაო
არ დეელევა ვენესაო....

—

ქალო, თიანეთო, გამომყე, გადგიყვან ყარაიასა,
თუ გინდა მოვსა ჩაგაცმევ, თუ გინდა დარაიასა;

—

თიანეთს ოქროს ლოგინსა, შიგ სამნი დანი წვენანო,
არ ვიცი, რომელს შევუვარდე, სამნივ ერთმანეთს გვენანო.

—

ანაგისა*) ხეობაზედ წყალი ჩამოდის მართული (ქან-
ქანებით გამოყვანილი.)
ქალმა წინდები ჩამაცვა, თავის ხელებით დართული.

—

ე ქედელი,**) კარგად იცი, სერია წაკიდებული,
პატა დროზედ გამოგვიტა, ვირი გვყავ აკიდებული.
(ალილოს დროს).

—

*) ა ნ ა გ ა არის სოფელი სიღნაღის მაზრაში.

**) ქ ე დ ე ლ ი არის სოფელი სიღნაღის მაზრაში. აქ ასაფლავია წმინდა ნინო, საქართველოს განმანათლებელი.

ალათასა, ბალათასა, ხელი ჩავყავ კალათასა,
ქალო, კვერცხი გამოგვიტა, ღმერთი მოგცემს ბარაქასა.
(ალილოს დროს).

# მოძღვარი.*)

## V

ერთს ზაფხულის საღამოს, როდესაც გელამ ბერწი ცხვარი მთაში გაისტუმრა და მეწველი-კი შინ დააგდო, რადგანაც ყინულების მახლობლად საკმარისი ბალახი ჯერ არ იქნებოდა, —ეს კაცი კარებთან ჩამოჯდა და ყალიონი გააკეთა. შემდეგ ამოიღო ტალკვესი, აბედი და კვესება დაიწყო; კარგახანი ეწვალა, მაგრამ შრომამ ამაოდ ჩაუარა, რადგანაც ცეცხლი ვერ გააჩინა.

— დედა-კაცო, ცეცხლი! ბრძანებით დაიძახა იმან.

მაყვალამ „არცისკანათი“ ცეცხლი გამოიტანა, მისცა და ის იყო გაბრუნებას აპირებდა, როდესაც ქმარმა შეაყენა...

— მოიცა.

ქალი გაშეშდა; გელა ჩიბუხს წყნარად უკიდებდა და ცოლს ხან-გამოშვებით წყნარ-წყნარადვე შესცქეროდა.

— ქალაუ, აქ დაჯექ. ბოლოს გაწყვიტა ქმარმა სიჩუმე.— რაიდაც უნდა გითხრა...

— რაი გინდა? უპასუხა მაყვალამ უკმაყოფილოდ და დაუმატა:—მწყემსებისთვის ჯერი მიგვიანდება.

— აქ დაჯექ, მეთქი! გელამ ხმა შეუმაღლა, თუმცა ტუჩები რწმუნებით ულიმდებოდა.

— არ მცალიან მეთქი! იმავე ხმით უპასუხა ქალმა, მაგრამ ადგილიდგან არ დაიძრა.—მითხარ, რაი გინდა და წავალ.

— დაჯექ, დაჯექ ქალაისი! ჯერს კიდევ მოასწრობ, ხმა მოიტკბო კაცმა, მოხვია ხელები და თავისკენ მიიზიდა.

ქალმა წინააღმდეგობა არ უჩვენა, მორჩილად მიჰყვა და, როდესაც გვერდს მოუჯდა, ქმარმა მხიარულად შეხედა.

---

*) «ივერია» № 7, 1885 წ.

— „ძალუმი" ხარ, ღვთის მადლმა! წამოიძახა იმან და გრძნობით აკოცა.

მაყვალამ აქაც ხმა არ ამოიღო, მაგრამ გაწითლდა, წარბები შეიჭმუხნა და ის ადგილი, რომელსაც კაცი შეეხო, მკლავით მოიწმინდა. ქმარმა შეხედა, შეამჩნია მაყვალას ეს მოძრაობა და ჩაიცინა; გაშალა მკლავები, მოეხვია და ძალზედ მიიზიდა.

— გაჰგია-და ჩე! ვეღარ მოითმინა ქალმა, გაიბრძოლა, მაგრამ გელამ არ გაუშვა.

— დაჩუმდი, ჩემო ყველავ! რაისთვის არ გინდა რომ გაკოცო? ალერსით ეუბნებოდა გელა, მაგრამ ქალი მაინც არა ნებდებოდა და სახეს არიდებდა.

ბოლოს ქმარმა თავი მაგრად დაუჭირა, სახე გადმოუბრუნა და გაცხარებისგან აღგზნებულს ტუჩებში აკოცა.

— ფუი! გადააფურთხა ცოლმა და მოუთმენლად დაუმატა:
— ეგ რაიღა იცი?

— მაშ რაისთვის იწმენდ? ნიშნის მოგებით მიუგო მთიელმა და პირზედ კმაყოფილების ღიმილმა გაუთამაშა.

— იმად, რომ მეჯავრები! ვეღარ მოითმინა მაყვალამ.

გელამ შუბლი შეიჭმუხნა და წყნარად, თუმცა მტკიცედ და გარკვევით უპასუხა:

— ღვთის მადლმა, რომ შემიყვარებ.

ამ სიტყვებმა ცოლი უფრო გააბრაზა და განრისხებით შებღვირა.

— ეგრე ნუ მიყურებ, ნუ, ღვთის მადლმა, თორემ კიდევ გაკოცებ. ისევ გაუღიმა მთიელმა და თვალები შეუთამაშდა.

უბედურმა ამოიოხრა, რადგანაც არ იცოდა, ამ კაცის ალერსს როგორ მოშორებოდა.

— კარგი, კარგი, ნუ ჯავრობ, თორემ გეუბნები რომ კიდევ გაკოცებ მეთქი! გა, აგრემც შემეწევა სამება.

— არ ვჯავრობ, არა! ძლივს წარმოსთქვა თვალებში ცრემლმორეულმა მაყვალამ და უფრო მოთმინებით გააგრძელა:—ბეჩა, მითხარ რაისთვის მეძახოდი, ცომი გამიცივდების.

— კოცნა მომწადდა და იმად! გაიხარხარა ნაიასაულარმა.

— დამიბრმეს თოლი!

— რა, არ მოგწონს?

— გამიშვი, გამიშვი, ისევ გაიბრძოლა ქალმა.

— ქალაის გახარებამ, ტყუილად იბრძვი.

— რაი გინდა ჩემგან?

— მითხარი:—არ მოგეწონა მეთქი?

— ოჰ! მოუთმენლად მოსცა პასუხი და სრულიად გაჯავრდა. —არ მომწონს არა! ახლა?

— რაისთვის არა? კაი კოცნა ვიცი?!

ველას ესმოდა რომ ამ საქციელით საყვარელს ქალს აბრაზებდა და ამ საქციელში რაღაცა განსაკუთრებულს სიამოვნებასა ჰგრძნობდა.

— მაი ერთსაც გაკოცებ და ისე გეტყვი, რაიც მინდოდა?

— არაუ! მაყვლამ სახეზედ ხელები დაიფარა.

— ჩემო ყველაუ!

— არაუ, არა მეთქი!

— აი თუ არა! კაცი ისევ ძალზედ მოეხვია, მაგრამ, რაწამს ქალი გულთან მიიკრა, მისი სიახლოვის სიტკბოება იგრძნო, ერთბაშად ხელები ისევ გაუშვა და ორნივ ზეზე წამოცვივდენ.

ეზოს კარები ვიღაცა კაცმა შემოაღო, ცოლქმრის არშიყობას თვალი შეჰკრა, შემკრთალი ისიც იმავ ადგილას გაჩერდა და თავი დახარა.

ყველანი აჩქარდნენ, დაიბნენ და კარგა ხანმა გაიარა, სანამ ხმის ამოღებას მოახერხებდნენ.

— საღამო მშვიდობისა, გელაუ! ბოლოს სტუმარმა ძლივს მოახერხა.

— ონისეუ! შენა?.. გამოიარე გა!.. რაისთვისღა დადექი? მიეგება მასპინძელი.

მაყვალაც გონს მოვიდა, მსწრაფელად გაბრუნდა და, ჭარხალსავით გაწითლებული, სახლში შევარდა. სტუმარი შემოვიდა და მასპინძლისგან ნაჩვენებ ადგილზედ დაჯდა.

ორნივ გაჩუმებულნი იყვნენ და ჯერ კიდევ პირველის შთაბეჭდილებიდგან ვერ გამორკვეულიყვნენ. ონისესთვის, მისდა უნებურად, მოწმად დასწრობას, თუ სხვა რომელიმე გრძნობას თავი ჩაეხრევინებინა და სახე ხანდარჩოდ გარდაექცია; გელა ჯერ კიდევ ისევ საყვარლის ლაზათიანობის შთაბეჭდილების ქვეშ იყო და რწმუნებით გუნებაში იმეორებდა: „სტყუის, შეყვარვარ!“

ონისე არაბული გელას მეზობელი იყო, მაგრამ მის სახლში მაყვალას შესვლის შემდეგ აღარ გაეჭაჭანა. ეს ბიჭი, ბევრით ყმაწვილი გელაზედ, წარმოსადეგობითაც და სილამაზითაც მასპინძელს ბევრად სჯალდობდა. ამასთანავე გამბედავი, პირ-და-პირი და პატიოსანი სტუმარი მთელს სოფელს ხელი-ხელ საგოგმანებლათ ჰყვანდა გამხდარი.

ონისეს, მართალია, გლეხსოდენი შეძლება არა ჰქონდა, მაგრამ შრომა უყვარდა, მეურნეობა იცოდა, მთელს სიცოცხლეს ცხვარში ატარებდა და გლეხ-კაცის კეთილდღეობა-კი მხოლოდ ამაზედ არის დამოკიდებული. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ონისეს ყოველთვის გელაზედ მეტი შოვნა შეეძლო, სტუმარსაც და მტერსაც უკედ უხვდებოდა და თემობა-

საც მეტს ემსახურებოდა. ეს ლამაზი უმაწვილი და მოხდენილი სწორედ ის არაბული იყო, რომელსაც მაყვალა სიყმაწვილითვე გულში ისე ჩასჭედოდა, რომ თვით ჯოჯოხეთის ცეცხლსაც ვეღარ ამოებუგა და ქვეყნის ნიაღვარს ვეღარ წაელეკა.

სტუმარ-მასპინძელი დასხდენ, მაგრამ, რადგანაც ერთმანეთს ეხათრებოდენ, შეყრის მიზეზზედ ლაპარაკის დაწყებას ერთმანეთს აცლიდენ.

— მაი ვახშმად აქ დარჩი. მოიწვია მასპინძელმა.

— დამირჩეს შენი თავი!.. ბარემ მეც მინდოდა შენთან ყოფნა, მაგრამ ხელმარტოობას რაი უყო?.. ცხორი ტიალად დამრჩა და მეღუპების.

— კარგია-და ჩე!.. ცხორს რაი უნდა?.. მწყემსები იქ არა ჰყავს? უთხრა მასპინძელმა და თხოვნა გაუმეორა:—დარჩი, ღვთის მადლსა!

— ვერა, ღვთის მადლმა, ვერ დავრჩები... შენთან ბატარა საქმე მქონდა და მთიდამ იმად ჩამოველ.

— რაი საქმე? ჰკითხა გელამ და ასლო მიუჯდა. — აბა სთქვი.

— მითხრეს მინდვრად ზინის დასაჭერად მიდისო და ამხანაგობამ გამომგზავნა,—ადგილი ერთგან დავიჭიროთო.

— კარგი და კეთილი, გაეხარდა მასპინძელს, რადგანაც ონისესთანა გაბედულის და გამოცდილის მწყემსის მეზობლობა ძვირად დასაფასებელი იყო.—რაისთვის არა?.. თქვენთან ნამგალობა (ამხანაგობა) ღვთის წყალობაა...

— თავადა ხარ ეგეთი, გელაისა! და ცხოს ნუღარ აქებ... ენა იცი და სამართალი, შენთან ვის გაუჭირდების?

— აი ხვალ ვაპირებ წასვლას; თუ შენც წამოხვალ, დაგიცდი.

— მე რაისთვის-ღა წამოვიდე?.. შენზედ უკეთესად ადგილს ვერ ავარჩევ და ვერ მოვურიგდები.

— არა, ონისეისა, თავად წამოდი, თავად ნახე შენის ბედნიერის თვალებითა, თავად მოათვალიერე და ასე ემჯობინების.

— მეტი კაცი—მეტი ხარჯია... ფულს მოგცემ, წადი და ღვთის ბედობაზედ, სადაც დაიჭერ, ჩვენც შენთანა ვართ.

— როგორც გინდა, შენაი ჭირიმე, ეგეც შენი ნებაა, როგორც გინდა. ბოლოს დაეთანხმა მასპინძელი.

— ეგრე, გელაისი!.. დაიჭირე ადგილი და, თუ გინდა, ნამგალათ წამოვალთ, თუ გინდა და ცხვარს დაგირევთ.

— დავრიოთ, ონისეუ! დავრიოთ. ეგ ემჯობინების, ერთერთზედ უფრო გული შეგვავარდების, უპასუხა გელამ და მხიარულად დაუმატა:—ახლა კი უვახშმოდ აღარ გაგიშვებ, ღთის მადლმა.

— ნუ-ღა, გელაისი! ცხორი უპატრონოდ არის და პატრონს მოშორებულ საქონელს-კი მავნე დაეპატრონების!

— ცხორს რაი გაუჭირდების? ეგეთი მწყემსები გვყავსან, ღთის მადლმა, რომ ცაში ფრინველს არ გააჭაჭანებენ და ქვესკნელს ჭიანჭველას. უვახშმოდ არ გაგიშვებ წმინდის გივარგის მადლმა!... ბიჭაუ, გზა მაინც დამილოცე... დედაკაცო, დედაკაცო,—საყვარელს სტუმარს საყვარლად დახვედრა უნდა, —მოგვიმზადე, რაც უფალმა მოგვცა.

ონისემ ჩაბარა ბეის მისაცემი და სახარჯო ხვედრი ფული და ვახშმად დასხდნენ.

პირველის ორიოდ ყანწის გამოცლის შემდეგ, სტუმარს მოაგონდა წინანდელი დღეები, მოაგონდა, ოდესმე რა სიტკბოება უალერსებდა, რა იმედს უქადოდა მომავალი და თვალწინ ათასფერად გამოესახა ის სანეტარო წუთები, რომლესაც

მაყვალას თავისად სთვლიდა, მისგან სულის გაცოცხლებას მოელოდა, გულის სიტკბოებას; მოაგონდა და გული შეეკუმშა, თითქოს მაღზედ რაღამაც მოუჭირაო. დაღონდა, დაფიქრდა და მოიღვრიმა. ეხლა ობლად, სრულიად ობლად მიაჩნდა თავისი თავი და მერე იმისთანა ობლად, რომელსაც თავის სიცოცხლეში ტოლი არ გამოუჩნდებოდა, საალერსო, გულის დამყვავებელს სიტყვას არ გააგონებდა.

მასპინძელმა დაღონება შეამჩნია და მხიარულებას მოუმატა, რომ სტუმარი გაერთო; ამისთვის მინაურს არაყს მოუმარჯვა, სადღეგრძელოები მოუხშირა, მაგრამ, ერთხელ გულჩახურული ონისე, ველარ გამობრუნებულიყო. ერთბაშად გელა წამოდგა და სტუმარს უთხრა:

— ბატარა ხანს შეექეცი და მეც ეხლავე მოვალ.

— გმეყოფის, ღვთის მადლმა! უთხრა ონისემ და დაუმატა: — მეც მეტი აღარ შემიძლიან.

— კარგია-და, ძმობასა! ნუ მოჰყვები. ბატარაი დაიცადე და მეტი მხიარულება გავმართოთ, რომ მკვდრებიც-კი სამარიდგან ადგნენ ჩვენს საცქერლად.

— ნუღა გელაისი! დრო გადავიდა, ჯალაბობასაც ეძინების. შეხედა მაყვალას, რომელიც იქავ კერასთან იჯდა.

— გესმის, მაყვალაუ! დაუძახა ქმარმა.— სტუმარს გულ-დახურული რაისათვი ეჩვენე?

— არა, ღთის მადლმა!.. სტუმარი ღთისაა და, თუ კი ჩვენს სახლს იკადრებს ვინმე, უფალს მადლობას ვაძლევ.

— თუ ეგრეა, წამოიძახა ისევ გელამ.— წმინდის გივარგის მადლმა, მზის ამოსვლას ღხინით უნდა დავხვდეთ... ბატარაი მომიცადე. გაათავა მასპინძელმა და საჩქაროდ კარი გაიარა.

ადვილი იყო გელასათვის თქმა: «მზის ამოსვლას ღხინით

უნდა დავხვდეთო»! მაგრამ იმათთვის, ვისაც თავიანთი თავი ცოცხლადვე სამარეში ჩაუმარხავთ, ვისაც გული შავით შეუ-მოსავთ და სამუდამოდ დაკარგულს იმედზედ გლოვა დაუწყე-ბინებიათ, იმათთვის მზის სხივების ლხინით დახვედრა საკმა-ოდ გასაჭირი უნდა ყოფილიყო.

რაც ონისეს და მაყვალას ერთმანეთი არ ენახათ, კარგა დროს გაევლო და ამ ხანში ორთავეს ნაღველი გულში ეგრო-ვებინათ; აღძრულის გრძნობის მალვას შეეჩვეულიყვნენ და ამის-თვის ესლა, როდესაც მარტონი დარჩნენ, მეტად ძნელს მდგო-მარეობას გრძნობდნენ. ორთავეს ეძნელებოდათ ლაპარაკი, და ორთავეს კი იმდენი სათქმელი ჰქონდათ, ორნივ, როგორც ყოველთვის შეყვარებულები არიან ხოლმე, ერთმანეთს ემდურე-ბოდნენ და საყვედურის თქმა უნდოდათ, ყელში მომდგარი სი-ტყვა მხოლოდ პირს გაადებინებდა, მაგრამ მეტისმეტი აღელ-ვება მაშინვე ხმას გააწყვეტინებდა და ისევ ისე გაჩუმებული დარჩებოდნენ.

მაყვალა ჰფიქრობდა, რომ ონისეს გული უმწიკლად სხვას შესთამაშებსო, რადგანაც მას მოშორებოდა და უბედუ-რების დროსაც მშველელი ხელი არ მიეწოდა; ონისე კი ჰფიქრობდა, რომ თუ მაყვალას თანხმობაც არ ყოფილიყო, ბედაზედ ძალად ვერ გაათხოვებდნენ და, მაშასადამე, ვიზედაც გათხოვდა, ის სხვაზედ მეტად უნდა უყვარდესო.

ასე ისხდნენ ორნი, თავ-დაღუნულები, აღშფოთებულები, თითქოს ერთმანეთს ვაბუტვიანო და მხოლოდ გახშირებული ოხვრა-ღა ამტკიცებდა, რომ წარმოუთქმელს მოუსვენრობაში იყვნენ.

კარგა ხანმა გაიარა, როდესაც ონისე ერთბაშად შეკრთა და თითონაც არ იცოდა, როგორ წამოიძახა:

— ქალაუ! ბევრი ხანია არ მინახიხარ... შენი ანბოვი არ გამიგია, მიანბე, როგორა ხარ?

— რაი მიჭირს. მწარეს ღიმილით და ამოოხვრით მიუგო მაყვალამ და მხრები აიწია.—სახლი მაქვს და ქმარი მყავს.

— მაშ ბედნიერი ხარ? იკითხა იოსემ ერთბაშად. შეხედა, ხმა აუკანკალდა, მაგრამ, რა წამს ქალის სახე დაინახა, ისევ მოტყდა და წყნარად დაუმატა:—ინებოს უფალმა!.. ჩემთვის ყველა დანქრა, ყველა მოკვდა და სიცოცხლე გამწარდა!.. შენ მაინც იყავ ბედნიერი.

ქალმა შახედა და გულში თითქოს რაღაცა აუდუღდა; თბილად, მოუსვენრად აღმა წამოვიდა, სასულესთან ცახცახი დაუწყო. ათრთოლებულის თითებით მისწვდა საკინძეს და ანგარიშ-მიუცემლად ჩამოიწყვიტა. მას ეგონა, რომ ჰერანგმა ძალზედ წაუჭირა, სული შესტაცა და ამოსუნთქვის ნებას აღარ აძლევსო.

ბოლოს იოსემ აიღო არყით სავსე ყანწი, ამოიოხრა და დალია; დალია ისე რომ ქალმა აშკარად შეამჩნია,—გულის გაბრუება უნდოდა და ნაღვლიანად შეხედა.

— რას მიყურებ? ჰკითხა იოსემ და ამღვრეულის თვალებით ცქერა დაუწყო.

— მაგდენს რაისთვი სვამ? მოგკლავს. თითქმის ხვეწნით წარმოსთქვა მაყვალამ და ყულანის ბოლოს ძენძა დაუწყო.

— მომკლავს-რა, გულგრილად წამოიძახა ყმაწვილმა და შუბლზედ ხელის დადებით დაუმატა:—გებრალები?

— აუ! ადამიანი არა ვარ?

— ხარ, ღთის მადლმა, ხარ.

ორნივ ისევ გაჩუმდენ და თავი ჩაღუნეს, მაგრამ იოსემ ველარ გასძლო და უთხრა:

— ქალაუ! მითხარი რამე.

— აბა, რაი გითხრა? ზენავად მიუგო მაყვალამ.

— უწინ ბევრს მელაპარაკებოდი? ბევრს მპირდებოდი?

— ეგ უწინ იყო და ეხლა კი ცხოა.

თუ ასე იქნებოდა, რაისთვი ამებ-გამები?.. რაისთვი მომიხიბლე სიცოცხლე და გზას იქით გადამაგდე!.. არ გიყორდი და მასხარად მხდიდი განა?.. შენს ღმერთს რაღას ეუბნებოდი?..

— ონისეუ!... დაიწყო ქალმა, მაგრამ კაცმა გააწყვეტინა.

— შენ დამივიწყე, მაგრამ მე კი ისევ ისე მიყორხარ, ღთის მადლმა! ისევ ისე, როგორც ღმერთი!..

მაყვალას ესღა აკლდა, რომ ნაღველს წვეთიც მოჭმატებოდა და მდუღარე ნაკადულად გადმოსდენოდა; იმას ეგონა, რომ ონისეს დიდი ხანი იყო, რაც გულიდგან ამოეღო, გადაეგდო, დაევიწყებინა და ეხლა-კი ესმოდა, რომ მოტყუებული იყო, სიცოცხლის სიტკბოების იმედი კიდევ შესაძლებელი იყო.

— ბიჭაუ, იყურე. მოუთმენლად წამოიძახა ქალმა და მწარედ გააგრძელა: — იყურე, ღვთის მადლმა, თორემ თავს მომაკვლევინებ.

— რაისთვი?.. ვინც გიყორდა, შეირთე... ვინც გძულდა — მოიშორე... თავი რაზედღა უნდა მოიკლა?..

— იყურე, გეუბნები! ქალმა კიდევ უთხრა და ტირილი გაბრაზებად გადაექცა.

ონისე გაყრყოლდა, აღელდა და თავდავიწყებაში ჩავარდა. გრძნობამ გაიბრძოლა და აქამდის შეჩერებული მოთმინება გადმოხეთქა. საბრალომ იგრძნო, რომ თავს ვეღარ იმაგრებს და ძალის მოსაპოვებლად ისევ არაყს მიმართა; მაგრამ ვეღარ მოასწრო ყანწის ტუჩებთან მიტანა, როდესაც ქალი ზეზე წამოიჭრა და გამწარებით მივარდა.

— კარგია, გვეყოფის!

— რათ მიჯავრდები? შენს სადღეგრძელოსა ვსვამ, უთხრა ონისემ.

მაგრამ ძლივს მოასწრო ამ სიტყვების გათავება, როდესაც იგრძნო კისერზედ მოხვეული ქალის ნაზი ხელები და თვალთ დაუბნელდა.

— ნუ სვამ, ნუ! შენაი ჭირიმე... თავს ნუ იღრჩობ... არ მინდა, ბიჭაუ! გაიგონე მეთქი, არ მინდა! წუნარად და ტკბილად ჩასჩურჩულებდა მაყვალა; თრთოდა, ინთებოდა, ზედ ეკვლებოდა.

ონისეს გადაავიწყდა ქვეყანა, გადაავიწყდა სტუმრის მოვალეობა მასპინძლისადმი, გადაავიწყდა თავის-თავიც და მხოლოდ ერთმა გრძნობამ შეიპყრო; ერთმა წადილმა დაიმორჩილა. მას ესმოდა, რომ მაყვალას უყვარდა, უანგაროს ტრფიალებით ეალერსებოდა, ესმოდა მისი გულის ძგერა და წუთის თავ-დავიწყებას მისცემოდა.

ონისეს თვალები აემღვრა, სისხლი აუდუღდა, აუჩუხჩუხდა, მკლავები გაეშალა და წუთის შემდეგ ძვირფას ქმნილებას გულში ძალზედ იკრავდა, ნექტარის სიტკბოებას ჰგრძნობდა.

ორთავეს სიტყვა გაუწყდათ, სულთქმა გაუძნელდათ და, მის მაგიერად, ხანგამოშვებითა აღშფოთების ქშენალა ისმოდა...

არავინ იცის, ეს საღამო რითი გათავდებოდა: ქალს ცოლის მოვალეობის გრძნობა გაეღვიძებოდა და ტრფიალისგან აღგზნებულს ცეცხლის ჩაქრობას მოახერხებდა, თუ თავ-დავიწყებული, ბუნებრივს მოძრაობას მონად გაუხდებოდა; ყველას დაჰკარგავდა, დასთმობდა, ფეხ-ქვეშ გაჰქელავდა, ოღონდაც ონისე შერჩენოდა?!...

ამ თავ-დავიწყებაში, სულისა და გრძნობის გვეთებაში იყვნენ, როდესაც ერთბაშად გარედგან სიმღერის ხმა მოესმათ.

ორნივე შეკრთენ და შეშინებულნი სმენათ გადაიქცნენ. მათ აშკარად გაიგონეს:

«ვაჟ-კაცსა ცოლის სიავე
შუა გზას მოაგონდება;
წავალის საგონებელში,
გზას იქით გადავარდება»...

ონისე და მაყვალა გაიყარნენ; მაყვალა გაწითლებული სენაკში შევარდა და კაცი კი აღელვებული გრძელს სკამზედ მიეგდო; კარები ერთბაშად გაიღო და სახლში გელა და რამდენიმე მომღერალი შემოცვივდნენ.

გაიმართა ლხინი, ტაშივანდურა და მასპინძელი, დაპირებისამებრ, სტუმრებთან ერთად მზის სხივებს მხიარულის «გოგონათი» მიეგებნენ.

მზემ კარგად მოიარა, როდესაც გელას გამხიარულებული სტუმრები ვახშმიდგან აიშალნენ, ჩვეულებისამებრ, გამოსამშვიდობელი თასები გამოცალეს და გაიყარნენ, რადგანაც მასპინძელი ჩეჩნისკენ უნდა გამგზავრებულიყო, და სტუმრებს კი — თავთავიანთ საქმისთვის მიეხედნათ.

როდესაც გელა განთავისუფლდა და მარტოკა დარჩა, გამობრუნდა სახლისკენ და შესვლის უმალ მზადება დაიწყო.

მაყვალა ამ დღეს, როგორღაც გულ მოდგინედ შველოდა და ემსახურებოდა, თითქოს რაღაცა დანაშაულსა ჰგრძნობდა, შენანების ნიშნად ქმრის მიშველებით დანაშაულის გამოსყიდვა უნდოდა.

როდესაც სახლის პატრონმა სამგზავროდ ჩაიცვა, შე-

მოიყრა იარაღი და ცხენი შეკმაზა, — ცოლს შემდეგის სიტყვებით მიუბრუნდა:

— ქალაუ! ძალიან კი მშველი მომზადებასა და, არ ვიცი, ჩემი წასვლა გიხარიან, თუ გონს მოსვედი?

ქალმა პასუხი არ მისცა; მხოლოდ ოდნავ გაწითლდა და თავი დახარა. კაცი დააკვირდა კარგა ხანს და შემდეგ ისევ წარმოსთქვა:

— გული რასმე მებრძვის, — მეუბნება, არ წახვიდე, მაგრამ არ დავდგები... ვინძლო სახლს გაუფრთხილდე, მტერი არ გააცინა. ამ სიტყვებთან ერთად მათრახს დაავლო ხელი და განაგრძნო: — აბა, მშვიდობით... მაი, ერთხა მაკოცე და გახსოვდეს, რომ, თუ სათემოდ შემარცხვინე, შენის თოლების მეტი ვერა გიხსნის-რა.

ქალი არ გაინძრა და არც თავი აიღო; მხოლოდ ქვეითა ტუჩის ცახცახზედ დაეტყო, რომ ქმრის სიტყვებმა გულზედ უკბინა.

— არ გესმის, ქალაუ! ყინიანად და ენის არევით გაუმეორა გელამ და მათრახი გადუქნია: — არ გესმის, ადამის გვერდო?

ქალი დაიკლაკნა ტკივილისაგან, მაგრამ არც შეჰკივლა და არც ცრემლი გადმოაგდო; ამის სამაგიეროდ წარბები ძალზედ შაეჭმუხნა, თვალები გაუბრწყინდა და სახეს [illegible]ქარის გამომეტყველება დაეტყო.

— ნუ იჭმუხნავ წარბებსა, ნუ, მეთქი! მკაცრად დაუმატა გელამ და მათრახი კიდევ რამდენჯერმე გადაჰკრა:

— დედა-კაცი და ცხენი ერთია — მათრახი კი ორთავესთვის გაჩენილი!

— ქმარო, გეყოფა! წყნარად უპასუხა ქალმა და დაუმატა: — ღვთის მადლმა, მათრახით თავს ვერ შემაყვარებ.

— კმა, კმაო! ჩაიცინა კაცმა და იმავე კილოთი მიუგო: — ჯანს კი არ გაგაგდებინებ?

— ნუ-და, ნუ!... ნუ ეცდები, თორემ განანებ! გა, აგრემც შემეწევა ზედანიში!

— აი, თუ მანანებ! დაუჭყივლა არყისგან შეხურებულმა გელამ და ისევ მათრახი შეუმაღლა.

— მაშ თუ აგრეა, შენმა სულმა ზღოს! უპასუხა ქალმა და სწრაფად გარედ გავარდა.

გელა არ მოელოდა, რომ ცოლი გაქცევას გაბედავდა და ამისთვის, მცირე გაოცების შემდეგ, რამდენჯერმე მაღლად დაუყვირა:

— მაყვალაუ, მაყვალაუ! დაბრუნდი, ღვთის მადლმა, თორემ სისხლს გარწყევინებ! მაგრამ მის სიტყვებზედ არავინ შემობრუნდა, რადგანაც ქალი მეზობლებისას დამალულიყო.

გელა გავიდა გარედ, შევიდა ბოსელში, ყველგან ეძება ცოლი, მაგრამ ვერსად იპოვნა და კარგა გულის ბრუნების შემდეგ გადასწყვიტა:

— სად ჯანაბას წავა, აქავ არ უნდა დაბრუნდეს?

ძლივს გაათავა მოხევემ ეს სიტყვები, რომელსაც მასთან წაიყვანეს წამსვლელი მთიელები მოვიდნენ და გელა ისე გაუდგა, რომ მაყვალა აღარ უნახავს.

## VI

წარსულს ღამეს, როდესაც სიტკბოება ასე მოულოდნელად ქმრისა და სტუმრების მხიარულებამ შეუწყვეტა მაყვალას, მათმა ქეიფმა და დროს გატარებამ — საშუალება მისცა თავის

მდგომარეობას დაჰკვირვებოდა. პირველმა თავ-დავიწყების წუთებმა გაიარა და მათი ადგილი ცხოვრების სინამდვილემ დაიჭირა, თვალ-წინ წარმოუდგა წარსული და მძიმე ლოდათ გულს შემოაწვა. ქალს მოაგონდა მწარე და ძნელად ასატანი წუთები ძალად გათხოვებისა, მოაგონდა ცრემლით გატარებული ღამეები, როდესაც თავის მოკვლას და ეშმაკისთვის სულის მიცემას მხოლოდ სასწაულით გადარჩენილიყო, მოაგონდა მთელის წლობით მგლოვიარე გულის კვნესა და ზოლოს ის საიმედო შუქი, რომელიც ჩაბნელებულს ცხოვრებას თემის გადაწყვეტილებამ მიაყენა და სულმა თითქოს ნეტარებით თრთოლა დაუწყო; მაგრამ ეს მდგომარეობა დიდ ხანს არ გაგრძელდა, რადგანაც თვალ-წინ ისევ ძალა და უსამართლობა წარმოუდგა; მოაგონდა თემის გარდაწყვეტილების, ფეხით გადალახვა და ქმართან ძალად დასახლება; მწარე და სევდიანი დღეები, როდესაც ისე დასამცირებლად უნდა აღესრულებინა უხიაკი კაცის ბრძანება და მის მოთხოვნის წინაშე თავი უნდა მოეხარა; მოაგონდა და გული ჩაეთუთქა, რადგანაც ეს მოგონებანი მომავლისთვისაც არაფერსა ჰპირდებოდა. ონისესთან შეყრამ გააგებინა, რომ იმის საოცნებოდ გულის ამძგერებელს არამც თუ ჯერ არ დავიწყებოდა, არამედ პირველის შეყრის წუთების ძალით უცემდა გული, გრძნობა საკირესავით ანთებული ჰქონდა და სისხლი მთის ჩანჩქარსავით სცემდა და უდუღდა, მაგრამ რა გამოვიდოდა ამ სასიხარულო წუთებიდამ?.. მაყვალა რამდენჯერმე მოატყუა იმედმა, მოატყუა იქაც კი, სადაც მის მოსარჩლედ მთელის თემის ძალა გამოვიდა. და ამის შემდეგ რაღა იმედი უნდა ჰქონოდა მარტოდ მარტო ონისეს ბრძოლისა, თუნდა შეყვარებულს გულს სატრფო ლომადაც წარმოედგინა?

ეს ფიქრები მოუვიდა თავში და გულს სევდამ ჯასრავად მოუჭირა, მწარედ გვნესა დააწყებინა; მაყვალამ იგრძნო, რომ მათი შეყრა უბედურების მეტს არას მოასწავებდა და წუთის სიტკბოების გრძნობამ მხოლოდ ძველი ჭრილობანი, ძველი იარები აუშალა. ისა სწუხდა ონისესთან შეყრას, სწყევლიდა და ჰკრულავდა იმ წუთს, როდესაც ამ «ბიჭა მავს» გელასთან ნამგალაობის წადილი მოსვლოდა და ნახევარს სიცოცხლეს მისცემდა, რომ ეს საღამო იმის ცხოვრებიდამ ამორეცხილიყო.

ქალმა გადასწყვიტა, ყოველი საშუალება ეხმარნა, რომ ონისე, რაც შეიძლებოდა ჩქარა დაევიწყნა, დაშორებოდა და ისეც დაერწმუნებინა, რომ აღარ უყვარს. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ დიასახლისი სტუმრებს თავს არ დასტრიალებდა და შეყვარებულის თვალი ძვირფას საგანს ვეღარ ხედავდა. აღასრულებდა ამ გარდაწყვეტილებას, შესძლებდა აღძრულს გრძნობასთან ბრძოლას თუ არა, ამის თქმა ძნელია, მხოლოდ ის კი შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მაყვალას წადილი გულ-წრფელი იყო და იქნება, სხვა პირობათა შორის რომ ყოფილიყო, თავში არც კი მოსვლოდა ეს განზრახვა.

ქმართან გამოსალმების დროს გელას მოუფიქრელმა საქციელმა გუნება სრულიად შეუცვალა, ჯვარის ამოსაყრელად ონისესთან გაქცევა მოაფიქრებინა, მაგრამ, რაკი შინ დაბრუნდა, ქმარი იქ აღარ დახვდა, ცოტა ოდნავ დამშვიდდა და ისევ ოხვრით წარმოსთქვა:

— იმ თავით ამ თავამდე უბედურს გზას ვადგევარ, ჩემს საქმეში ბიჭა რისთვის-ღა გავაბა?.. არა, ღთის მადლმა!.. მეტად მიყვარს და იღბალს არ დაუკარგავ?...

ამ სიტყვებით მაყვალა პირველს გადაწყვეტილებასვე მი-

უბრუნდა და მტკიცედ შეუდგა მისთვის ძნელად აღსასრულებელს საქმეს—ონისეს გულიდგან ამოღებას.

ასე მიდიოდა დრო, ქვეყანა ჩვეულებრივ საქმეს დასდგომოდა და ერთმანეთის შურასით თიბა გაეხურებინათ; ამ საერთო ჰარმონიას მხოლოდ ონისე განშორებოდა, რადგანაც აღარც სამუშაოდ ეცალა და აღარც სახლის მისახედად.

ამ ბიჭის უმაწვილ-კაცობა მეტად დაჩაგრულიყო, მის გულს მეტად ბევრი სევდა და მწუხარება გამოევლო, მეტად ბევრი ევნესა ობლობასა და სიმარტოვეში, რომ ბედისაგან გაღიმებას სრულს თავ-დავიწყებამდის არ მიეყვანა. მართლადაც, წარსულის წუთების სიტკბოება მეტად ტკბილი და ძლიერი იყო, რომ არამც თუ ამ ნეტარების კარგა ხანს მომლოდინე, არამედ პირველად შემხვედრიც არ დაეტკბო, არ მოეხიბლა და შეტოკებული გული აღარ დაესვენებინა. გონებას ესვეოდა მეტის-მეტი ნათელი და ოცნება კი უხატავდა გაბრწყინვებულს სურათებს; მკაცრის ყინვის შემდეგ ერთბაშად და მოულოდნელად დამყვავებელი ტკბილი სითბო ეგრძნო და ერთბაშად იმდენი სანუგეშო იმედები გაღვიძებოდა, რომ აზროვნობას, გარდა მაყვალასთან შეთამაშებისა, მასთან ბედნიერების წარმოდგენისა, აღარაფრისთვის არ ეცალა.

მართალია, მოხევეს გახურებულს გონებაში ათასში ერთხელ ელვასავით აზრი გაურბენდა, რომ გელასთან სახუმრო ბრძოლა არ მოუნდებოდა, მაგრამ ეს ფიქრი იყო წუთისა, რომელიც ისევ ისე სწრაფად ჰქრებოდა, როგორც იბადებოდა; ამ ფიქრს სწრაფად შესცვლიდა მაყვალასთან შეერთების იმედი, და ეს საკმარისი იყო წელში გამართულს ყოველისფერი გადავიწყებოდა, თავი მაღლად აელო და, გამხნევებულს, არამც თუ მარტოკა გელა, არამედ მთელი ქვეყანა ბრძოლად გამოე-

წვია. ამ წუთებში ონისე სატრფოს მფლობელად ჰგრძნობდა თავის თავს და ეს საკმარისი იყო, რომ გულს გამარჯვების ბუკისთვის ეკრა და ღონე გაათებული ეგრძნო; მაყვალა მისი იყო და თავს ქვეყნის მფლობელად სთვლიდა! ვინ იქნებოდა ისეთი თავხედი, რომ შესცილებოდა?!...

შეყვარებულს ასეთი ფიქრები მოსდიოდა და სიცოცხლეს ათას გვარად უფერადებდა; ყოველს საგანს ბუნებაში ფასი და-სდებოდა და ათასის მხრით საალერსოდ, დამატკბობელად ეხა-ტებოდა; ალერსის დროს შეყვარებული გული სატრფოს სი-ახლოვეს ითხოვდა, მაგრამ დღეები გადიოდა ოცნებაში და სატრფოს კი ვერსად შეხვედრიყო, ვერსად შეალერსებოდა და გაღიმებული გული მოუთმენლად გასძახოდა: «ტოლი მინდა, ტოლთან შაერთება მწადის!»

იძახდა და არ ისვენებდა; მოთმინებას თან და თან ძალა ელეოდა და მისი ძახილი მალე შეუწყნებელს, ადუღებულს და მჩქეფვარეს წადილად გადაიქცა.

— სად გნახო, როდის, როგორ? მეათასედ იმეორებდა ონისე, მაგრამ შემთხვევა არ ეძლეოდა, რომ წადილი აღსრუ-ლებოდა, რადგანაც ქალი შინ შეკეტილიყო და წყალზედაც კი აღარ გამოდიოდა.

ონისეს ვერ წარმოედგინა, რომ ქალი ერიდებოდა, და მი-სი უნახაობა კი მასთან შეხვედრის წადილს თან და თან უფ-რო უძლიერებდა.

პირველ ხანში ჯერ კიდევ მოაზრება შთააგონებდა, რომ მაყვალასთან პირ და პირ სახლში მისვლას, შეიძლებოდა ქალის სახელისთვის ჩირქი მოეცხო, მაგრამ ამ ფიქრებსაც შეყრის წადილმა მალე დასძლია და საზრუნველად მხოლოდ მისი ნა-ხვა შაექნა, მასთან ალერსი, სადაც უნდა და როგორც უნდა

მომხდარიყო, მოთხოვნილებად გადაექცა.

—დღეს თუ ხვალ, ხომ ჩემი უნდა იქნას, იფიქრა იმან და ამას მოჰყვა შემდეგი გარდაწყვეტილება:—მაშ რაღა ბედენაა, სადაც უნდა შეხვდე?

სთქვა ესა, თოფს ხელი დაავლო და აღგზნებული აღტაცებულსავით გარეთ გამოვარდა.

მთვარე ის იყო მთის წვერიდგან ამოშუქებულიყო და ღრუბელს ნახევრად შეჰფარებოდა. ღამის მნათობის მოარშიყეთ, რაკი სატრფოს მიახლოება იგრძნოთ, მორცხვად შეწითლებულიყვნენ და მნათობისთვის გული გადაეშალათ, რომ ჩაბნელებული სახე სხივით გაეშუქებინათ; წყნარი ნიავი ნაზად მოქროდა და სიფრთხილით არხევდა მთის კეკლუცებს; სურნელებას სტაცებდა და მიდამოს ყნოსვის დამატკბობელის ჭაერით ავსებდა; მდინარე ამ ადგილს მდორეთ მოდიოდა და, გამედგრებულის ღრიალის მაგივრად, წყნარად და ტკბილად მოდუდუნებდა. ნაპირებზედ იდუმალად შემოჩქეფული ტალღები, უკან იდუმალადვე მიქანავდა და წვრილის კენჭებიდგან ჩაწურული წვეთები გრძნობით ალსავსეს ჩუხჩუხით კეკლუცით ესალმებოდა.

ბუნება ონისეს მდგომარეობას უფრო ხელს უმართავდა, თითქოს განგებ ამ ღამეს, ისე მოწყობილიყო, რომ გაბრძოლებულის გულისთვის წადილის გამღვიძებელი ნექტარი მეტად გაეძლიერებინა.

მოხევემ მალზედ ამოისუნთქა და წმინდას, სურნელოვანის ჭაერის მიკარებასთან ერთად, გულმაც მეტად გაიფართხალა, მოიხადა ქუდი და შუბლი გამგრილებელს ჭაერს მიუშვირა, მაგრამ ადუღებული სისხლი მეტად შეჰხურებოდა, რომ შვება მისცემოდა და ჩქარის სიარულით, თითქმის სირბილით ქალას სახლისკენ გასწია.

კარგა გვიან იყო და საწოლიდან შუქი აღარ გამოდიოდა; ქტყობოდა სოფელში ყველას დასძინებოდა და წარსულის დღის შრომის შემდეგ ყველა ტკბილს განსვენებას მისცემოდა.

ონისეს სულმა შესტაცა, გულმა ძგერა მოუხშირა და თითის წვერებზედ შემდგარი, გაძაბული წინ წყნარად მიიპარებოდა. თვალ-წინ მას ეხატებოდა, სოფლისგან განცალკევებული სახლი გელასი, სადაც ამდენი ხნის მოუსვენრობის მიზეზი იმყოფებოდა.

ალგზნებული თვალები, შეწითლებული ლოყებით, ხმაგაკმენდილი ონისე, ისეთის სიფრთხილით და მოწიწებით მიდიოდა ამ სახლისაკენ, თითქოს უწმინდესს ადგილს გულ-მხურვალე მლოცველი უახლოვდებაო; ყოველი ბიჯის გადადგმა უახლოვებდა საგანს და ყოველი მიახლოვება გი სანეტარო მოლოდინით აცახცახებდა.

მოხვევემ მიაღწია დერეფანს და შესდგა, რომ სული მოექცია, რადგანაც გული ისე მაგრად უცემდა, რომ მალზედ გაკლებულის ხელით ოდნავაც ვერ შეეყენებინა.

ბოლოს მიუახლოვდა სარკმელს და მოუთმენლად სარკმელში შეიხედა. ოთახში ბნელოდა და ვერა დაინახა-რა. მხოლოდ კერაში «ჩახვეულს» ცეცხლში, რომელიც მთლად ჩანაცრებული იყო და შუქი ფერფლს დაებნელებინა, ერთს ადგილს ნაპერწკალი ბრწყინავდა. ონისე დააკვდა სარკმელს და რამოდენსამე ხანს გაწამებული, სულ-გაკმენდილი და კრიჭაშეკრული უყურებდა, მაგრამ მაინც ვერა გაარჩია-რა. ბოლოს აიღო კენჭი და კერაში გადაგდო; ნაცარი გაიფანტა, ნაპერწკლები აცვივდა და ოდნავ გაშუქებულს კერის პირს გამოჩნდა ერთად ერთი ლოგინი, რომელშიაც ვიღაცა იწვა და ძილი იქამდის გახშირებოდა, რომ ვერც ქვის გადაგდების ხმაურობამ

გამოაღვიძა და ვერც ცეცხლიდამ აცვინულმა ნაპერწკლებმა.

ოსისე მოშორდა სარკმელს, წყნარად მივიდა კარებთან და ურდულს სიფრთხილით წვალება დაუწყო. ეტყობოდა, კარებს «კედა» კარგად ჰქონდა გამაგრებული, რადგანაც მთიულის მეცადინეობა ამაოდ რჩებოდა და ურდული არა მოძრავდებოდა.

ცოტა ხანმაც გაიარა ამ მეცადინეობაში და ერთბაშად ხმაურობა მოისმა თითქოს მძიმე, მაგარი რაღაცა ჭაჭით *) მოკირწყლულს კარების ზღუდეს დაეცაო. აშკარა იყო, ურდულის გასამაგრებელს შუკუნაში **) კარების დამკეტს კედლის ბოლოში ქვა ჩაეჭედა, რომ კარები ვეღარ გაღებულიყო და ხმაურობა ამ ქვის ჩავარდნის გამო იყო.

ამ ბრახუნზედ ოთახში მწოლი შეკრთა და შეშინებული წამოჯდა. კარგა ხანს ყურის გდების შემდეგ გაიღიმა და დამშვიდებით წამოიძახა:

— კატა ტიალამ ძილი გამიფრთხო! გადაიწერა პირჯვარი, ისევ მიწვა და ისევ ღრმა ძილში შევიდა.

ოსისემ ჩარჩოსა და კარის ფიცრის შუა ხელი შეყო და ურდულს ისევ წვალება დაუწყო. კედა შეინძრა, მიიწია უკან და კარები წყნარის ჭრიალით შაღო.

სახლში მწოლარემ, რაკი ძილი ერთხელ დაჰკრთობოდა, ხმაურობა მაშინვე გაიგო და მიხვდა, რომ ვიღაცა შემოვიდა.

— ვინა ხარ? დაიძახა შეშინებულის ხმით და საჩქაროდ საბუღე გადაიცვა.

---

*) ჭაჭი არის გალიპული ქვა, რომლისგანაც ასპიდის ფიცრებს ამზადებენ.

**) შუკუნას—კედელში დატანებულს ხვრელს ეძახიან. ამ ხვრელში შედის ურდული და იკეტება კარები.

— სუ! სუ! ნუ ჰკივი! მოუსმა იმას პასუხად.

ამ ხმაზედ ქალი გაყრყოლდა, რადგანაც ონისე იცნო, მაგრამ გონება მაინც არ დაეფანტა და მტკიცედ უთხრა:

— კაია-და ვიღაცა ხარ, თავს ნუ იგდებ, ღვთის მადლმა, თორემ უნიშნოდ არ გაგიშვებ?

— სუ-და, სუ მაყვალაისია... ნიავსავით წყნარის, თუმცა აღგზნებულის ხმით უპასუხა დაუპატიჟებელმა და მიხურულს კარს ურდული ისევ გაუმაგრა.

— ბებიაო! ღმერთი აღარა გყავს?! იმავე კილოთი გაიმეორა ონისემ და წყნარად კარისკენ გასწია.

იქამდის ძლიერი იყო ეს ხმა, იმოდენა ტანჯვა და მუდარა გამოითქმოდა ამ მოკლე სიტყვებში, იქამდის უბედურად, შესაწყალებლად გეჩვენებოდათ ეს კაცი, რომ ქალს გული მოულბო და ენა ჩავარდნილმა სიტყვა ვეღარ მოახერხა.

მოხევემ ქამარზედ ჩამოკიდებულის ჩანთიდამ ამოიღო გრძელი და წვრილი წმინდა სანთლის სანათებელი, რომელიც რგვლად იყო ერთმანეთზედ დახვეული; უპოვა თავი, გამოშალა რაოდენადმე, ცეცხლზედ აანთო და კედლიდგან გამოშვერილს ქვაზედ დადგა და გულ-ხელ დაკრეფილმა ცქერა დაუწყო ქალს.

ქალმა შეხედა, სცადა სიტყვის წარმოთქმა, მაგრამ სწრაფად ისევ თავი დახარა და მთრთოლვარეს თითებით ნაწნავის წვერებს ძენძნა დაუწყო. ონისე მთლად გაფითრებულიყო და ისეთი სახე დასდებოდა, თითქოს მსაჯულისგან გადაწყვეტილებას მოელისო.

— ბიჭავ, რად მოხველ, რაი მოგსვლიას? ოდნავ გასაგონარის ჩურჩულით ჰკითხა ქალმა.

— რად მოვედ—ეგ თავადაც კარგად იცი და რაი მომსვლია

— მაგას კი გეტყვი. ონისემ შეისვენა, მძიმედ და ხანგრძლივად ამოისუნთქა.— ის მომსვლია, რომ მაწვალებ და გზას კი აღარ მაძლევ!...

— რაი გზა მოგცე, რაი გინდა ჩემგან? ხმის კანკალით კითხვა გაუმეორა მაყვალამ.

— დავდნი, დავილიე, ქალაუ! და გადაწყვეტილს კი არას მეუბნები... მითხარი, რას მიპირებ? მითხარ, ღვთის მადლსა!

— ბიჭაუ! თავ-დავიწყებით წამოიძახა ქალმა და ხელები ონისესკენ გაიშვირა, მაგრამ მაშინვე თავი შეიმაგრა და ხმა ჩაუწყდა.

— სთქვი-და, სთქვი! მიაშურა მოხევემ და რამდენიმე ნაბიჯი წინ წასდგა.

ქალმა ღონე მოიკრიბა, სრულს თვით მფლობელობაში შევიდა და ხელების მიშველებით შეაყენა.

— მოიცა-და!... რას სჩადი? უთხრა იმან და დაუმატა:— რაისთვი მოხველი ამ შუა-ღამისას... რაისთვი გამიტეხე სახელი?...

— იმადა რომ მიყვარხარ! ისეთის ხმით შესძახა ბიჭმა, რომ მის გამგონე ქვაც კი დადნებოდა.

მაყვალა შეკრთა და წნორის ფურცელსავით თრთოლა დაიწყო, მაგრამ მაინც უპასუხა:

— რაი ვქნა, ონისესა!... შენ გიყვარვარ, მაგრამ...

— მაგრამ რაიღაა? გაფითრდა ონისე და ნაკადულსავით ცივმა ჭირის ოფლმა ხვითქად გადმოხეთქა.

— მაგრამ ისა, რომ მე არ მიყვარხარ.

— რაი სთქვი?! წყნარად და გაგრძელებით იკითხა კაცმა და ხმა ჩაუწყდა.

ქალის სიტყვები მთიულს თავში ზარსავით დაეცა და ფეხებამდის ზრიალით გაურბინა.

— რაი სთქვი? გაიმეორა იმან.—მაშ ეგრე?... არ გიყვარვარ?... მაშ რაისთვიღა მკოცნიდი, რაისთვიღა მეხვეოდი.. რაისთვიღა მხიბლავდი და იმედს მაძლევდი?...

— მებრალებოდი და იმად.

— გებრალებოდი? მწარედ ჩაიცინა ონისემ. მაშინ გებრალებოდი, მაშინ, როდესაც გული ჩადნა, ჩაიწვა, გაბრუვდა... მაშინ გებრალებოდი და სიბრალულით ცეცხლი ხელახლად მომიდე?.. ეგ იყო სიბრალული!.. აჰუ! მაყვალაუ!.. მავნე, მაცდური ყოფილხარ და არ დაინდობ...

— რაისთვი სჯავრობ?.. ღმერთმა და ხალხმა ცხოს მაგუთნა და უნდა დავმორჩილდე.

— სტყუი!.. ღმერთმა და ხალხმა კი არა, ძალამ გაგუთნა და შენც დამორჩილდი... მოკვდე ის არ გირჩევნიან? ქვის გული გქონია, ღვთის მადლმა!

ქალს გული ამოუჯდა და იგრძნო, რომ სუსტდებოდა. ჰგრძნობდა, რომ ეს კაცი მეტად უყვარდა და მასთან შაერთება ათასს უსიამოვნობას მოახვევდა თავსა და სწორედ ამისათვის ცდილობდა თავის გადაწყვეტილებისთვის არ ეღალატნა.

— კარგი ონისეისა!.. რაიც გინდა დამარქვი, ოღონდაც წადი, მომშორდი!..

— წავალ მაყვალაუ, წა! რაისი გეშინიან? შენი ბედია, რომ დიაცი ხარ და დიაცზედ ძალას ვერ მოვიტან!.. მაგრამ იცოდე, იცოდე ღვთის მადლმა, რომ ჩემის გაგდებით გელასა და ჩემში, თუ ორთავეს არა, ერთ-ერთს მაინცა ჰკლავ!... იყოს... რაიც მოგვივა, მოგვივიდეს, ჯანაბას ჩვენი თავი!... შენ იყავ მშვიდობით...

ამ სიტყვებით ონისე გამობრუნდა და წყნარის ნაბიჯით კარისკენ გასწია.

მაყვალა კი ერთს ადგილს მეხ-დაცემულსავით იდგა და განძრევაც ვეღარ მოეხერხებინა. ამ ქალს უნდოდა მთიელთან გაშორებით მისთვის მოსალოდნელი განსაცდელი აეცილებინა, ამ აზრით მსხვერპლად მოჰქონდა თავისი თავი, გრძნობა, მოსვენება და ათას რიგად წამებული გული და ერთბაშად დაინახა, რომ ამით განსაცდელს არამც თუ ვერ აშორებს საყვარელს კაცსა, არამედ გაბრაზებას მეტის ძალით უცხოველებს და ფათერაკს თავსა ჰხვევს.

— ონისევ! გაქანდა ქალი, სწორედ იმ დროსა, როდესაც ონისემ ურდულს ხელი გაავლო.

ამ ერთს სიტყვაში იმდენი მდუღარე, აღშფოთებული გრძნობა გამოისმა, რომ მთიელი შეკრთა, გაჟრჟოლდა და თავისავე უნებურად კისერი მოეღრიჯა.

— რაი-და გინდა? ცოტა სიჩუმის შემდეგ ჰკითხა იმან.— ერთხელ მითხარ: «არ მიყვარხარო» და ცხელი ტყვია გულს გამიტარე... ერთი ჭრილობა არ გინდა მაკმარო?...

ამ სიტყვებით გამობრუნდა, გადიწია მკერდი და გამწარებულმა წარმოსთქვა:

— აჰა, ნუღარ შესდგები!... მომკალ და გაათავე!

მაყვალა შესდგა, ჩაღუნა თავი და წყნარად წარმოსთქვა;

— არა, არა... შენთვის გონჯი არ მინდა... არა, ღვთის მადლმა!.. მაგრამ, წადი, წადი, ჩაიქნია ხელი.

ონისე გამობრუნდა.

— ქალავ! რაისთვი-და მაწვალებ?... კატა რომ თაგვს დაიჭერს, მოჰკლავს, ათამაშებს, გულს მოიჯერს და გადააგდებს და შენა? შენ კი აღარცა მკლავ და აღარც თავს მანებებ!..

ღმერთი მაინც აღარა გვყავს?... კაცი უნდა ყოფილიყავ, რომ გადამეხადა!

— ბიჭავ! ღვთის მადლმა, საცანჯავადაც მებრალები... ონისეს სახე გაუბრწყინდა, იმედმა გული გაუშუქა და ფართხალი დააწყებინა.

— მაშ გებრალები? წამოიძახა იმან და სმენად გადაიქცა.

— მებრალები, მებრალები ისე, რომ თავის სიკვდილით შენი დახსნა რომ შემეძლოს—მოვიკლავდი...

— მაშ გულს რაღად-ღა მიკლავ, ცეცხლს რაღად მიდებ?!

— გასათხოვარი, რომ ვყოფილიყავ, ცამც დამტეხოდა, თუ შენს მეტი ქმარი მესურვა, თუ გულში ცხრა კაცის სახე ჩამესვენა... მაგრამ ეხლა... რაი გიყო?... ქმრიანი ვარ და თემს ყბად ვერ ავედებინები!.. წადი, ონისეისი... იცხოვრე, იცხოვრე მშვიდობიანად... ჯერ კიდევ უმაწვილი ხარ... რაი გიჭირს ბედნიერო... ვინ გეტყვის უარსა?... მთა სავსეა ყვავილებით და მოწყვიტე, რაც მოგეწონოს... იყავ მშვიდობიანად, ბედნიერად და შენის ბედნიერებით მეც მომასვენე.

— მაშ, მაგად მომაბრუნე? ჩაასხველა მთიელმა და დაცინვით დაუმატა:—ქალავ! იმისი თუ არ გეშინიან, რომ ქმარს მოგიკლავ?

— იმისი მეშინიან, რომ შენ არ მოგკლან! გაიშვირა ქალმა იმისკენ ხელები.

— მაშ წავიდეთ, გავიქცეთ! აღგზნებულის ხმით წამოიძახა ონისემ.

— ნუ, ონისეისი, მაგას ნუ გამაგონებ!... მანდილს ვერ მოვიხდი.

— ბედო, დაშხამ-ულო ბედო! ხელის კვრით მოიშორა ქალი.—ნეტავ შემეძლოს, თავი გავისრისო!

ამ სიტყვებით ონისემ ხელი ხანჯალს გაიკრა და სახეში აირია; ყელში ხრიალი დაიწყო და თვალებიდამ ნაწინწკლები გადმოსცვივდა, პირის სახეზე ალმური აედინა. მაგრამ ეს იყო წუთის თავ-დავიწყება, რადგანაც წუთის შემდეგ ის მისწვდა თავის ყელს, ხელები ძალზედ წაიჭირა და რაოდენსამე ხანს ასე გაწამდა.

— არა. შენ არა, შენ არა... ბოლოს მწარედ წარმოსთქვა იმან — შენი რა ბრალია! ბედმა ცხოს მისცა შენი თავი და მეც იმას მოვეკვლევინები. მშვიდობით მაყვალო! შენ მაინც იყავ ბედნიერი!

ამ სიტყვებით მწარედ მოიკლო მკერდს ხელი და მთვრალსავით ბარბაცით გარედ გამოვარდა.

მაყვალა ონისეს სიტყვებმა შეაშინა, ძალა მოუსპო და მუხლებზედ დასცა. კარგა ხანი მოუნდა, სანამ გონს მოვიდოდა. რომლისაც ზეზე წამოდგა, მოისვა თვალებზედ ხელი, წყნარად მიიხედ-მოიხედა, — ოთახი დაცარიელებული იყო და ოდნავ მბჟუტავს წმინდა სანთელს ღამის წყვდიადი სუდარასსავით გარს ეხვეოდა.

ა. მოჩხუბარიძე.

(შემდეგი იქნება)

## † სახალხო შელოცვანი.

(შეკრებილი ქიზიყში თელაწყლელისაგან).

### I. მჭვალის ლოცვა,

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ამინ.

წყლის პირს მოსულა მწვანე ხე, ასხია მწვანე ფოთოლი, ასულა მწვანე ფრინველი, გაუკეთებია მწვანე ბუდე, დაუდვია მწვანე კვერცხი, გამოუსხამ მწვანე ჭუჭულები. უსულოა, უგულოა, უცხვიროა, უპიროა, უთვალოა, უყუროა. უხელოთ ადის, უფეხოთ ჩამოდის. მარიამ დედას (ღვთის მშობელს) დასჯდომია მჭვალი, იჯდა და ჰკიოდა. ქრისტე ღმერთმა ჩამოიარა, ჰკითხეს, რა არის ამის წამალი. ქრისტე ღმერთმა ბრძანა: ჩაიარეთ გზანი, განაფეს ჩაართვით მხარი, ენდროთ შეღებული მაფით მხარი აუკარით, წმინდის გიორგის ლახვრით. ღმერთო, გააქრე მჭვალი (აქ უნდა ითქვას იმის სახელი, ვისაც აქვს მჭვალი).

ცულის პირით მონაჭერი
ცულსა ტარად ერგებოდა,
ჩემი პირით შელოცვილი
ამას წამლად ერგებოდა.

## II თვალში მოხვედრილის ლოცვა

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა. ამინ.

ურია ბანზე იდგა. ქრისტე ღმერთი ბურთაობდა. ბურთი ასხტა, თვალში ეცა, თვალი სისხლათ გარდაექცა. ისე დადნეს ის (სახელი უნდა ითქვას) თვალში სიწითლე, როგორც ჩემ ხელში მარილი.

ცულის პირით მონაჭერი
ცულსა ტარად ერგებოდა,
ჩემი პირით შელოცვილი
ამას წამლად ერგებოდა.

## III ჭიის ლოცვა.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა. ამინ.

ჭიამა შვილი მომპარა, ჭიამა-ჭიაღუმა, უცხვირომა, უპირომა, უთვალომა, უყურომა, უხელომა, უფეხომა, (შავ-ტარა დანა უნდა აიღოს ხელში და უთხრას) გამოდი, გამო-ჰყვე ჩემსა ლოცვასა, თორემ დაგცემ შავ-ტარა დანასა, მოგჭრი თავსა, ჩაგფლავ ნეხვში. შავგვი ცოცხით, შავხვეტ ნიჩბით, ჩავყრი გოდორს, გავიტან მინდორს, მივცემ ქვენა ქარს, გავატანინებ ზენა ქარს. ღმერთო, შენ დასწერე შენი წყალობის ჯვარი.

ცულის პირით მონაჭერი
ცულსა ტარად ერგებოდა,
ჩემი პირით შელოცვილი
ამას წამლად ერგებოდა.

## IV მგლის პირის ლოცვა.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა. ამინ.

ძეკენია, ბეკენია, ბეკენს ხატი ასვენია. ღმერთო, ღმერთო! ჩამოუყარე ცხრა კლიტენი რვალისანი, შაკარ, შებეჭდე კბილნი მხეცთა, მკლავნი მეკობართა, ენა მიეც ნაბდისა, კბილი მიეც სანთლისა, რომ ჩვენ ულაყ ვირსა ვერა დააკლოს-რა.

ცულის პირით მონაჭერი
ცულსა ტარად ერგებოდა,
ჩემი პირით შელოცვილი
ამას წამლად ერგებოდა.

## V უქმურის ლოცვა (უჟმური არის ატეხილი თავის ტკივილი)

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა. ამინ.

შაკეკი შამოჩვეულა სათივისა ბოლოსა, ისე სჭამდა რკინასა, როგორც ხარი თივასა. (3 ჯერ უნდა ითქვას).

ცულის პირით მონაჭერი
ცულსა ტარად ერგებოდა,
ჩემი პირით შელოცვილი
ამას წამლად ერგებოდა.

## VI ტყირპის ლოცვა.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა. ამინ.

პირველა მამის ყიველი, ბრძანება არის ღვთისა, ტყარჭი ლხვებოდეს, დნებოდეს, ჩავარდებოდეს მირსა (3 ჯერ უნდა ითქვას).

ცულის პირით მონაჭრი
ცულსა ტარად ერგებოდა,
ჩემი პირით შელოცვილი
ამას წამლად ერგებოდა.

## VII ლოცვა, ქალს რომ მუცელი უფუჭდებოდეს.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა. ამინ.

ანი იძრა, ბანი იძრა, განი იძრა, დონი იძრა და სხვ. (უნდა ან ნაირად ჩამოითვალოს მთელი ანბანი); ქვაბი იძრა, ტაფა იძრა, კარცლი იძრა, სკივრი იძრა და სხვანი. სასლი იძრა და ისევ დადგა. ამ ქალის მუცელში ყმაწვილი იძრა და ისევ დადგა.

ცულის პირით მონაჭრი
ცულსა ტარად ერგებოდა,
ჩემი პირით შელოცვილი,
ამას წამლად ერგებოდა.

## VIII შეშინებულის ლოცვა.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა. ამინ.

თეთრი ქორი ქანდარასა, ქათამი საბუდარასა, გულო ნუ შეგეშინდება, გულო, ჩავარდი ბუდესა, გულო, დედა აქ არის,

იესო ქრისტე. გადგა თავს. ვინ შეგაშინა, რისგან შეშინდი: კაცმა შაგაშინა, დედა-კაცმა შაგაშინა, ყმაწვილმა შაგაშინა. დღე შეშინდი, თუ ღამე შეშინდი? ძილში შეშინდი, მღვიძარე შეშინდი? თოფის ხმამ შეგაშინა, ოთხ-ფეხმა შეგაშინა, მფრინველმა შეგაშინა? რათ შეშინდი, რისგან შეშინდი? გულო, ნუ გეშინიან, გულო, დედა აქ არის, იესო ქრისტე გადგა თავს. გულო, ჩავარდი ბუდესა, გულო დედა აქ არის, იესო ქრისტე გადგა თავს (3 ჯერ უნდა ითქვას).

ცულის პირით მონაჭერი
ცულსა ტარად ერგებოდა,
ჩემი პირით შელოცვილი,
ამას წამლად ერგებოდა.

(აქ აიღებს სარტყელს, სამ წყრთას გაზომავს და თუ რომ ლოცვამ არგო, მეორე დღეს ნამდვილად ზომას დააკლდება).

# სახალხო ლექსები

(ხევში შეკრებილი ა. მ—საგან.)

ერთი ერთისგან მოკლული
აბა რა სატირალია?
მაგრამ ერთს რომ ორი დაჰკრავს
ის არის შესაზრალია.

—

«ყორანო! ჭალის ბოლოსა
«რად არ ჩაავლე თვალია?
«ამირანისა სახლ-კარის
«თუ არსად სჩანდა კვალია?
«გმირისა დამრჩო ვერ ნახე,
«ან იმის ლომა ხარია?»
— ვნახე და ველარ დავწონე,
არწივს ქივარა მხარია.

—

ოსო, გუდუნით მაძღარო,
და იმერელო—ღომითა;

ბეჩაო, არაგვის კაცო,
გაუმაძღარო ომით!

—

ავდგეთ, წავიდეთ ყორნებო!
დავუყვეთ თუშების კვალსაო;
არ მოგვაკლებენ საჭმელსა,
საკორტნად—ირმის მკალსაო.

გვნახვენ შავ-ბიჭად ჩაცმულებს,
პირს გაუღიმებს ქალსაო;
გული დონეზედ დადგება
მტერს დაუყენებთ თვალსაო.

—

მთაო, გადმიშვი მაღალო,
რას ნისლი მოგიხვევია?
შენს იქით ჩემი საგულო
ცხოს ვისმე ჩაუხვევია.

—

კარგი ყმა ხმალსა ჩასძახის:
— ხმალო! გამიჭრი თუ არა?...
შინ მოვა.—ლამაზ გოგოსა:
— გოგოვ! ჩამიხვევ, თუ არა?

—

ბევრაი მოიკმაზებს,
მოილამაზებს პირსაო,
მარჯვეში კარგი ბიჭია,
მარხეში არსად ღირსაო.

—

ბედნიერი შენი ქმარი
მტერსა ხვდება, როგორც ფარი;
უბედური ჩემი ქმარი
ნაცარს ჰქექავს, როგორც ქარი!

---

ბეთლემის კარზედ ჰკიდია,
კოჭა ჯურხაის ფარიო!
მოუკლის იმის წადილი,
ხანდისხან შესძრავს ქარიო.

---

ჩდილოეთით სიძე იყო,
სულ მუდამ ქარად ჰქროდაო;
არც არა თავად მოჰქონდა,
არცა რა მახსალით ჰქონდაო.

---

ბიჭი ვარ გოგოლაური,
რას მიცქერ ტარავალშია?
მომძალეს ძალას მივაყრი,
მას ჩაუდგები კვალშია;
ფეხს დავკრავ, გადავფრინდები
ბახტრიონ გალავანშია,
მივიტან ჩვენსა ალამსა,
დაურჭობ, ციხის კარშია?

---

„დათვო, სთქვი, დათვო შენს სულზედ
ვინ უფრო გეომებოდა?
— თეთრაი პირის ქალაი
ძალაზედ მერიდებოდა,

თუ მნახის გავარდებოდის,
მთას იქით მემალებოდა.
შავაი, შავგვრემანაი,
გულ და გულ მივარდებოდა.
ასეთსა კლდეზედ გადმაგდის,
ორბი ვერ ჩამწვდებოდა,
მგლის კუნჭულში მიმჭუჭკის,
თაგვი ვერ მობრუნდებოდა.
რასაც კი ბღანჯი მოუსვის,
ექიმი დასჭირდებოდა.

## ცნობანი ძველის მწერლებისა კავკასიაზედ.

კავკასიის დასავლეთი მხარე ძველადგანვე ცნობილია. პირველი ცნობანი აღნიშნულ მხარეზედ ძველ ხალხთ შეიძინეს არგონავტთა მითიურ მოგზაურობის დროიდამ და ეს მოგზაურობა აღუწერია ჰომიროსსა, რომელიც დასავლეთს უწოდებს აიას. ეს ქვეყანა მას ჰგონია კუნძულად, რომელზედაც სცხოვრობს ღრუბელთ შვილი ეოსი და, საცა აღმომავალებს მზე ჰელიოსი. ამ ქვეყნის პატრონს ჰქვიან აეტა *). შემდეგ პინდარისა, რომელმაც დაწვრილებით აღწერა მოგზაურობა არგონავტთა, კოლხიდა, მდებარე ევქსინის ზღვის პირას, ჩასთვალეს ჰომიროსის ქვეყანად—აიად. უმთავრესი მდინარე ამ ქვეყნისა—ფაზისი პირველად მოხსენებულია გეზიოდისაგან.

ძველთა ხალხთ უფრო მეტი ცნობანი შეიძინეს კოლხიდაზე მას შემდეგ, რაც მცირე-აზიის ბერძენთა, უმეტესად მილეტლებმა, დაიწყეს ნავოსნობა შავს ზღვაზედაც მე-VIII საუკუნიდამ მე-VI საუკუნემდე ქრ. წინად. აქ ევქსინის კიდეებზე გააშენეს მრავალნი ახალშენნი და უკედ გაიცნეს აღმოსავლეთი კიდეები ამ ზღვისა. მის შემდეგ ზღვა „აქსინისა“ (არა სტუმართ-მოყვარე) იწოდა „ევქსი-

---

*) უეტესი ანუ ოტია (თეიმურაზ ბატონიშვილი).

ნად" (სტუმართ-მოყვარედ). სამწუხაროდ, ამ დროების ცნობანიც არა ვრცელნი, ნაწყვეტ-ნაწყვეტნი არიან და მხოლოდ შემდეგი დროების მწერალნი გვაკტვა. და პოეტი ესხილი პირველად ხმარობენ სიტყვას „კავკასია". ესხილი იხსენებს აგრეთვე: მეოტის ჭაობსა (აზოვის ზღვა), ქვეყანას კოლხიდას; მდინარეთ: ფაზსა (რიონი), გიბრისტეს (?) და თერმოდონტს, აგრეთვე ქალაქ თემისკირს (?). თითქმის ამავე დროს სკილაქს კარიანდელი თავის **Periplus**-ში ჩამოსთვლის შავი ზღვის აღმოსავლეთ კიდეზე მობინადრე ხალხების სახელებს და ამასთანავე ცოტა მეტ ცნობებს გვაძლევს კოლხიდელ ფაზელებზედ, მინამ სხვა ხალხებზედ.

ჰეროდოტი, მამათ-მთავარი ისტორია-გეოგრაფიისა მე V საუკ. ქრ. წინად, გვაძლევს ვრცელ ცნობებს ჩვენს ქვეყანაზე. ეს არის პირველი მწერალი, რომელიც პირად თვითონ იყო ამ ქვეყანაში და მოიმგზავრა მისი ერთი ნაწილი, სახელდობრ ფაზისიდამ კიმმერიის ბოსფორამდე (ქერჩის სრუტე) და საკმაო ცნობებს გვაძლევს კავკასიის ხალხებზე, მათ წეს-ჩვეულობაზე და ურთი-ერთ-შორის ვაჭრულ დამოკიდებულებაზე. რაოდენიმე ცნობანი კავკასიაზედ გადმოგვცა ჩვენ აგრეთვე ბერძნის ექიმმა ჰიპოკრატმა. კსენოფონტი (431 — 354 ქრ. წ.) შეეხება მხოლოდ კავკასიის მიჯნებსა, იხსენებს კოლხებსა და სხვა ხალხებსა. არისტოტელი მცირე ცნობებს გვაძლევს კავკასიაზედ. ყველაზე შესანიშნავი წყარო კავკასიაზედ არის **Argonautica** აპოლონ როდოსელისა (250—200 ქრ. წინად). ამ მწერლის ცნობანი საყურადღებონი არიან მით, რომ მას ყოველ-გვარი ცნობანი ამოუკრებია ძველი მწერ-

ლების თხზულებათაგან. აპოლონი აღწერს არგონავტთა მოსვლას კოლხიდაში, გვიამბობს ბინადარის ხილხის ყოფა-ქცევაზე, ზნე-ჩვეულებაზე და თავის მოთხრობათა უმატებს ამ ხალხის გადმოცემათაცა.

ცნობანი კავკასიაზედ შეივსნენ და გამრავლდენ I საუკ. ქრ. წინად, როდესაც რომაელნი ებრძოდენ *) მიტრიდატ დიდსა, პონტიის მეფესა. რომაელთ ჯარმა მოიარა ორთავე ზღვათ შორის მდებარე ყელი. რომაელთაგან შეძენილ ცნობათა წყალობით I საუკ. ქრ. შემდეგ სტრაბონმა გადმოგვცა გეოგრაფია მაშინდელი დროის კავკასიისა. თვითონ სტრაბონს არ მოუვლია მთელი ჩვენი ქვეყანა და ამიტომ შეპპარვია შეცდომანიც. მაგ. იგი ამბობს, რომ, ვითომც, კასპიის ზღვა იყოს ნაწილი ჩრდილოეთის ყინულიან ოკეანესი, არეზი მტკვრის ტოტი არ არისო და პირდაპირ ზღვას ერთვისო და სხ.

შემდეგში, როდესაც რომაელთ ომები ალბანელებთან, იბერებთან და კავკასიის სხვა ხალხებთან გახშირდა, მაშინ კავკასიაზედ ცნობანიც გამრავლდა; ესა სჩანს პლინისა და პტოლომეს აღწერილობიდამ. შემდეგ და შემდეგ ბიზანტიის მწერალნი ახალ ცნობებს ძალიან მცირედ გვიამბობდენ და ამის გამო შემდეგი საუკუნენი დიდი ხნის განმავლობაში დაშთენ განუხილველად.

## I ფიზიკური გეოგრაფია კავკასიისა. მთანი და მდინარენი.

ძველ დროში ევქსინისა და კასპიის ზღვათ შუა მდე-

*) ამ ომებზე ცნობებს მოვიყვანთ «ივერიის» შემდეგს წიგნში.

ბარე ყელი ისრე განიერი არ ეგონათ, როგორც ნამდვილად იყო. ზოგნი ამბობდენ, რომ მისი სიგანე არის მხოლოდ 1500 სტადი (სტადი 184,97 მეტრია) და ამასთანავე ამტკიცებდენ, რომ ორთავე ზღვა ერთდება მდინარე ფაზით. ამის გამო სელევკოს ნიკატორეს (357—281 ქრ. წ.) მოუვიდა აზრათ გაეკეთებინა ვრცელი არხი ამ ორთავ ზღვათა შუა მდებარე ყელზე, მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა, რომ თვისი წადილი განეხორციელებინა. იმაზედ, რომ კასპიის ზღვის სიმაღლე უფრო დაბალია, ვიდრე შავისა, ბერძენთ არა იცოდენ რა. შემდეგში პტოლომეოსმა ყელის სიგანეს მიუზომა 60 მილი, თუმცა ნამდვილად იგი (სიგანე) უდრის თითქმის 75 გეოგრაფიულს მილს.

კავკასიას მიუსაკუთრებდენ აზიასა, რადგან მაშინ აზიისა და ევროპის მიჯნებად სთვლიდენ: მდ. **ტანაისსა** (დონს), მეოტის **ჭაობსა**, ევქსინის **პონტსა**, **პროპონტიდას** და **ჰელლესპონტსა**. ეს მიჯნები აღიარეს სტრაბონისა და პტოლომეოსის შემდეგ. ამათ დრომდის კი აზიისა და ევროპის მიჯნებათ მიაჩნდათ ფაზი და არეზი. საკვირველი ის არის, რომ ისრეთს ბუნებრივს მიჯნაზე, როგორც არის, მაგ., კავკასიონის მთა, ძველთა მწერალთ არავითარი ყურადღება არ მიაქციეს. ეს აიხსნება იმით, რომ მაშინდელ დროს კავკასიონის სიმაღლეზე, მიმართულებაზე და სიგანეზე ჰქონდათ ბინდ-ბუნდი ცნობანი. კავსიონად ძველნი ხალხნი სცნობდენ იმ მთა-გრეხილსა, რომელიც **მდებარებს** კასპიის და შავი ზღვის შუა და რომელსაც ჰქონდა სარმატიდამ იბერიაში შემოსასვლელი გზა, ცნობილი კავკასიის კარებად (portae Caucosicae). ამის გარდა კასპიის ზღვის ახლოს იყო სხვა კარები — portae

Albaniae. კავკასიონი მიაჩნდათ უმაღლეს მთად. არისტოტელი ამბობს: „კავკასიონის მწვერვალნი სჩანან მეოტის ზღვიდამ და, როცა სიბნელის სუდარა გადაეფარება არემარეს, მაშინ ჯერ კიდევ ანათებენ მისნი მწვერვალნი. აგრეთვე დილითაც, ყველაზე პირველად იმას მოხვდებიან მზის სხივნი და გაანათებენ“. არიანი კავკასიონს სიმაღლე-სიდიდით ადარებს ალპის მთებსა, პოეტნი კი უწოდებენ მას (კავკასიონს) «თოვლიანსა». იგი მიუკარებელად და მიუვალად მიაჩნდათ, მეტადრე სამხრეთის მხრიდამ. მაგრამ მიუხედავად ამისა პომპეიმა მიტრიდატის დევნაში გადიარა ეს მთა და უფრო დაახლოებით შეიტყო მისი ვითარება.

აქვე მოვიხსენიოთ კავკასიონის შტონი, რომელთაც იცნობდენ ძველნი ხალხნი. ერთი შტო, მიმავალი ჩ. ა. კასპიის ზღვისა იწოდებოდა კერაუნად; დასავლეთის მხრისა კი—სარმატიისა და კოლხიდის შუა კორაქსად, რომლიდამაც გამომდინარებდენ კიროსი და კამბიზი. სამხრეთის შტო, გამყოფი მტკვრისა და ფაზისის ბასეინთა და შემაერთებელი მესხეთის მთებისა ანტიტავრთან, იწოდებოდა პარიადრესად. ეს მთანი მდებარებენ პონტის აღმოსავლეთით, ატეხილნი არიან ტყით და მათზე მოსახლეობენ ავაზაკნი ტომნი. სიმაგრისა და შეუვალობის გამო მიტრიდატი თვისთა საუნჯეთა ჰმალავდა ამ მთებში და თვითონაც აქ ემალებოდა პომპეისა. წინად ბერძენნიც, ქსენეფონტის წინამძღოლობით, ამ მთების ერთ მწვერვალზედ—ფეხესზედ ლხინობდენ, ოდეს შორიდან დაინახეს ზღვა. იქით, სამხრეთ-დასავლეთისკენ ეს მთანი იწოდებოდენ სკედიზესად; სხვა შტონი კი იყვნენ: სტრობელუს, კასპიის მთანი და ამაზონისა.

ამ მთებიდამ გამოდიან მდინარენი, რომელნიც ცნობილნი იყვნენ ძველთა ხალხთაგან. კასპიის ზასეინს ეკუთვნოდენ: კიროს (მტკვარი), რომელიც გამოდის იბერიის ანუ კორაქსის მთებიდამ და შეადგენს მიჯნას კოლხიდა—არმენიისას. მისნი ტოტნი არიან: **Aragus** (არაგვი), **Alasanius** (ალაზანი), **Cambises** (იორი), **Araxes** (არეზი) და სხვ. ყველა ესენი სანაოსნონი იყვნენ. სტრაბონის თქმით, არეზი მტკვრის ტოტი არ არის და თავის თავად შემდინარებს ზღვაში. ამას გარდა: **Albanus** (სამური) და **Casius** (კოისუ). ამათ შორის იყო „ალბანის კარები". და სხვა მდინარენი.

ევქსინის ზასსეინს ეკუთვნოდენ მდინარენი: 1. ფაზისი (რიონი), რომლის სათავეა მესხის მთებში და ჯერ იწოდება ბოასად. მიმდინარეობს მცირე-აზიისა და კოლხიდის შორის. შემდინარებს ზღვაში ქალაქ ფაზისთან (ფოთი) 72° 30' სიგრ. და 45 სიგანისა. მისნი ტოტნი არიან: გლოკუს და ჰიპპუს (ცხენის-წყალი). რიონი სწრაფია და მღელვარე, წყალი მისი ცივია და ისეთი მსუბუქი, რომ ზღვის წყალს ზემოდან მოექცევა ხოლმე. მდ. ფაზისისაგან ხოხბები იწოდებიან ფაზანებად (**Phasanae**), რომელნიც მრავლად იპოებოდენ აქაურობაში. 2. **Acampsis** (ჭოროხი) გამოდის სომხეთის მთებიდამ ლაზების ქვეყნის დასავლეთის მხრიდამ, შემდინარებს ზღვაში ისეთის სიძლიერით, რომ ბერძენთ დაარქვეს «ბოას» (ღრიალა). 3. ჰიპანის (კუბანი) გამოდის კავკასიონის მთიდამ და მიმდინარებს აზიის სარმატიდამ ორ ტოტად; ერთი მათგანი შემდინარებს აზოვის ზღვაში, მეორე შაქში კიმმერიის ბოს-

ფოირთან ახლოს. 4. მერმოდას (ეგერლიკი). 5. ტანაის (დონი). 6. Chobus(ხობ) და სხვანი.

## II კავკასიის ხალხნი და მათი ქვეყანანი.

კოლხიდა, იბერია და ალბანია—აი ქვეყანანი, რომელნიც ბევრად თუ ცოტად ცნობილნი იყვნენ ძველ ხალხთაგან. ეს ქვეყნები მეტად ნაყოფიერნი არიან, გარდა მთიანი ადგილებისა და აქვთ მშვენიერი იალაღები.

ამ სამთა ქვეყანათაგან ყველაზე დასავლეთით სძევს ის მხარე, რომელსაც პირველად პინდარმა და ესხილმა უწოდა სახელად კოლხიდა. ამ დრომდის კი იგი ცნობილი იყო «აიად», რომელიც საკუთრად იყო საცხოვრებელი ადგილი მეფის აიეტისა (Aietes). პროკოპის ნაწერებში იგი იწოდება ლაზიკად (Lasica). ეს მხარე განსაკუთრებით ცნობილი შეიქმნა არგონავტთა მოგზაურობის შემდეგ. სამხრეთ დასავლეთით კოლხიდას ჰმიჯნავდა პონტის სამეფო, დასავლეთით ევქსინი მდ. არაქსის შესართავამდე (პტოლომეოსის ჩვენებით ეს მდინარე იყო ქალაქის დიოსკურიის ახლოს, ჩრდილოეთით კავკასიონის მთანი, გამყოფნი კოლხიდისა აზიის სარმატისაგან; აღმოსავლეთით კოლხიდას და იბერიას შუა მდებარებდენ მესხის მთანი, და სამხრეთის მიჯნა კი მიუწვდებოდა სომხეთის მხარეს (არმენიას). მაშასადამე კოლხიდად უწოდებდენ იმ ქვეყანას, საცა ეხლა მოთავსებულია: იმერეთი, გურია, სამეგრელო და აფხაზეთი. კოლხიდის მოსახლენი იყოფოდენ მრავალ ხალხებად. ამათ შორის მოხსენებულნი არიან მახელო-

ნნი და გენიოხნი. ესენი, ძველების ფიქრით, იყვნენ სპარტანელთ შთამომავალნი, დაშთენილნი აქ არგონავტთაგან. თუმცა უმეტესი ნაწილი მათი სცხოვრებდა მთიან ადგილებში, მაგრამ ბარშიაც ზღვის პირისკენ, როგორც ამბობს სტრაბონი, ჰქონიათ **1,000** სტადის სივრცე ადგილი. გენიოხნი კარგ ხალხად არ ითვლებოდენ. არისტოტელი უწოდს მათ „კაცთ-ჭამიად“. სტრაბონი ამოწმებს, რომ ესენი და ახენელები იოლად მიდიოდენ ზღვაზე მეკობრობით. მათ ჰქონდათ გრძელი ნავები. თითოში **30** კაცი სხდებოდა. მათი ფლოტი, ამნაირის ნავებით შემდგარი, დაეცემოდა ხოლმე სავაჭრო გემსა, ან ზღვის პირა ქალაქებსა სცარცვიდა, დათარეშობდა. ამნაირად გენიოხნი ზღვაზე ბატონობდენ. მათ ხანდისხან შველოდენ მცხოვრებნი კიმმერიის ბოსფორისა. ესენი ნებას აძლევდენ გენიოხთ გადმოსულიყვნენ მათი ქვეყნის კიდეებზედ, შეექუჩებინათ დავლა და გაეყიდნათ. თავის ქვეყანაში რომ ბრუნდებოდენ, იდებდენ თავიანთ ნავებს მხარზე და მიჰქონდათ ტყეში. ეს იმიტომ, რომ კარგი ნავთ-საყუდელნი არა ჰქონდათ. იქ, ტყეში შესჭამდენ ნადავლსა და მერმე ისევ შეცურდებოდენ ზღვაში სამეკობროდ. ხან-და-ხან სხვის ქვეყნებშიაც გამოდიოდენ, ავაზაკებრივ ატყვევებდენ ხალხსა და მერე ისევ პატრონებსავე მიჰყიდიდენ.

გენიოხთ მეზობლად მოსახლეობდენ ციდრეტნი და ლაზნი. შემდეგში უკანასკნელი სახელი ეწოდათ ციდრეტებსაც. ამათ იქით, ზღვის პირ-პირ სცხოვრებდენ აფსილნი (**Apsilae**) და აბაზგნი (აფხაზნი), რომელნიც აგრეთვე ვაჭრობდენ ტყვეებითა. ესენი პროკოპის დროს იყვნენ ლაზთა უფლების ქვეშ. აბაზგთ იქით იყვნენ სა-

ნიგნი და მერმე კორაქსნი (Coraxi), კორაქსის მდინარის გაყოლება, ქალაქ დიოსკურთან. ამათგან აქაური მთებიც იწოდენ კორაქსის მთებად. ამათ იქით ჩრდ. დასავლეთისკენ მოსახლეობდენ: კოლელნი, მელდახლელნი, გელონნი და სვანნი ანუ სვანოკოლხნი (Suanocolchi). უკანასკნელ ხალხზე სტრაბონი ამბობს, რომ იგინი მეტად უშნონი, მაგრამ ამასთანავე ძლიერნი და მეომარნი არიანო. მათ ჰყავთ მეფე, რომელსაც ახლავს 300 მდივან-ბეგი. ომის დროს ამათ შეეძლოთ გამოეყვანათ 200,000 მეომარი. ამ ქვეყნის მდინარეებში იპოვება ოქროს ქვიშა. იგინი თავიანთ ისრებს უსმენ რაღაც ნაირს შხამსა, რომელიც თავის შესაზარის სულით თავბრუს ახვევს დაჭრილთა. სვანთ შემდეგ სცხოვრობდენ ფტიროფაგნი Phthirophagi), ესე იგი ტილთაჭამიანი, ასრე წოდებულნი უწმინდურად ცხოვრებისაგამო.

კოლხიდის შუა, დაახლოვებით იქ, სადაც ახალციხეა, სცხოვრობდენ მესხები. იმათ ჰქონდათ ფრიქსისაგან აგებული ტაძარი და ჰყავდათ არაკული ღმერთის ლევკათეისა, სადაც ყოჩის მსხვერპლად შეწირვა აკრძალული იყო. როდისღაც ეს ტაძარი მეტად მდიდარი იყო, მაგრამ იგი გაცარცვა (პირველად) ფარნაკმა, ბოსფორის მეფემ (184—157 ქრ. წ.), მეორეთ მიტრიდატ მე VI-მ (121—64 ქრ. წ.) სვანთა და კორაქსთ აღმოსავლეთით სცხოვრობდენ მონრალნი (მეგრელნი) და აბაზგებს იქით მთებში კი—ბრუხნი (Bruchi).

ყველა ეს ხალხნი ძველს დროიდგანვე იყვნენ სპარსელთ გავლენის ქვეშე. ჰეროდოტი ამბობს, რომ თუმცა იგინი ვალდებულნი არ იყვნენ, მაგრამ სპარსთ ხელმწიფეს მაინც ხუთ წელიწადში ერთხელ უგზავნიდენ 100 ყრმასა და 100 ქალსა. შემდეგ დროში კოლხიდა ჩავარდა პონტის მეფეთ უფლების ქვეშე. მიტრიდატი აქ მართველებად დასვამდა ხოლმე უკეთესს თვის მეგობართაგანსა. მიტრიდატის დამარცხების შემდეგ (37 წ.

ქრ. წ.), რომაელთ კოლხიდა აჩუქეს პოლემონს, პონტიის და ბოსფორის მეფეს, რომლის სიკვდილს შემდეგ ქვეყანას ჰმართავდა მისი მეუღლე პიფადორიდა. შემდეგ ეს ქვეყანა ისევ დაიპყრეს რომაელთ, რომელნიც იღებდნენ ხარკსა აქაური მმართველებისაგან. მათ (რომაელთ) ზღვის კიდეებზედ ვაჭრობის გასავრცელებლად ააგეს რამდენიმე ციხე და სავაჭრო ფაქტორიანი. თვით კოსტანტინე დიდის დრომდის რიონისშესართავებთან იხილვებოდენ რომაელთ ციხენი.

სტრაბონი აიბობს: «ეს ქვეყანა ძალიან ნაყოფიერია. აქ მრავალია ნავთ საშენი მასალა. მიწა აღმოაცენებს სელსა და კანაფსა. შესანიშნავია აქაური ტილოს ნაქსოვნი, რომელიც იგზავნება სხვა ქვეყნებში. აქვე აკეთებენ სანთელსა, ფისსა და თაფლსა, მაგრამ ეს უკანასკნელი მწარეა». აქაურ თაფლზე ქსენეფონტი ამბობს: «ბერძენთ მეომართ რო საჭმეს თაფლი, რამდენსამე დღეს დამთვრალნი იყვნენ. ზოგიერთს კი საშინლად აღებინა და გააფაღარათა და დიდ ხანს უგონოდ დაშთნენ». ამ ნაირ თვისებას აქაური თაფლისას პლინი ხსნის მით, რომ ფუტკარი თაფლის მასალას აგროვებს ერთ გვარ მცენარისაგანა, რომელსაც ჰქვიან როდოდენდრონი.

დავასახელოთ უმთავრესნი ქალაქნი ამ ქვეყანისა. ზღვის კიდის ქალაქთა შორის პირველი ადგილი უჭირავს **დიოსკურის**. იგი, არრიანის თქმით, იყო მილეტის ბერძენთ ახალშენი. მდებარებს მდ. ანტებურის შესართავთან, 790 სტადის (100 მილი) სიშორეზედ ფაზისიდამ და 2,20 სტადიისა—ტრაპეზუნტიდამ. ეს იყო უმთავრესი სავაჭრო ქა0 ლაქი ყველა გარშემო მდებარე ქალაქებისათვის. სავაჭროდ- (ბაზრობაზედ), პლინის სიტყვით, აქ მოაწყდებოდა 300 არა ნაკლები სხვა და სხვა ტომის ხალხი. სტრაბონისთქმით კი არა ნაკლებ 70 ტომის წარმომადგენელთა. აქ სცვლიდენ საქონელს უმეტესად მარილზე, რადგან კოლხიდაში მარილი სრულიად არ მოიპოებოდა. თავის სავაჭრო საქმეების წარსამართავად რომაელთ ჰყავნდათ აქ 130 მთარგმნელი (მო-

ენე) და ქალაქს დიოსკურს დაარქვეს სებარტიპოლი. პირველ საუკუნეში ქრისტეს შემდეგ ეს ქალაქი ცარიელი იყო. იუსტინიანემ კი მასში ჩააყენა თვისი ჯარი.

ფაზისის შესართავთან მდებარებდა ქალაქი ფაზისი (ფოთი). სამის მხრით მას ერტყა წყალი: წინადან ზღვა, მარჯვნივ მდინარე, და მარცხნივ ტბა (პალეოსტომი). ეს ქალაქი შესანიშნავი იყო თავის ტილოს ნაქსოვებითა. **350—360** სტადიაზე დიოსკურიდამ იყო ქალაქი **პიტი**, რომელსაც სტრაბონი უწოდს «დიდსა». იგი მდებარეობდა კოლხიდის მიჯნაზე და I საუკ. ქრ. შემდეგ დაინგრა გენიოხთაგან. შემდეგში გაამაგრეს რომაელთ და დააყენეს იქ თვისი ჯარები. დიოსკურის აღმოსავლეთით იყო ქალაქი **ნეაპოლი.** მდინარე ციანეს და ხარისტოს შუა მდებარებდა ქალაქი გეაპოლი.

შიგ ქვეყანაში მდებარე ქალაქნი: **სარაპანა** (შორაპანი) შესანიშნავი ციხე კოლხიდასა და იბერიის შუა. იგი მდებარებდა ვიწრო და შეუვალ ღელეში მდ. ფაზისზე. რადგან აქ ეს მდინარე მეტის მეტად იკლაკნება, ამიტომ იბერიაში მიმავალ გზაზედ გაკეთებულ იყო **120** ხიდამდე. სარაპნიდამ ორი დღის სავალი გზა იყო მტკვრამდის. ქალაქი **ციგოპოლი** მდებარებდა ტრაპეზუნების ახლოს. **სურიუმი** (სურამი) სარაპნის დასავლეთით (?), ქალაქი **არხეაპოლი**—შემდეგში კოლხიდის დედა ქალაქი მდებარებდა იბერიის მომიჯნავედ ფაზისზე, გარშემორტყმულ იყო მაღალის კლდეებით. აგრეთვე იყვნენ: **როდოპოლი** და მთაში მდებარე ციხე **უხემრიონი. ქუთაისი** (კუტატოს) ძველადგანვე ცნობილი იყო, როგორც მაგარი ციხე. აპოლონ როდოსელი და სტეფანე ბიზანტიელი უწოდებენ მას „კიტას“. ამ ქალაქს ბევრი სთვლიდა მედეას სამშობლოდ, თუმცა სხვანი, მაგ. სკილაქსი უჩვენებს სხვა ქალაქს—მალას (**Mala**) და სტრაბონი კი «აიას» (ეა ანუ ნაქალაქევი), მდებარე ზღვიდამ **30** სტადიაზე ფაზის პირას.

იბერია. კოლხიდიდგან იბერიაში წასასვლელი გზა იყო შორაპნიდამ ფაზისის (?) გაყოლება ვიწრო ღელეში. მრავალნი კლდენი, სწრაფნი მდინარენი და მაგარნი ციხენი შეუვალს ჰყოფდენ ამ ღელესა (ყელსა). ამ ყელს გარდა, იბერიაში შასასვლელი გზანი სხვანიც იყვნენ. სტრაბონი ამბობს: „ჩრდილოეთის მაწანწალა ხალხებიდამ მიდის სამი დღის გზა მთა-მთა, მერმე 4 დღე არაგვის (Aragus) ხეობაში, საცა გზა ისრე ვიწროა, რომ იქ მოგზაურნი და საქონელნი თითო-თითო ძლივს გაივლიან. გზის ბოლო კი გამაგრებულია ძლიერის ციხით. ალბანიის ყელი ჯერ იწყობა კლდეზე დაკიდულ ბილიკიდამ, რომელიც მერმე გადადის ალაზნის ჭაობში. სომხეთიდამ გზა მიდის (იბერიაში) მტკვრისა და არაგვის პირ-პირა. ამ მდინარეთ შეერთებამდე შეგვხვდება ორი მაგარი ციხე—მდ. მტკვარზე არმოზიკა (არმაზი) და მეორე მდინარეზე კი—სევსამორა. ამნაირად იბერიის დასავლეთით მდებარეობდა კოლხიდა, სამხრეთით მტკვარი განჰყოფდა მას სომხეთისაგან, აღმოსავლეთით ალაზანი ალბანიისაგან და ჩრდილოეთის მიჯნას კი შეადგენდა კავკასიონის მთა. მაშასადამე იბერია, თითქმის, უდრის ეხლანდელ ქართლსა და თიანეთის მაზრასა. უმცირეს ნაწილს ამ ქვეყნისას შეადგენდა მეტად ნაყოფიერი ბარი ადგილი, საცა სცხოვრებდა მიწის მხვნელი და მშვიდობიანი ხალხი, რომელსაც ჰქონდა თვისი სახელმწიფო წეს-წყობილება. მთა ადგილებზე მოსახლეობდენ იგეთივე მეომარი ხალხი, როგორც სკვითნი და სარმატნი, თუმცადა ესენიც მიწის მუშაკობასაც მისდევდენ. რაც უნდა იყოს, იბერნი უფრო მაღლა იდგნენ თვისის კულტურით, მინამ კოლხნი. სტრაბონი, სხვათა შორის, ამბობს, რომ იბერიასა აქვს მრავალი ქალაქები და სოფლები, რომლებშიაც შეხვდები მშვენიერ კრამიტით დახურულ სახლებსა, ბაზრებსა და სასტუმროებსა (მგზავრთათვის(.

იბერიაც ძველადგანვე იყო დამოკიდებულებასა და გავლენასა ქვეშე სპარსთა ხელმწიფეთა. მთელი ხალხი ამ ქვეყნისა იყოფოდა (უნდა დაუმატოთ ფარნაოზიდამ 302—237 წ.) ოთხ კასტად ანუ დასად: პირველნი, ანუ კეთილშობილნი. ამათგან ირჩევდენ მეფესა და შემდეგ ამისა მეფის ახლო მონათესავეთაგან—მსაჯულსა და სპასპეტსა. მეორე: ქურუმნი, რომელნიც აგრეთვე იღებდენ მონაწილეობას სამსჯავროში(?), მესამე, მხედარნი, მეოთხე, უბრალო ხალხი, მეფის ყმანი. ქონება გაუყოფლად ეკუთვნოდა მთელს ოჯახსა, რომელსაც უფროსობდა უფროსი პირი ოჯახისა. შემდეგ დროებში იბერიელნი ჩაცვინდნენ რომაელთ უფლების ქვეშე. ანციის ძეგლზე (**Monumentum Anciranum**), რომელიც ანცირის მცხოვრებთ ააგეს აგვისტოს (კეისრის) პატივის საცემლად, მეგობრობის მთხოვნელ მეფეთა სახელებ შორის ეწერა აგრეთვე სახელნი იბერიისა და ალბანიის მეფეთაცა. ტრაიანეს მეფობაში კი იბერნი იყვნენ ქვეშევრდომნი რომაელთა. მათ ქვეშევრდომობაში დაშთენ იულიანემდის და მაშინ კი იგინი დაიმორჩილა სპარსეთის მეფემ საფორმა.

უმთავრესი მოსავალი ქვეყნისა იყო: პური, ზეთი და ღვინო, რომელიც განთქმული იყო ძველ დროიდგანვე.

ქალაქნი იბერიისა. კოლხიდის მიჯნაზე —იდეესსა, რომელიც უფრო ძველ დროს იწოდებოდა ფრიქსოპოლისად. უფრო შესანიშნავი იყო არმოზეტიკა ანუ არმაკედიკა. ეს იყო მაგარი ციხე. ამ ციხის პირდაპირ მტკვრის მეორე კიდეზე იყო სევსამორა. ამას ჩრდილოეთით $12^1/_2$ გეოგ. მილზე არტანისსა. კასპიის ზღვის პირას მდებარეობდა ციხე კუმანია, რომელსაც ერქვა აგრეთვე იუროიპახი და რომელიც მეხუთე საუკუნეში დაიჭირეს სპარსთა.

ალბანია. იბერიის აღმოსავლეთის მხრით მდებარეობდა ალბანია, ესე იგი ეხლანდელი ბაქოს გუბერნია და სამხრეთი მხარე დაღისტნისა. იბერიის და ალბანიის მიჯნა იყო ალაზანი და ჩრდილოეთიდამ ჩამომავალი შტო კავკასიონისა. ალბანიის ჩრდილოეთით იყო სარმატია, კერაუ-

ნის მთებს გადაღმა. აღმოსავლეთით კასპიის ზღვის პირა ქაობიანი. სამხრეთის მიჯნად ითვლებოდა მტკვარი და არეზი. ჩრდილოეთი ნაწილი ალბანიისა და დასავლეთი—კამბიზენა იყვნენ მთიანნი, ამას გარდა კამბიზენა იყო უწყლო. სხვა ნაწილები ალბანიისა ირწყვებოდა მტკვრის წყლით და მეტად ნაყოფიერი და მდიდარი იყო.

სტრაბონი აღტაცებით აღწერს ამ მხარეს და ამბობს, რომ აქ იზრდება საუკუნოდ მწვანედ მშთენი მცენარენი და მშვენიერი ხილიც იცისო. ამიტომ ეს ქვეყანა მას შეუდარებია ჰომეროსის ციკლოპთა ქვეყნისათვის და ამ უკანასკნელთ ქვეყნების ლექსით აღუწერია ჩვენი ქვეყანაც:

«იქ უდარდელად იგინი, უკვდავთა შემწეობით ყოვლის მქონენი,
არც ხვნენ ხელითა, არცა ხვნენ გუთნითა, იქ მიწა
ნაყოფიერი მრავლად უხვნელ-უთესველად აჯილდოებს მათ
შვრიითა, პურითა, ქერითა და ყურძნის მშვენიერი ნაყოფითა».

სტრაბონის მოწმობით, საკმაოა, რომ გუთნით მოხნა და დასთესო და ნიადაგი დაუსვენებლივ იძლევა სამსა და ოთხს მშვენიერს მოსავალს. პირველ მოსავალს ორმოცდა ათჯერ მეტი მოაქვს დათესილზე. ეს ქვეყანა, კარგი სარწყავების შემწეობით, გადამწვანებულია მშვენიერი და ნაყოფიერი ბალახით, რომლითაც იკვებება დიდძალი საქონელი. ვენახებს არაფერი მოვლა არ უნდათ, მხოლოდ ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ სხლავენ. ორი წლის ბაგაც იძლევა ნაყოფსა. როდესაც კი გაიზრდება, მაშინ ნაყოფი ულეველია და ერთი ნაწილი მტევნებისა ზედვე ვაზზე რჩება მოუკრეფლად. ეს ქვეყანა მხოლოდ იმითია ცუდი, რომ აქ იცის ბევრი შხამიანი მწერი, ქვემძრომი და ობობა. ობობის ნაკბენისაგან კაცი ავად ხდება და კვდება.

აქაური ხალხიც ლამაზია, მშვიდობის მოყვარე, უანგარო, მაგრამ ზარმაცი. იუსტინე (მე II საუკ. ქრ. შემდეგ) ამბობს, რომ, ვითომ ეს ხალხი აქ მოსულიყოს ჰერკულესთან ერთად იტალიის ალბანიის მთებიდამ. და ამის გამოო ასრე გულ-ღიად მიიღეს პომპეი მისის მხედრებითაო. ტაციტი გვარწმუნებს, რომ ალბანელნი და იბერნი კავკასიაში მოვიდენ იაზონთან ერთად თესალიიდამაო მაშინ, როდესაც იგი მედეის მოტაცების შემდეგ მეორედ შამოვიდა კოლხიდაშიო.

თუმცა ხვნა თესვა ამისთანა ნაყოფიერ ქვეყანაში უფრო მეტ სარგებლობას მისცემდა ალბანელთ, მაგრამ ისინი ხვნა თესვას არ მისდევდენ, არამედ საქონლის მოშენებასა, თევზაობას, ნადირობას. სანადიროთ კარგა გაგეშილი ძაღლები ჰყავთ, რომელნიც მეტად ღონიერნი არიან. პლინი და სოლინი ამბობენ, რომ აქაური ძაღლები ნადირებზედაც ღონიერნი არიანო და შეუძლიანთ შეჯახება ხარსა და ლომთანაო. როდესაც ალექსანდრე მაკედონელმა გაილაშქრა ინდუსტანისაკენ, მაშინ ალბანიის მეფემ გაუგზავნა მას საჩუქრად ორი ძაღლი. ერთი მათგანი. მიუტიეს ღორებსა და დათვებსა, მაგრამ ძაღლი არც კი გაინძრა მათ დანახვაზე: ღირსად არა სცნობდა ამ გვართ მსხვერპლებს. ალექსანდრემ ვერ გაიგო ესა და ძაღლი მოაკვლევინა. მეორე ძაღლმა კი ძირს დასცა ლომი და შეებრძოლა სპილოსაცა, რომელიც თავის სიმარდით ჯერ დაღალა და მერე მივარდა და დედა მიწაზე დაანარცხა.

ალბანელთ უანგარობის დასამტკიცებლად სტრაბონს მოჰყავს ის ფაქტი, რომ ოქროს ფული არა აქვთო. ალბანელნი თვლა იცოდენ მხოლოდ 100-მდის. არ ხმარობდენ წონას, ზომას და საქონელის ცვლით ვაჭრობდენ. უმეტესი ნაწილი მათგანი ღარიბნი იყვნენ. ჩვეულებისამებრ მკვდართან ერთად ჰმარხვიდენ მთელს მის ქონებასა და ამიტომ ვერც ერთი ვერ იძენდა სიმდიდრესა.

თუმცა შვიდობის მოყვარენი იყვნენ, მაგრამ თუ კი მათ თავისუფლებას და ქვეყანას შეეხებოდენ, მაშინ იგინი გახდებოდენ ძლიერნი და გულადნი. პომპეის წინააღმდეგ მათ გამოიყვანეს **60,000** ქვეითი ჯარი და **20,000** უკეთესი ცხენოსანი. მათი იარაღი იყო: ისარი, შურდული და ხიშტი (ლახვარი). იმათ ეცვათ რკინის პერანგნი და ნადირის ტყავის ქუდები და ჰქონდათ კარეჩის ტოლა ფარები. მთელი ხალხი იყოფოდა **12** ნაწილად და ყოველ ნაწილს საკუთარი მეფე ჰყავნდა. სტრაბონის დროს კი მათ ერთი მეფე ჰყავნდათ და ლაპარაკობდენ **26** ენაზედ. შემდეგში შვიდობის მოყვარე ალბანელნი გახდენ მეტად მეომარ ხალხად. დიონი კასსის და ამმიანის მოწმობით, იგინი მონათესავენი იყვნენ მასსაგეტებისა და მათთან ერთად შეესეოდენ ხოლმე მეზობლად მყოფ ქვეყნებსა. ვესპასიანეს დროს იგინი გავიდენ კასპიის კარებიდამ და დაეცნენ სომხეთსა და მიდიასა, ასე, რომ აქაურმა მეფემ ვოლოგესმა ითხოვა შემწეობა რომაელთაგან. ადრიანეს დროსაც მათ გაიმეორეს თვისი გალაშქრება. მე IV საუკ. ქრ. შ. იმათ მდინარე დუნაიაზე ფილიპიის ბრძოლაში დაამარცხეს რომთა მეფის გორდიანის ჯარნი. შემდეგში გუნთაგან შევიწროებულნი მიიქცნენ გალლია-ისპანიისაკენ, დამარცხდენ და სრულიად განიბნენ.

ალბანელთ სარწმუნოება. იგინი თაყვანსა სცემდენ მზესა, ზევესსა და უმთავრესად მთვარესა. მთვარის ტაძარი იდგა იბერიის მიჯნაზე. პირველ ქურუმად ტაძარში ითვლებოდა მეფის შემდეგ პირველი პირი ეა. მას ექვემდებარებოდენ ყველა მოსამსახურენი ტაძრისა. ზოგი მათგანი წინასწარმეტყველებდა, ზოგი კი მიდიოდა ტყეში და მარტოობაში ატარებდა დროებასა. ყველაზე უკეთ მოღვაწეთ გამოიყვანდენ ხოლმე ტყიდგან, შეუყრიდენ ბორკილებსა და მთელ წელიწადს აჭმევდენ უკეთეს საჭმელსა და მერმე სხვა სამღვთოებთან ერთად სწირავდენ მსხვერპლად ამ ნა-

ირად. ის, რომელსაც ეჭირა ხოლმე სამღვთო ლახვარი, მიუახლოვდებოდა მსხვერპლისა და სცემდა ფერდში. იმის მიხედვით, თუ რა ნაირად დაეცემოდა მსხვერპლი, ქურუმნი იწანასწარმეტყველებდენ ხოლმე. მერმე გვამს გადიტანდნენ სხვაგან და ყველანი მივიდოდენ, შეეხებოდენ და განიწმინდებოდენ.

ალბანიის ქალაქებს პირველად იხსენიებს პტოლომე. თითქმის იქ, საცა ეხლა ბაქოა, ძველად იყო ქალაქი გეტარა. ამის ჩრდილოეთით, მდ. ალბანზედ იყო ქალაქი ალბანი. მდ. კაზიუსის ჩრდილოეთის მხრით იყო ქ. თიაუნა. შგი ალბანიაში ალაზნის მტკვართან შესართავთან იყო ქალაქი ოზიკა, ალბანიის კარების ახლოს კი ხაბალა (ყაბალა?).

ალბანიას სტრაბონი მიუსაკუთრებს კასპიის ქვეყანასაც. აქ სცხოვრებდა ხალხი კასპნი, რომელთაგან თვით ზღვაც იწოდა კასპიისად. ამ ხალხს ჰქონდა ჩვეულებად ისა, რომ **70** წლის ბებერ კაცებსა და დედა-კაცებსა შიმშილით უდაბნოებში ამოხოცდა ხოლმე.

**მცირე ხალხნი.** მდ. კორაქსიდამ მოკიდებული კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყანა მეოტიის ჭაობამდის და მდ. ტანაისამდის იწოდებოდა სარმატიად და ამის აღმოსავლეთის მხარე კი აზიის სარმატიად (**Sarmatia Aziatica**), მაშასადამე სარმატია იყო ის ქვეყანა, სადაც ეხლა სცხოვრობენ: ჩერქეზნი, ყაბარდონი და ჩრდილოეთის მხრის დაღისტანელნი და სხ. ამ ქვეყანაში ძველად ბევრნი ხალხნი სცხოვრობდენ და ყველას საერთოდ ერქვათ სარმატნი. სტრაბონის თქმით, ზოგიერთნი მათგანნი სცხოვრობდენ მთებში, სხვები ტყიანს ღელეებში და იკვებებოდენ ნადირის ხორცით, გარეულის ხილით და რძით. ზამთარში მთები შეუვალნი არიან და ზაფხულობით კი იცმენ ლურსმებ დაკრულ ქალამნებსა და მათ შემწეობით ადიან მთებზედა. მთებიდამ კი დაცურდებოდენ ხოლმე მჯდომარენი ტყავზედ. აი საიხელები ამ ხალხებისა კოლხიდის სვანთ მეზობლად იყვნენ

ციგნი, შემდეგ სინდნი, მერმე კორკეტნი (ალბად აწინდელნი ჩერქეზნი), რომელთაც ეპყრათ **800** სტადი ზღვის პირისა. ამათ იქით მარდნი, აზეელნი და ბოსფორელნი კიმბერიის ბოსფორზე, ტამანის ნახევარ კუნძულზე მდ. ანტიკიტის შესართავთან. ეს ხალხი იყო ძლიერი და მეომარი. ამათ დაიპყრეს სინდნიცა და უმეტესი ნაწილი მეოტებისაცა. ევქსინის პონტიც განათავისუფლეს მეკობრეთაგან და დააარსეს დიდი სამეფო და დაიწყეს ვაჭრობა, მაგ. ათინაში ჰგზავნიდენ ხარძალსა. მიტრიდატის ომების შემდეგ ბოსფორნი შავიდენ უფლებასა ქვეშ რომაელთა.

კასპიის ზღვის პირას რომაელნი იცნობდენ ხალხებს: უდებს (უდინთ) მდ. უდონზე (კუმა). ამათ სამხრეთით იყვნენ ალონდნი მდ. ალონდაზე (თერგი), ამათ სამხრეთით იროანნი მდ. სოანზე. ალონდების მეზობლად იყვნენ დიდურნი და სანაბნი. ამ ორ ქვეყანას შორის იყო სარმატიის ანუ კავკასიის კარები. დასავლეთით და ჩრდილოეთით მონრალებისა სცხოვრობდენ აგარიტნი, ამათ მეზობლად მეტიბნი, მერმე კონაპსენი და სხ. ატრაბონი იხსენიებს კიდევ თროგლოდიტებს კავკასიონის ჩრდილოეთ ზურგზე, ესენი სიცივისაგამო სცხოვრობდენ გამოქვაბულებში და ჰქონდათ დიდ-ძალი პური. ამათ ჩრდ. იყვნენ ხამეკეტნი და პოლიფაგნი, შემდეგ იყვნენ ისადიგების სოფელნი. ქვეყანას ამაზონკებისა, რომელთაც იცნობდა ჰომიროსი და რომელნიც, გეროდოტეს თქმით, ემუქროდენ საბერძნეთსა, სხვა და სხვა ადგილას უჩვენებდენ. პირველად შეჯგუფულნი იყვნენ იგინი ქალაქის თემისტირის მიდამოს კაპადოკიაში მდ. თერმოდონტზე. აქედგან გადავიდენ სკითეთში მეოტის ზღვის კიდეებზე და მდ. ტანაისზე და აქ შეუერთდენ საურომატებსა. სხვები ამბობენ, რომ იგინი კერაუნის მთებში სცხოვრობდენო. პტოლომეი კი მათ საცხოვრებელ ადგილს უჩვენებს ვოლგის შესართავისაკენ.

სინდერის ქვეყანაში იყვნენ ქალაქნი: გორგიპპია ზღვის ახლოს, ეს იყო მათი დედა-ქალაქი. გერმანასსა, შერმე სინდუსი, რომელიც სკილაქსის თქმით იყო ბერძენთ ახალ-შენი, 400 სტადიაზე ამისგან. დასავლეთისკენ იყო ქალაქი და ნავთ-საყუდელი ბატა. ბოსფორის სამეფოს დედა ქალაქი იყო ფანაგორია, რომელიც, საფიქრებელია, წინად იყო მილეთლების ახალ-შენი. აქ იყო აფროდიტის ტაძარიც. მე VI საუკ. გუნნებმა და გოტებმა იგი დაანგრიეს.

## III ვაჭრობა.

**ვაჭრობა.** ვაჭრობას ხელს უწყობდა ზღვის სიახლოვე თვით ადგილ-მდებარეობა და სიმდიდრე ქვეყნისა და მდინარენი, რომელთ შემწეობით საქონელი შავი ზღვიდან ადვილად გადადიოდა კასპიის ზღვაში და იქიდგან ინდუსტანისკენ. ამნაირადვე ინდუსტანიდგან საბერძნეთისკენ. ბერძენთ შავი ზღვის პირას გაჩაღებული ჰქონდათ ვაჭრობა, მათ ააშენეს მრავალი ახალშენები, მეტადრე მილეტელებმა. შესანიშნავი ახალშენი იყო დიოსკურია, სადაც ბაზრობას ესწრობოდა 300-დის სხვა-და-სხვა ხალხი. ქალაქი ფაზისი იყო საქონლის საწყობ ადგილად. თვით კოლხთაც კარგი ვაჭრობა ჰქონდათ. მათ ახალშენებს პომპონი მელა და პლინი იხსენიებენ ისტრიაში — პოლუ, ილლირიაში — ოლცინიუსში და ორიკისში.

აქედგან (კავკასიიდგან) გაჰქონდ:თ ტყავები (ზეწვეული), ფისი, საშენებელი მასალა, თაფლი. ოქრო, ვეცხლი და რკინა, აქ ძველადგანვე იხმარებოდა. სელისაგან ჰქსოვდენ მშვენიერ და ძვირფას ნაქსოვებსა, რომელნიც მთელს ქვეყანას გაჰქონდა. ქ. ფაზის საწყობში მრავლობით იყიდებოდა ინდოეთიდგან მოტანილი ძვირფასი ქვები, ბამბა და

სხვ. ამასთანავე სავაჭრო საგნად ითვლებოდა ყიდვა მიწათა და ყრმათა, ერთსაც და მეორესაც მრავლობით ვაჭრობდენ ქალაქ ტანაისში და ფანაგორიაში.

კავკასიაში ორი სავაჭრო გზა იყო. ერთი ინდუსტანიდამ გადმოდიოდა მდ ოქსუსზე და კასპიის ზღვის სამხრეთის კიდეებზე მოდიოდა მდ. მტკვრამდე და მერმე ამ მდინარით 5 დღეში საქონელი გადაჰქონდათ ფაზის ხეობაში (შორაპანში და სხვ.). მეორე სავაჭრო გზა სომხეთიდამ კამბიზენში (ქიზიყში) ალბანიაში და იბერიაში და აქედგან აორსების ქვეყანაში. ამაორსებს თავის აქლემებით გადაჰქონდათ დიდძალი საქონელი ფანაგორიაში და ტანაისში. მთების გზები ქარავნებისთვის მეტად საშიში იყო და ამის გამო მრავალი ხალხი და საქონელი იღუპებოდა ამ ადგილებში. (სტრაბონი). აორსებმა ქარავნებით შეიძინეს დიდი სიმდიდრე: ჰქონდათ უთვალავი ოქრო და ოქროს ჭურჭელი.

---

ზემორე მოყვანილნი ცნობანი დაბეჭდილნი არიან კავკასიის სამასწავლებლო ოლქის მიერ გამოცემულ წიგნში: «Сборникъ матеріаловъ для описанія мѣст. и племенъ кавказа» ცნობანი შეუკრებია ბ. განს. და ჩვენ ყველა მისგან მოყვანილი ცნობანი, გარდა ზოგიერთის ადგილებისა, შემოკლებით და ჩვენის სიტყვით აღვწერეთ,

მოსე ჯანაშვილი.

## ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება ახალი, მეხუთე, გამოცემა

# «ბუნების კარისა»

გასწორებული და შევსებული. ამ გამოცემაში ცოტად შემოკლებულია პირველი განყოფილება, რომელიც იპყრობს ბუნების მეტყველებას, ჩამატებულია ახალი სურათები, ახალი ლექსები, ქრისტომატია გადიდებულია, წიგნი შევსებულია ახალი ისტორიული განყოფილებით, რომელიც იპყრობს ვრცელს აღწერას საქართველოს ისტორიის სახელოვანი პირების ცხოვრებისას და მოქმედებისას. გარდა ამისა, წიგნის ყოველს განყოფილებაში დაკავშირებულია პროზა და ლექსები. გამოცემა შემკულია ახალი ქარტით, რომელიც მოჭრილია საუკეთესო თბილელ სპეციალისტისაგან. თუმც გამოცემა წინანდელზედ დიდია მთელი ასი გვერდით, მაგრამ უწინდელი ფასი შეუცვლელად არის დარჩენილი და წიგნი ღირს თხუთმეტი შაური. ვინც ათ ცალს ერთად იყიდის, წიგნი დაუთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოც-და ათს — ცამეტად და ვინც ასს ცალს წაიღებს—სამ აბაზად მიეცემის. წიგნი ისყიდება გამომცემლის ზაქარია გრიქუროვის წიგნთა მაღაზიაში, მუკიის ხიდის ყურთან და ყველა სხვა მაღაზიებშიაც თბილისსა და ქუთაისშა. ვისაც სურს ყდაში გადაკრული წიგნი მიიღოს, ყველა ცალის ფასს უნდა დაუმატოს სამი შაური.

# განცხადება.

ამა 1885 წელს ჟურნალს «ივერიაზედ» ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი მთელის წლისა შვიდი მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება სოლოლაკში, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, თვით რედაქტორის სადგომში, სახლი ი. ი. ზუბალოვისა, (მისავალი, როგორც ახალ-ბებუთოვის, ისე ლაბორატორიის ქუჩიდამ).

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში.

ბათუმში, წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის მასწავლებელ მ. ნათაძესთან.

თელავში ვ. ნ. როსტომაშვილთან.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთ წერილი და ფული შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

*Въ Тифлисъ*

*Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ»*